

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №7

## სამოქალაქო პროცესი

საძიებელი

### 1. სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ  
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა  
უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### 2. დაუსრულებელი გადაწყვეტილება

მოსარჩელის გამოუცხადებლობა  
დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა  
დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები  
მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები  
სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა  
შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

### 3. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

# 1. სარჩელის უზრუნველყოფა

## განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

### განჩინება

№ას-1483-1493-2011

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ღ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შპს «პ-ის» საბანკო ანგარიშებსა და ამ ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით ყადაღის დადების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო დავათა ბათუმის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში მიმდინარეობს დავა საარბიტრაჟო მოსარჩელე ნ. ღ-ისა და მოპასუხე შპს «პ-ს» შორის თანხის დაკისრების თაობაზე. მოპასუხეს მის მიმართ დაუგროვდა საიჯარო ქირის დავალიანება 24538 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2010 წლის 21 დეკემბერსა და 2011 წლის 18 მარტს მოპასუხეს გაეგზავნა შეტყობინება საიჯარო თანხის გადახდის თაობაზე, რომელიც მას ჩაბარდა, მაგრამ მან არ შეასრულა ნაკისრი ფულადი ვალდებულება, თავს არიდებს თანხის გადახდას. მოპასუხე ანგარიშზე შესულ თანხებს განკარგავს სხვა მიზნებისათვის, არ იხდის საიჯარო ქირას, რის გამოც შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე იმის გამო, რომ შემდგომში არ მოხდეს შპს «პ-ის» მიერ საბანკო ანგარიშიდან თანხის გამოტანა ან/და სხვაგვარი უფლებრივი დატვირთვა, განმცხადებელმა მოითხოვა შპს «პ-ის» საბანკო ანგარიშებზე №... ყადაღის დადება (სს «... ბანკი» კოდი №...). საიჯარო ხელშეკრულების 5.4 მუხლის თანახმად, მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყდეს «სამოქალაქო დავათა ბათუმის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში». არბიტრაჟის მიერ კი 2011 წლის 7 ივნისს საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის 23 ივნისის განჩინებით ნ. ღ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, დაედო ყადაღა მოპასუხე შპს «პ-ის» №... საბანკო ანგარიშს სს «... ბანკში» და აეკრძალა მოპასუხე შპს «პ-ს» ამ ანგარიშიდან თანხების გატანა.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს «პ-მ», მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფაზე ნ. ღ-ისათვის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

ნ. ღ-ის განცხადება არ შეიცავდა მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძლიერებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე არ დაუსაბუთებია უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობა. სასამართლოს არ დაუსაბუთებია ის გარემოებაც, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

საჩივრის ავტორის განმარტებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ადგებათ ზიანი, კერძოდ, ვერ ახერხებენ პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალისათვის ხელფასების გაცემას, ზარალდებიან ამ პირების ოჯახის წევრები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვერ ახერხებს მათი კუთვნილი ვაუჭერების ჩარიცხვას, რაც კერძო სასწავლებლებისთვის კანონით არის გათვალისწინებული.

შპს «პ-მ» ასევე წარადგინა განცხადება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე, სადაც განცხადების საფუძველად მითითებულია იგივე მოტივები, რაც საჩივარში, განმცხადებლის განმარტებით, შესაძლებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მას ზიანი მიადგეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით შპს «პ-ის» საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქმის მასალებთან ერთად გადმოეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ამასთან, შპს «პ-ის» განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე და 420-ე მუხლებით, 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მაშინ, როდესაც სასამართლოს ჩამოუყალიბდება დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მისი გამოყენებლობა გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. სარჩელის უზრუნველყოფის

საჭიროების მტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს, ანუ განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, ხოლო სასამართლოს, შეუძლია, გაიზიაროს დასაბუთების მართებულობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი. განმცხადებელმა უნდა ჩამოაყალიბოს არა ვარაუდით, არამედ დასაბუთებული ვარაუდი სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროებისა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. განმცხადებელი ნ. ღ-ე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხეს მის მიმართ დაუგროვდა საიჯარო გადასახადის დავალიანება 24538 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2010 წლის 21 დეკემბერსა და 2011 წლის 18 მარტს მოპასუხეს ეცნობა საიჯარო თანხის გადახდის მოთხოვნის თაობაზე, რომელიც ჩაბარდა შპს «პ-ს», მაგრამ მან აღნიშნული ვადებში არ შეასრულა დაკისრებული ფულადი ვალდებულება. განმცხადებელს (მოსარჩელეს) დასაბუთებული ჰქონდა სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, კერძოდ, თუკი გამოყენებული არ იქნებოდა უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიქმნებოდა საშიშროება მოპასუხის საბანკო ანგარიშიდან თანხის გაეტანისა, ვალდებულების შესრულების თავის არიდების მიზნით, ანუ განმცხადებელი უთითებდა გარემოებას, რომლის გამოც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობას შეიძლება, გაემწელებინა მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულება. რაც იძლეოდა საფუძველს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისა, დაკმაყოფილებულიყო განცხადება.

ამრიგად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არსებობდა და საჩივრის ავტორის მითითება იმაზე, რომ განჩინებაში არ იყო დასაბუთებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და განცხადებელს ამაზე არ ქონდა მითითებული, უსაფუძველოა.

სასამართლოს განმარტებით, პედაგოგებსა და ტექნიკურ პერსონალზე ხელფასების გაუცემლობა არ არის გამოწვეული ნ. ღ-ის ბრალით, მით უფრო არაფერ შუაშია პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრების პრობლემები ნ. ღ-ესთან. ამ საფუძველით განჩინების გაუქმებაზე მითითებაც მიჩნეულ იქნა უსაფუძველოდ. სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით, არ დგინდება, რომ შპს «პ-ს» აქვს სხვა ქონება, გარდა დაყადაღებული საბანკო ანგარიშისა, რის გამოც, პალატამ ჩათვალა, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება სამართლებრივად სწორია და უცვლელად უნდა იქნას დატოვებული.

სასამართლომ არ გაიზიარა შპს «პ-ის» მოსაზრება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა მოპასუხეს ზიანი მიადგეს. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი 2011 წლის მაის-ივნისის თვის სახელფასო უწყისებით არ დგინდება გაცემულია თუ არა ხელფასები და მხოლოდ მხარის განმარტება მოცემულ შემთხვევაში სარწმუნო მტკიცებულება არაა თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შპს «პ-ის» საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

ამავე კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმა წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესს და ადგენს, როგორც განმცხადებლის ვალდებულებას განცხადების მოთხოვნის საფუძვლიანობის დადასტურების თაობაზე, ისე სასამართლოს მიერ განცხადების განხილვისა და მის დაკმაყოფილებისა თუ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობებს.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ

მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ ხდომილებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება, ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძველიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დანაწესი, რადგანაც განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ნ. ღ-ის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა. განმცხადებელი საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნის საფუძველად მიუთითებდა იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობაზე და იმ ფაქტზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგად, შპს «პ-ს» შესაძლებლობა ექნებოდა სხვაგვარად განეკარგა თანხა. აღნიშნული გარემოების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში არსებობს გონივრული ვარაუდი სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების დაბრკოლებისა.

სასამართლო ამ მიმართებით ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: საქმის მასალებით არ დასტურდება და აღნიშნულის თაობაზე არც საჩივრის ავტორს წარუდგენია მტკიცებულება (რაც სსსკ 102-ე მუხლის თანახმად, მისი მტკიცების ტვირთია), რომ შპს «პ-ს» სხვა ქონებაც გააჩნია, რაც, შესაძლებელია, სამომავლოდ, საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიად ყოფილიყო მიჩნეული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე შეტანილი საჩივრის შინაარსი და ამომწურავდაა განმარტებული ის საკითხები, თუ რას უნდა შეიცავდეს მოწინააღმდეგე მხარის საჩივარი. დასახელებული ნორმის «გ» ქვეპუნტის თანახმად, საჩივარში უნდა აღინიშნოს გარემოებები, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული თავისთავად ნიშნავს არა მხოლოდ ზეპირ მითითებას, არამედ მხარის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბებას, რომლითაც უტყუარად და უალტერნატივოდ უნდა დასტურდებოდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უმართებულობა.

განსახილველ შემთხვევაში, შპს «პ» მოითხოვს რა სააპელაციო პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინების გაუქმებას, მას მისი მოთხოვნა შესაბამისი მტკიცებულებებით არ გაუმყარებია, ამასთანავე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით – საშტატო განრიგით ხელფასის გაუცემლობის ფაქტი არ ირკვევა, ხოლო საჩივრის არგუმენტი, რომ გარდა საზოგადოების თანამშრომლებისა, მათი ოჯახის წევრებსაც ადგებათ ზიანი, ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებისათვის გარანტიის წარდგენას, საკასაციო პალატა, უპირველესად, მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ნორმის დებულება წარმოადგენს მოპასუხის ინტერესების დაცვას და მიმართულია იმისკენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხის უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს ზიანი. აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ნებისმიერ შემთხვევაზე, არამედ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექმნება მყარი შინაგანი რწმენა შესაძლო ზიანის დადგომაზე. ზიანის დადგომის ალბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით აღნიშნული არ დასტურდება, ხოლო საჩივრის ავტორი შემოიფარგლება მხოლოდ სავარუდო ზიანის შესაძლო დადგომის ფაქტზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად არ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა მისი დაუსაბუთებლობის მოტივით, ვინაიდან შპს «პ-ს» სარწმუნოდ არ მიუთითებია მოსალოდნელი ზიანის დადგომის დამადასტურებელ გარემოებებზე, რაც გამორიცხავს მოთხოვნის ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, მან სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დებულებებით, რის შედეგადაც სწორად გადაწყვიტა ნ. ღ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, რადგანაც საქმის მასალებითა და განცხადების არგუმენტებით დასტურდება, რომ არსებობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობები, რათა სამომავლოდ არ გართულდეს გადაწყვეტილების აღსრულება, რაც შეეხება საჩივრის ავტორის არგუმენტებს, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ არის დასაბუთებული და არ ქმნის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «პ-ის» საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

#### **განჩინება**

№ას-1016-1047-2011

14 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ღ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება მოპასუხე ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ის» საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... ქუჩა №271-273-275-279-281-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდი: ...

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ივნისის განჩინებით ლ. ღ-მის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აეკრძალა ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ს» მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების 1/10 წილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, სარეგისტრაციო მონაცემები: ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართი – 1565.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი – 36/6, 36/7, 38/8, 36/9, ..., ..., ..., ..., მიმართი: ქ. თბილისი, ... ქუჩა №271-273-275-279-281, საკადასტრო კოდი: ...

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ის» თავმჯდომარე ვ. მ-მემ და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ საფუძველით, რომ ამხანაგობის საკუთრების 1/10 ნაწილი სულ ცოტა 100-ჯერ მაინც აღემატება განმცხადებელ ლ. ღ-მის კუთვნილ წილს და შეტანილ თანხას. საჩივრის ავტორის მითითებით, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უფრო მეტად ხელის შემშლელია ლ. ღ-მის მოთხოვნის რეალიზაციისათვის, ვიდრე ხელის შემწყობი, ამდენად, განმცხადებლის მიზანია, ამხანაგობის საქმიანობისთვის დაბრკოლების შექმნა, რადგან მიღებულ იქნეს ამხანაგობისთვის საზიანო და განმცხადებლისათვის სასურველი, მაგრამ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნების შესახებ (მხარეთა შორის ხელშეკრულებებით ამხანაგობას ეკისრება მშენებლობის დამთავრება და ვადის დარღვევისათვის პირგასამ-

ტეხლოს გადახდა, რომლის მაქსიმალური ოდენობა 1350 აშშ დოლარი). ამასთან, საჩივრის ავტორმა ლ. ლ-მის მიერ არბიტრაჟ «მ-ისათვის» საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართვის ფაქტი სადავოდ მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ის» საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი ვერ მოხდება ამ უფლების რეალიზაცია ანუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფა კი ამის ერთ-ერთი რეალური გარანტიაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახეს, იმ მნიშვნელოვან მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება ან მისი აღსრულებლობა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ლ. ლ-მის განმარტებით, მან გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 45 500 აშშ დოლარი, მაგრამ ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ს» დღემდე არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ ჩათვალა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გათვალისწინებით და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხეს აუკრძალა გარკვეული მოქმედების შესრულება, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ს» აუკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ ლ. ლ-მეს საარბიტრაჟო სარჩელით არბიტრაჟ «მ-ისათვის» არ მიუმართავს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია თბილისის სამედიატორო სასამართლო მუმივმოქმედი არბიტრაჟი «მ-ის» 2011 წლის 1 ივნისის განკარგულება ლ. ლ-მის საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღების შესახებ. სასამართლომ საჩივრის ავტორის პოზიცია უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნასთან შეუსაბამობაზე არ გაიზიარა, ვინაიდან ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ის» საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმა ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესსა და პირობებს, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფად მხარემ უნდა მიუთითოს, სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტულად რომელი ღონისძიების გამოყენებას ითხოვს, დაასაბუთოს მისი გამოყენების აუცილებლობა.

მოცემულ შემთხვევაში ლ. ლ-მის განცხადება ზემოხსენებული ნორმის მოთხოვნებს შეესაბამება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ, განმცხადებლის განმარტებით, ლ. ლ-მემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 45 500 აშშ დოლარი გადაიხადა, თუმცა ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ს» აღნიშნულის სანაცვლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად დააკმაყოფილა ლ. ლ-მის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ვინაიდან ამხანაგობის მიერ სადავო ქონების გასხვისებამ ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვამ შესაძლოა, გადაწყვეტილების აღსრულება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის სადავო ღონისძიების გამოყენება გამართლებულია.

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ლ. ლ-მის მიერ არბიტრაჟ «მ-ისათვის» მიმართვის ფაქტი დადასტურებულია თბილისის სამედიატორო სასამართლო მუმივმოქმედი არბიტრაჟი «მ-ის» 2011 წლის 1 ივნისის განკარგულებით ლ. ლ-მის საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღების შესახებ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 281-ის» საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ივნისისა და 21 ივნისის განჩინებები დარჩეს უცვლელი.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

**განჩინება**

№ას-1437-1452-2011

21 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ხ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ნ. ლ-ის მიმართ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის განჩინებით მოსარჩელე ნ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც მხარემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელე ნ. ლ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა 2006 წლის 22 ივნისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. ვ. ხ-ას აკურძალა სამშენებლო სამუშაოების ჩატარება ... ქუჩა მე-2 ჩიხი №2ა-ში, სასამართლოს მიერ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, რადგან სახლის მშენებლობის და სამშენებლო სამუშაოთა გაგრძელებით მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, არა თუ გაძნელებოდა, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან, დამთავრებული სახლის დემონტაჟის აუცილებლობა სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ზარალის ანაზღაურების ნაწილში, ისიც ნაწილობრივ, ხოლო სასაზღვრო მიჯნის აღმარების ნაწილში მოსარჩელეს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო, რაც მის მიერ არ გასაჩივრებულა. ნ. ლ-ის საჩივრის საფუძველზე მშენებლობის აკრძალვით ვ. ხ-ას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, თუ 2006 წლის მდგომარეობით ხ-ას სახლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 457018 ლარს, 2009 წლისათვის კი იმავე მშენებლობისათვის საჭირო თანხამ შეადგინა 724056 ლარი, რომელთა შორის სხვაობა 267 000 ლარია.

ნ. ლ-ემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია იმიტომ, რომ ვ. ხ-ას მიერ სახლის მშენებლობის გაგრძელება მოპასუხეს მიაყენებდა მნიშვნელოვან ზიანს, ხოლო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო მოთხოვნის აღსრულება გაძნელებოდა, აღნიშნული განჩინება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა ვ. ხ-ამ, სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 14 მარტს ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება. თავის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. ხ-ას მიერ სახლის მშენებლობის გაგრძელება ზიანს მიაყენებდა ნ. ლ-ეს და მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გაძნელებდა ან შეუძლებელი გახდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება. შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ სამშენებლო სამუშაოები არ გაგრძელებულიყო აფეთქებებით და მძიმე ტექნიკის გამოყენებით, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სასამარ-

თლომ დააკმაყოფილა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემდგომ მის მიერ წარდგენილ იქნა სარჩელი სასამართლოში, რომელიც გაერთიანებული იყო რამდენიმე მოთხოვნა, მათ შორის: მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება მცირე მექანიზაციების საშუალებით და ხელით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, კერძოდ: ვ. ხ-ას დაეკისრა ზიანის ანაზღაურება და დაევალა მშენებლობის გაგრძელება აფეთქებითი სამუშაოების გარეშე, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით, ხოლო ნ.ლ-ის სახლთან სამუშაოების წარმოება მხოლოდ ხელით, ტექნიკის გამოყენების გარეშე. ის გარემოება, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი ერთ-ერთი მოთხოვნა – მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვის თაობაზე – არ ნიშნავს იმას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იყო უსაფუძვლო, რადგან ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სხვა მოთხოვნები. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ვ. ხ-ა სახლის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა აფეთქებით და მძიმე ტექნიკის გამოყენებით, რაც ნ. ლ-ეს აყენებდა მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება აუცილებელი იყო, რათა შემდგომში არ მიყენებოდა იმაზე მეტი ზიანი, რაც უკვე მიაღწა. ის გარემოება, რომ მხარეს ზიანი მიაღწა ვ. ხ-ას ქმედებით, დადგენილია სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში. მოპასუხე ნ. ლ-ემ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება მისთვის ზიანის – 267 000 ლარის ოდენობით მიყენების ფაქტი.

2010 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ხ-ას სარჩელი ნ. ლ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ემ. ამასთან, ვ. ხ-ამ განცხადებით მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქ.თბილისში, ... ქ.№30-ში მდებარე, ნ. ლ-ის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის მოთხოვნით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლების საფუძველზე დაკმაყოფილდა.

2011 წლის 12 ივლისს ნ. ლ-ემ კერძო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, რაც 2011 წლის 18 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ პირის უფლებათა დროებით შეზღუდვას ემსახურება, რომელიც შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებაზე იქნება პასუხისმგებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიება იმ პირის ქონებაზე გავრცელებულ, რომელიც მოსარჩელის საპროცესო მოწინააღმდეგე მხარესა და ამავე დროს სარჩელზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს არ წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ იხელმძღვანელა ნ. ხ-ას წარმომადგენლის, მარიამ ფრიდონაშვილის მიერ წარმოდგენილი 2007 წლის 21 მაისის სანოტარო აქტით სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე და საჯარო რეესტრის ამონაწერით. ნ. ლ-ის მიერ წარმოდგენილი საჩივრითა და თანდართული მასალებით სასამართლოსათვის ნათელი გახდა, რომ აღნიშნული სამკვიდრო მოწმობა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. ამავე გადაწყვეტილებით, კ. ლ-ე ცნობილ იქნა თბილისში, ... ქუჩა №30-ში მდებარე №1 ნაგებობის მე-4 სართულის ნახევრის, №2 ნაგებობის ნახევრის, №3 ნაგებობის ნახევრის და ასევე 740 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ნახევრის მესაკუთრედ.

ამდენად, პალატამ დაუშვებლად მიიჩნია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ნ. ლ-ეს არ ეკუთვნის, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კ. ლ-ე ცნობილ იქნა შ. ლ-ის დანაშთი ქონების გაკვეთილი ნაწილის მესაკუთრედ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნ. ლ-ის საკუთრებას წარმოადგენს შ. ლ-ის დანაშთი ქონების ის ნაწილი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. ლ-ეს არ მიეკუთვნა. პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია მოთხოვნა კ. ლ-ის კუთვნილი ქონების ნაწილში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ხოლო რაც შეეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც შ. ლ-ის დანაშთი ქონებას წარმოადგენს და რომელიც კ. ლ-ეს არ მიეკუთვნა, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, წარმოადგენს ნ. ლ-ის საკუთრებას. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს მხოლოდ კ. ლ-ის კუთვნილ წილზე, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა უძრავ ქონებაზე, რომლის მახასიათებლებია ზონა – თბილისი 01, სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ... ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება. ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 740,00 კვ.მ. ნაკვეთის №64; მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.№30-ში, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1-ის IV სართულის ნახევარზე და №2 ნაგებობის ნახევარი, 28 კვ.მ. ფართით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ნ. ლ-ემ შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ლ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა ქ.თბილისში ... ქუჩა №30-ში, 740 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობებზე. აღნიშნული კი, საჩივრის ავტორის აზრით, წარმოადგენს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.



### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ლ-ის საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და განვიხილული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

ამავე კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუზნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ ზემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ელი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დანაწესი, რადგან განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ვ. ხ-ას სააპელაციო საჩივრის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა. განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნის საფუძველად მიუთითებდა ზიანის ანაზღაურებაზე, რაც გამოწვეული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით. აღნიშნული გარემოების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში არსებობს გონივრული ვარაუდი სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების დაბრკოლებისა.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. ლ-ე მოითხოვს სააპელაციო პალატის 2011 წლის 24 ივნისის განჩინების გაუქმებას, იმ საფუძველით რომ 2007 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ გაუქმდა სამკვიდრო მოწმობა ქ.თბილისში, ... ქ.№30-ში, 740 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობებზე. აღნიშნული საფუძველით თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ნ. ლ-ის საჩივარი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და ნაწილობრივ გაუქმდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, ვინაიდან, საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის საკუთრების უფლება ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთზე ნაწილობრივ გაუქმდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 18 ივლისის განჩინებით სავსებით მართებულად გააუქმა თავისი 2011 წლის 24 ივნისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა პირის ქონებაზე გავრცელების ნაწილში. რაც შეეხება ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და ნ. ლ-ის საჩივარი მისი გაუქმების დასაბუთებულ საფუძველს არ შეიცავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, და მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დებულებებით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ ხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე, 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ლ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის განჩინება ნ. ლ-ის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ**

**განჩინება**

№ას-1756-1737-2011

10 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «...ნავსადგურის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს – შპს «... ქარხანას» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 171358.09 ლარის გადახდა; სარჩელი არ დაკმაყოფილდა მეორე მოპასუხის – შპს «ჯ. შ-ის» მიმართ. ამავ გადაწყვეტილებით შპს «... ქარხანას» შპს «...ნავსადგურის» სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ, ამავდროულად, მოსარჩელეს დაუბრუნდა ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 120 ლარი, რომელიც ჩაირიცხა სახელმწიფო ხაზინაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...ნავსადგურმა», რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება შპს «ჯ. შ-ის» მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო საჩივარი შეიტანა აგრეთვე შპს «...მა ქარხანამ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის განჩინებით შპს «...ნავსადგურის» და შპს «... ქარხნის» სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე შპს «...ნავსადგურის» სარჩელისა გამო შპს «... ქარხნისა» და შპს «ჯ. შ-ის» მიმართ უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის, აგრეთვე, თანხის დაკისრების შესახებ, ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2011 წლის 27 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს «...ნავსადგურმა», რომელმაც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, შპს «... ქარხნისათვის» ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

განმცხადებლის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2009 წლის 1 ივლისს გამართული აუქციონის შედეგად გასხვისებულ იქნა შპს «... ქარხნის» ქონება, რომელიც შეიძინა შპს «ჯ. შ-მა». ეს ქონება მოიცავდა იმ ტერიტორიასაც, რომელზეც განთავსებული იყო ნავსადგურის კუთვნილი გემხარისა, თუმცა სადავო გემხარისა არ ყოფილა შეტანილი ქონების პრივატიზების ნუსხაში. აღნიშნული დასტურდებოდა აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2010 წლის 10 მაისის №01-22/1855 წერილით. მართალია, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 თებერვლის განჩინების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დადგინდა შპს «ჯ. შ-ისათვის» მის საკუთრებაში არსებული, ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვა, მაგრამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011

წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავ ქონებაზე გაუქმდა შპს «ჯ. შ-ის» საკუთრების უფლება, ასევე გაუქმდა უძრავ ნივთზე უზრუნველყოფის ღონისძიებაც და ის უძრავი ქონება, რომელზეც რეგისტრირებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება, გადავიდა შპს «... ქარხნის» საკუთრებაში. აღნიშნული დროისათვის, შპს «... ქარხნის» საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღა/აკრძალვა რეგისტრირებული არ იყო.

განმცხადებლის მოსაზრებით, რამდენადაც, შპს «... ქარხანა» მოცემულ დავაში წარმოადგენდა თანამოპასუხეს, რომლის მიმართაც ნავსადგურს მოთხოვნილი ჰქონდა სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრება შპს «ჯ. შ-თან» ერთად, ამასთან, ისეთ ვითარებაში, როდესაც შპს «ჯ. შ-ის» მიმართ გაუქმდა უზრუნველყოფის ღონისძიება, ასეთი ღონისძიების გამოყენება აუცილებელი იყო მეორე მოპასუხის – შპს «... ქარხნის» ქონებაზე. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ არსებობდა საფრთხე იმისა, რომ მოპასუხეებს მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების თავიდან აცილების მიზნით შესაძლო იყო მოეხდინათ მათ საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია, რაც ხელს შეუშლიდა შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით შპს «...ნავსადგურის» განცხადება დამაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შპს «... ქარხნის» აკრძალა მის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, ასევე ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა შპს «... ქარხანამ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებით შპს «... ქარხნის» საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება და ამ განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, გაუქმდა შპს «... ქარხნის» მიმართ აკრძალვა მის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებისა და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვის თაობაზე, შპს «...ნავსადგურის» განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

საქმის მასალებით დადგინდა, რომ შპს «... ქარხნის» სააუქციონო კომისიამ, 2009 წლის 1 ივლისს მოწყობილ აუქციონზე გაასხვისა შპს «... ქარხნის» კუთვნილი ქონება, რაც 2650000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ღირებულების გადახდის სანაცვლოდ გადავიდა შპს «ჯ. შ-ის» საკუთრებაში;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 სექტემბრის წერილითა და 13 სექტემბრის №...გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 აგვისტოს №2/816 გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონებაზე შპს «ჯ. შ-ის» საკუთრებაში გადასვლის საფუძველი და აღნიშნული უძრავი ქონება კვლავ შპს «... ქარხნის» საკუთრებად აღირიცხა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს საჩივარს, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ გაუქმდა შპს «ჯ. შ-ის» საკუთრების საფუძველი და იმ ქონების დიდი ნაწილი, რომლისთვისაც გადახდილ იქნა 2650000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი დაუბრუნდა შპს «... ქარხანას», სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 171358.09 ლარის ანაზღაურების შესახებ შპს «...ნავსადგურის» სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში არ გართულდებოდა და შეუძლებელი არ გახდებოდა სავარაუდო სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზანშეუწონელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს «...ნავსადგურმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიჩნია, რომ შპს «...ნავსადგურის» სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი ვერ იქნებოდა. მოსარჩელემ უზრუნველყოფის ღონისძიების ის სახე შეარჩია, რომლითაც მოპასუხეს თავის საქმიანობაში მაქსიმალურად არ შეეშლებოდა ხელი, ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მან მოითხოვა იმ ნივთებიდან, რომლებიც მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება. უზრუნველყოფის სახით უფრო დაბალი ღირებულების ნივთების შერჩევა ვერ მოხერხდა, რადგან შპს «... ქარხანას» სამი თითქმის ერთი და იგივე ღირებულების მქონე ნაკვეთის გარდა, საკუთრებაში არ გააჩნია სხვა ქონება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებით შპს «...ნავსადგურის» საჩივარი ამავე სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «...ნავსადგურის» საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს «... ქარხნას» აკრძალული ჰქნდა მის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, ... ქუჩის №1-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება და ნებისმიერი ფორმით უფლებრივი დატვირთვა, შპს «...ნავსადგურის» განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მოსაზრებით, არსებობს საშიშროება, რომ მოპასუხე გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რაც სამომავლოდ შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომელთა წარმოდგენის ვალდებულებაც მას ეკისრებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა, ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში არ ქმნის იმის რეალურ საშიშროებას, რომ მოპასუხე ამ ქონებას აუცილებლად გაასხვისებს და ამით საფრთხე შეექმნება გადაწყვეტილების აღსრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «...ნავსადგურის» საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა**

#### **განჩინება**

№ას-694-653-2011

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

### აღწერილობითი ნაწილი:

ო. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...-98-ის» მიმართ მოპასუხის მიერ უკანონოდ აშენებული კაპიტალური კედლის მოშლის, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ... ქუჩის მე-2 ჩიხის №3-ში მდებარე მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მხარეს ყველა ფანჯრის ღიობის ამოშენების მოთხოვნით.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 სექტემბრის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის შედეგადაც შეჩერდა ქ.თბილისში, ... ქ№12-14-სა და ... ქ№24-ში ამხანაგობა «...-98-ის» მიერ წარმოებული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღება და ამ შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში აღრიცხვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ამხანაგობა «...-98-მა».

სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე ამხანაგობა «...-98-მა» განცხადებით მიმართა სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი «ბ» ქვეპუნქტით დადგენილი უზრუნველყოფის ღონისძიებით – საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ექსპლოატაციაში მიღებული ქონების განკარგვის აკრძალვით შეცვლა. განმცხადებლის განმარტებით, არსებული უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანი ადგებათ სადავო სახლის მაცხოვრებლებს, ვინაიდან ისინი ვერ აღრიცხავენ კუთვნილ ბინებზე საკუთრების უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით ამხანაგობა «...-98-ის» წარმომადგენელ გ. კ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდა, შეიცვალა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღებისა და შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აკრძალვა და მოპასუხე ამხანაგობა «...-98-ის» ქ.თბილისში, ... ქ№12,14-ში, ასევე ... ქუჩა №24-ში აგებული შენობის ექსპლოატაციაში მიღებისა და/ან საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ აკრძალა მისი რეალიზაცია და სხვა რაიმე ფორმით განკარგვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ამავე განჩინებით განმცხადებელს განემარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების გაუმართლებლობის შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს უარი ეთქმევა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, მოსარჩელე ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურება იმას, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება, იგი ემსახურება მოსარჩელის ინტერესებს და წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალური ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს, აღნიშნული ვარაუდი სასამართლოს წარმოექმნება სპეციალური მტკიცებულების გარეშე მხოლოდ მოსარჩელის მითითების საფუძველზე, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლზე და განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა დასაშვებია მხარეთა თხოვნით საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სასამართლოს მითითებით, მხარის განცხადების საფუძველზე, განცხადების განმხილველი სასამართლო ყოველთვის დამოუკიდებლად წყვეტს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების რომელი ზომა უნდა იქნა გამოყენებული და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია სარჩელის შინაარსზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე იცავდეს მოსარჩელის ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან, გათვალისწინებულ უნდა იქნას მოპასუხის ინტერესებიც, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს ზიანი უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებით და აღნიშნული რეგლამეტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლში.

სააპელაციო პალატის მითითებით, ვინაიდან მოცემული დავის საგანი მოპასუხის შენობის ფანჯრის ღიობის ამოქოლვა და ნაგებობს დემონტაჟის დავალდებულებაა, მოცემულ დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელი არ გახდება გადაწყვეტილების აღსრულება ექსპლოატაციაში შესული და რეესტრში რეგისტრირებული ქონების განკარგვის აკრძალვის შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ო. ყ-შვილმა, მოითხოვა გააჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ღონისძიების უცვლელად დატოვება შემდეგი დასაბუთებით:

საჩივრის ავტორის მითითებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რადგანაც სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე

შუამდგომლობა წარმოდგენილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებიდან რვა წლისა და ექვსი თვის შემდეგ და ემსახურება მხოლოდ საქმის განხილვის გაჭიანურებას, რადგანაც განმცხადებელს არ დაუსაბუთებია, თუ რა ზიანი ადგებათ ამხანაგობის წევრებს ან ასეთი ზიანი მანამდე რატომ არ ადგებოდათ მათ, ამ კითხვაზე სასამართლოს განჩინებით პასუხი არ გაუცია. სასამართლოს სადავო განცხადება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად, არ უნდა მიეღო განსახილველად. აპელანტს სასამართლოსათვის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება, ასევე ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის დანაწესი, რადგანაც სასამართლოს მიერ შეცვლილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ხელისშემშლელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულებისა მოცემული დავის სამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, მოპასუხე ამხანაგობას უფლება აქვს, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების რეჟიმიდან გადავიდეს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის რეჟიმში, რა დროსაც ბინის მესაკუთრეები საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებს აღრიცხავენ ინდივიდუალურ საკუთრებად და შეძლებენ კუთვნილი წილის გასხვისებას ამხანაგობისაგან დამოუკიდებლად, ასეთ შემთხვევაში დავის მონაწილე სუბიექტები შეიცვლებიან – ამხანაგობა შეიცვლება მისი სუბიექტებით, რასაც შედეგად დავის გადაწყვეტის გაჭიანურება მოჰყვება.

ო. ყ-შვილის მითითებით, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი – ა. ხ-ი ადმინისტრაციული წესით ედავება მას რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის შესახებ და სწორედ საქმის განხილვის გაჭიანურების მიზანი ჰქონდა უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლასაც.

სასამართლოს ზემოაღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა ასევე ეხელმძღვანელო სამოქალაქო კოდექსისა და «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებებით და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოეტანა.

ო. ყ-შვილის მითითებით, გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ელი ნაწილის და მე-2 ნაწილების «ა» და «გ» ქვეპუნქტებს, ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტს, 285-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტსა და 102-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის განჩინებით ო. ყ-შვილის საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განსახილველად გადმოეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ო. ყ-შვილის საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი დასასვებია საქმის განხილვის ყველა სატადაზე. დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

კანონმდებელი ასეთ ცვლილებას დასაშვებად თვლის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია არა იმიტომ, რომ გაჭიანურდეს საქმის განხილვა, არამედ, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც საჭიროდ ჩათვლის.

ამდენად, უსაფუძვლოა ო. ყ-შვილის მტკიცება, რომ ამხანაგობა «...-98-ს» არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თხოვნით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დღიდან რვა წლის შემდეგ, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დღიდან ადგებოდა ზიანი და ის ამ ზიანის აღსაკვეთად არ ახორციელებდა საკუთარი უფლების დაცვას, აღნიშნული ამხანაგობა «...-98-ის» სამოქალაქო რისკია და, როგორც უკვე აღინიშნა, მხარის დისპოზიციურ უფლებათაგან ერთ-ერთს განეკუთვნება.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სასამართლომ შუამდგომლობის განხილვით დაარღვია 215-ე მუხლის მოთხოვნები, რადგანაც, აღნიშნული ნორმით დადგენილია მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადების განხილვის ზოგადი წესი, ანუ საქმის განხილვის დროს მხარეთა მიერ წარდგენილი ამა თუ იმ შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალური გზა, მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა, რომელიც რეგულირდება სპეციალური ნორმით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მეორე ნაწილით, სადაც ნათლადაა გადმოცემული, რომ მხარეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თხოვნით შეუძლია სასამართლოს მიმართოს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მოსარჩელის ინტერესებს ემსახურება და ადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. დასახელებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს მართალია მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეეკმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი, ამასთან, მიუხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული თავად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უფრო ეფექტური და მართებული გამოდგება ამ სარჩელის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა კი სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ო.ყ.-შვილის მითითებას, რომ ამხანაგობას უფლება აქვს, «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მესაკუთრეები უფლებამოსილი იქნებიან, გაასხვიონ ინდივიდუალური საკუთრება, ასევე, რომ საჭირო გახდება უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა, რაც დავის განხილვას გააჭიანურებს, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის შეცვლილი ღონისძიება რეესტრში რეგისტრირებული და ექსპლუატაციაში მიღებული მშენებლობის განკარგვის აკრძალვაა, აღნიშნული თავისთავად გულისხმობს, უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, უფლებამონაცვლისათვის წინამორბედის მიმართ დაწესებული ამა თუ იმ შეზღუდვის გავრცელებას უფლებამონაცვლის მიმართაც უფლებამონაცვლეობის ზოგადი წესიდან გამომდინარე, ხოლო, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში მხარეს წარმოადგენს ამხანაგობა, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, თავის განჩინებით სამომავლოდ, სავარაუდო უფლებამონაცვლისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინასწარ დაედგინა გარკვეული შეზღუდვები, ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებებსაც (2011 წლის 29 აპრილის განჩინება), რომ სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილი არც ერთი დავა უფლებამონაცვლეობისაგან წინასწარ დაზღვეული არ არის და, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის მიუხედავად, აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. თავად უფლებამონაცვლეობა კი არსებითად არ არღვევს მოსარჩელის მიერ სასამართლო წესით დაცვად უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, მან სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დებულებებით, რის შედეგადაც სწორად გადაწყვიტა ამხანაგობა «...-98-ის» განცხადება, რაც შეეხება სარჩივრის ავტორის არგუმენტებს, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ არის დასაბუთებული და არ ქმნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ო. ყ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

№ას-258-242-2011

10 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**განმცხადებლის მოთხოვნა:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შ. ჯ-დემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ა-ძის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მან მოპასუხის კუთვნილი ნავი აღადგინა, რისთვისაც გასწია 1047 აშშ დოლარის ხარჯი, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა გ. ა-ძისათვის მის სასარგებლოდ ამორტიზებული ნავის აღდგენისათვის გაწეული ხარჯის – 1047 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ შ. ჯ-დეს ნავზე სარემონტო სამუშაოები არ შეუსრულებია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ჯ-დემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება – 700 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შ. ჯ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ა-ძეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 1047 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, შ. ჯ-ძის სარჩელი ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გ. ა-ძეს შ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გაწეული საპროცესო ხარჯების – 400 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მასზე, რომ 1983 წლიდან გ. ა-ძეს საკუთრებაში გააჩნდა ხის გემი – ნახევარბარკასი, რომელმაც 2006 წელს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე თავისი კუთვნილი ხის გემი გადასცა შ. ჯ-ძეს.

შ. ჯ-დემ გ. ა-ძისაგან სარგებლობაში მიღებულ ხის გემზე ჩაატარა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები და 2006 წლის 11 დეკემბერს საკუთრებაში დაირეგისტრირა, როგორც ახლად აგებული ნახევარბარკასი.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით – შპს „ბ. გ-ას“ მიერ გაცემული ცნობით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დადგენილი იყო საშენი მასალების საბაზრო ღირებულებები („ოლიფა» 1 კგ-4 ლარი; მანქანის „შპაკლი» 1 კგ-6 ლარი. საღებავი თეთრი 1 კგ – 6,50 ლარი; საღებავი ლურჯი 1 კგ – 6,50 ლარი პენელის წებო 1 ტუბიკი – 5,70 ლარი; სილიკონი 1 ცალი – 10 ლარი; უჟანგავი გრებილი ლურსმანი 1 კგ – 4 ლარი; „შკურკა» 1 კვ.მ. – 2 ლარი)

საქმეში განთავსებული ე. მ-ძისა და შ. ჯ-ძის ხელმოწერით შედგენილი აქტით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ჯ-ძის მიერ ე. მ-ძისათვის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად გადაცემული ხის ნავი იყო ექსპლოატაციისათვის უვარგისი, ცუდი შენახვის შედეგად დამპალ მდგომარეობაში, რომლის შესაკეთებლად საჭირო ყველა მასალა მიიტანა შ. ჯ-დემ და მანვე აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება ე. მ-ძეს – 500 აშშ დოლარის ოდენობით.

მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დღეისათვის სადავო ზომამცირე გემი-ნახევარბარკასი გ. ა-ძის საკუთრებაში იყო რეგისტრირებული და მისსავე მფლობელობაშია. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარემ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შ. ჯ-დემ ნავს კაპიტალური შეკეთება ჩაუტარა, მხოლოდ სადავო გახადა სარემონტო სამუშაოების ღირებულებით.



ბა, ასევე შ. ჯ-მისათვის ნავის გადაცემის დროისათვის მისი ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 600-700 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ მთავარ სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენლის განმარტებით გამოარკვია, რომ ძრავის გარეშე ახალი ნავის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 1000 აშშ დოლარს, ხოლო ძრავით გაცილებით მეტს – 1500-2000 აშშ დოლარს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა განმარტებების საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან გ. ა-მემ, შ. ჯ-მეს დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცა თავისი კუთვნილი ზომამცირე გემი-ნახევარბარკასი, რომელიც გადაცემის დროისათვის ექსპლოატაციისათვის უვარგისი იყო, მხარეთა შორის ურთიერთობის შეფასებისას უნდა გამოყენებულიყო თხოვების ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 615-ე, 619-ე 975-ე 987.1-ე მუხლებზე და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გაიზიარა მოსარჩელეს მითითება მასზე, რომ გ. ა-მისაგან გადაეცა ექსპლოატაციისათვის უვარგისი ნივთი, რომელიც რემონტის შედეგად განახლებულია და სარემონტო სამუშაოების ჩატარებით დღეისათვის მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ახალი ნავის ღირებულება ძრავის გარეშე შეადგენდა დაახლოებით 1000 აშშ დოლარს, ხოლო ძრავთან ერთად გაცილებით მეტი ღირებულების იყო (1500-2000 აშშ დოლარი), ექსპლოატაციისათვის უვარგისი ნივთზე 1047 აშშ დოლარის ოდენობით ხარჯების გაწევა, რის შედეგადაც ნივთი გახდა ვარგისი, სასამართლომ ჩათვალა, რომ შეუსაბამოდ მაღალი არ იყო.

ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს წარმოდგინა ნავის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მოპასუხეს კი მათი უარყოფელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოდგენია, მხოლოდ მითითება იმ გარემოებაზე, რომ გაწეული ხარჯები შეუსაბამოდ მაღალია, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპლოატაციისათვის ვარგისი, გამართულ მდგომარეობაში (ძრავთან ერთად) დაბრუნებული ნავზე გაწეული ხარჯის 1047 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ნივთზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც შ. ჯ-მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, სსსკ-ის 383-ე მუხლისა და 394-ე მუხლის ე<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რის გამოც საქმეზე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველად შეიძლება მიჩნეულიყო. მოსარჩელეს კი, არ ჰქონდა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა მის მიერ თითქოსდა ჩატარებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებას, ან ფაქტობრივ გარემოებას მასზე, საერთოდ ჰქონდა თუ არა ჩატარებული სამუშაოები.

კასატორის აზრით, გაუგებარია, სააპელაციო პალატამ რატომ ჩათვალა, რომ მხარეებს შორის დადებული იყო ზეპირი ფორმით თხოვების ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაში საერთოდ არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, რომ მხარეთა შორის დადებული იყო მიბარების (შენახვის) ხელშეკრულება და არა თხოვების ხელშეკრულება. თვით მოსარჩელესაც კი, არასდროს მიუთითებია, რომ მათ შორის თხოვების ხელშეკრულება იყო დადებული.

ამასთან, კასატორის აზრით, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განჩინებით მხარეთა შუამდგომლობა დავის მორიგების გზით დამთავრების შესახებ დაკმაყოფილდა, დამტკიცდა მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორი გ. ა-მე შ. ჯ-მეს გადაუხდის 500 აშშ დოლარს;

2. შ. ჯ-მე მიიღებს გ. ა-მისაგან 500 აშშ დოლარს და არ ექნება არავითარი პრეტენზია იმ ნავთან დაკავშირებით, რომელიც რჩება გ. ა-მის საკუთრებაში;

3. მხარეები თანხმდებიან ნავს ყადაღა მოეხსნას თანხის გადახდის შემდეგ 1 კვირის განმავლობაში.

2011 წლის 6 ივნისს გ. ა-მემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – გა-მის კუთვნილ ზომამცირე გემზე (ნავზე) (სარეგისტრაციო ნომერი –...) დადებული ყადაღის გაუქმება.

განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა მის მიერ სს ... ბანკის ბათუმის ფილიალში შ. ჯ-ძის პირად ანგარიშზე 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის – 821 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ა-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით შ. ჯ-ძის მოთხოვნის საფუძველზე, ყადაღა დაედო გ. ა-ძის კუთვნილ ზომამცირე გემს (ნავს) (სარეგისტრაციო ნომერი –...). აღნიშნული დავის საკასაციო წესით განხილვისას 2011 წლის 20 მაისს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ. მხარეთა აღნიშნული შუამდგომლობა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა. მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე გ. ასამბაძის მიერ მხარეთა შორის მორიგების აქტით შეთანხმებული თანხის გადახდა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სს ... ბანკის ბათუმის ფილიალში შ. ჯ-ძის პირად ანგარიშზე 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის – 821 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრით დასტურდება გ. ა-ძის მხრიდან მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – გ. ა-ძის კუთვნილ ზომამცირე გემის (ნავის) (სარეგისტრაციო ნომერი –...) დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 199<sup>1</sup> მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

გ. ა-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას გ. ა-ძის კუთვნილ ზომამცირე გემს (ნავს), რომლის რეგისტრაციის ნომერია – ....

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

**განჩინება**

№ას-1233-1083-2010

28 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 25 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ნ. და ზ. ხ-შვილებმა მოპასუხეების – ნ. გ-ძის და რ. ღ-ელის, მესამე პირების – მ. შ-შვილისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა. ნ. გ-ძეს, რ. ღ-ელსა და მ. შ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა 90 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; ბ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება მიწის ნაკვეთის დასახელებული ფართის ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. და ნ. ხ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ზ. ხ-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

2010 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ზ. და ნ. ხ-შვილების წარმომადგენელმა რ. შ-ძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ქობულეთში, ... ქ.№4-ში მდებარე, იპოთეკით დატვირთულ სადავო მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება და საჯარო რეესტრის სამსახურისათვის აღნიშნული ქონების გასხვისების აკრძალვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აგვისტოს განჩინებით ნ. და ზ. ხ-შვილების განცხადება დაკმაყოფილდა, მათი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ.ქობულეთში, ... ქ.№4-ში ნ. გ-ძისა და რ. ღ-ელის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებიდან 90 კვ.მ მიწის ნაკვეთს (უძრავი ქონების მახასიათებლები: ქობულეთი 20, სექტორი – ქ.ქობულეთი 12, კვარტალი – 03, ნაკვეთი 660).

სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ნ. გ-ძემ, რომლებმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ზ. და ნ. ხ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აგვისტოს განჩინება, ყადაღა მოეხსნა ქ.ქობულეთში, ... ქ.№4-ში ნ. გ-ძისა და რ. ღ-ელის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებიდან 90 კვ.მ მიწის ნაკვეთს (უძრავი ქონების მახასიათებლები: ქობულეთი 20, სექტორი – ქ.ქობულეთი 12, კვარტალი – 03, ნაკვეთი 660).

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორის ნ. გ-ძის მოთხოვნა საფუძველიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ნ. ხ-შვილებმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ნ. ხ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. და ნ. ხ-შვილების სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინებით საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი თავისთავად გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან სარჩელის იურიდიული ბედი, რომლის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო სადავო უძრავ ქონებას – გადაწყვეტილია, კერძოდ, ნ. ხ-შვილს სასამართლო გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თუნდაც არ ყოფილიყო გაუქმებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, საკასაციო სასამართლო თავად იქნებოდა უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილებით გაუქმებინა ეს ღონისძიება, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ხ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

#### **განჩინება**

№ას-1520-1527-2011

28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

კ. გ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ი. ჟ-ის მიმართ და მოითხოვა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ. გ-ე ცნობილ იქნა ი. ჟ-ის სახელზე რიცხული თბილისში, ... №3-ში, მე-4 სართულზე მდებარე, №12 ბინის, თბილისში, ... №3-ში, №12 ბინის თავზე არსებული 171,46 კვ.მ. სხვენისა და თბილისში, ... მდებარე 13.96 კვ. მ. სარდაფის 1/3 ნაწილის მესაკუთრედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა კ. გ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით კ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. კ. გ-ე ცნობილი იქნა საჯარო რეესტრში ი. ჟ-ის სახელზე რიცხული თბილისში, ... №3-ში, მე-4 სართულზე მდებარე, №12 ბინის, თბილისში, ... №3-ში, №12 ბინი თავზე არსებული 171,46 კვ.მ. სხვენისა და თბილისში, გ-ას გამზირზე მდებარე 13.96 კვ. მ. სარდაფის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და შესულია კანონიერ ძალაში. სააღსრულებო ფურცელი გაცა 2011 წლის 29 ივნისს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას 2011 წლის 7 ივლისის განცხადებით მომართა კ. გ-ის წარმომადგენელმა მ. მ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა კ. გ-ის განცხადება და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ი. ჟ-ემ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სურს ბინის გასხვისება, რათა შვილი ქონების გარეშე დატოვოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა. განსახილველ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, მოცემულ საქმეზე დავა მხარეებს შორის არსებითად დასრულებულია. შესაბამისად, აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის საფუძველი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ჟ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის დანაწესი, რადგან განსახილველ შემთხვევაში არსებობდა კ. გ-ის განცხადების სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების და მისი აღსრულების საშუალებას წარმოადგენს. მოცემულ საქმეზე დავა მხარეებს შორის არსებითად დასრულებულია, სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი. ამდენად, ი. ჟ-ის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი და მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დებულებებით, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. ჟ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

№ას-513-823-09

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა, საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ლ-ამ მოპასუხეების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ისა» და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა. ამხანაგობის წევრობიდან მისი გარიცხვის ნაწილში თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ბ. ამხანაგობის წევრობიდან მისი გარიცხვის ნაწილში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» კრების ოქმისა და დადგენილების გაუქმება; გ. ამხანაგობის წევრად აღდგენა შეტანილი თანხის (წილის) პროპორციულად, თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული ხუთოთახიანი ბინის მიღების უფლებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 აგვისტოს განჩინებით ნ. ლ-ას სარჩელი მოპასუხეების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ისა» და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» კრების ოქმისა და დადგენილების გაუქმების, ამხანაგობა «... 88-ის» წევრად აღდგენის მოთხოვნის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2007 წლის 7 დეკემბერს ნ. ლ-ამ იმავე სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ბ. ამხანაგობის წევრობიდან მისი გარიცხვის ნაწილში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» კრების დადგენილების გაუქმება; გ. მასა და ამხანაგობას შორის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა; გ. შეტანილი თანხის პროპორციულად ამხანაგობის წევრად ცნობა და მოპასუხისაგან ხუთოთახიანი ბინის მიღების თაობაზე მოთხოვნის უფლების დადგენა.

2008 წლის 11 მარტს ნ. ლ-ამ იმავე სასამართლოში კვლავ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, მდებარე თბილისი, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19, განსაზღვრა, გამოყოფა და ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა 136კვ.მ ძირითადი და 40კვ.მ დამხმარე ფართის, ამხანაგობაში შეტანილი წილის პროპორციულად; საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

საბოლოოდ, მოსარჩელის მოთხოვნები ამგვარად ჩამოყალიბდა: ა. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, მდებარე თბილისი, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19, მის საკუთრებაში არსებული წილის (ამხანაგობაში შეტანილი თანხის პროპორციულად) განსაზღვრა, გამოყოფა და ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა, თავდაპირველად განსაზღვრული ხუთოთახიანი ბინის მიღების უფლებით; ბ. ამხანაგობის უძრავი ქონებიდან, მდებარე თბილისი, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19, 136კვ.მ ძირითადი და 40კვ.მ დამხმარე ფართის მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებაში აღრიცხვა; გ. საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, კერძოდ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» წევრთა საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის, მდებარე, ბლოკი «V», სართული «V», ბინა №164, ფართით 119.19კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის №20, მდებარე ბლოკი «V», მე-5 სართულზე, ფართით 54.91კვ.მ ნ. ლ-ას ინდივიდუალურ საკუთრებად აღრიცხვა-რეგისტრაცია.

მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

1988 წლის 8 სექტემბერს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის №18.50.584 გადაწყვეტილებით შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88» და ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18-ში მცხოვრებ მოქალაქეებს დაერთოთ სახლების აღების და საკუთარი სახსრებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების უფლება. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხანაგობა «... 88-ში» გაწევრიანდა რამდენიმე ფიზიკური პირი. 1991 წლისათვის ამხანაგობაში გაწევრიანებული იყო 110 ოჯახი, მათ შორის, ნ. ლ-ა.

თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ა ამხანაგობაში გაწევრიანდა 5-ოთახიანი ბინის მიღების უფლებით. ბინის ფართობის რაოდენობა განისაზღვრა ოთახების რაოდენობის მიხედვით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 8 სექტემბრის №582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, რომლის თანახმად, ხუთოთახიანი ბინების ფართობი სასაფხულო სათავსების გარეშე განისაზღვრა 136კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართი – 40კვ.მ-ის ოდენობით.

მოსარჩელის მითითებით, 1990-1991 წლებში მან გადაიხადა ბინათმშენებლობისათვის დადგენილი საპაიო შენატანი. 2002 წლის 8 თებერვალს თ-ის ქ. №7, 8, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში მდებარე ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» წევრების, მათ შორის, ნ. ლ-ას საკუთრებად.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ამხანაგობა «... 88-ის» საერთო კრების 1994 წლის 22 იანვრის №25 დადგენილება, რომელზე დაყრდნობითაც მოპასუხე უარყოფდა ნ. ლ-ას ამხანაგობის წევრად ყოფნის ფაქტს, ბუნებაში არ არსებობდა. შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელის ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის სამართლებრივი საფუძველი.

იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობის წინაშე ვალდებულება შესრულებული ჰქონდა შენატანების განხორციელების სახით, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ იგი წარმოადგენდა თბილისში, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში მდებარე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» ქონების მესაკუთრეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საბურთალოს რაიონში ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ... ქუჩის მცხოვრებთა თხოვნა სახლების აღებისა და მათ ტერიტორიაზე კოლექტიური ამხანაგობის მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობის შესახებ;

ამხანაგობა «... 88» წარმოადგენდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს;

თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ა ამხანაგობაში გაწევრიანდა ხუთოთახიანი ბინის მიღების უფლებით;

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ სადავო გზადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილია, რომ ამხანაგობა «... 88-ს» საერთო კრების 1994 წლის 22 იანვრის №25 დადგენილების საფუძველზე, თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობამ 1994 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება №3.20.55 მშენებლობის თანხის შეუტანლობის გამო ნ. ლ-ას ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის შესახებ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია, რომ ნ. ლ-ას ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის შემდეგ ამხანაგობის წევრად აღდგენის ან ხელახალი მიღების თაობაზე ამხანაგობის კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ნ. ლ-ა 1994 წლიდან გარიცხულია კოოპერატივის წევრობიდან მშენებლობის თანხის შეუტანლობის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შედეგად საცხოვრებელი ბინის მიღების უფლება მოსარჩელეს არ წარმოშობია. აქედან გამომდინარე, სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ნ. ლ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მან მიწის ნაკვეთისა და ფულადი სახით განხორციელებული შენატანის საფუძველზე მოიპოვა ბინაზე საკუთრების უფლება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამხანაგობის შექმნის მომენტში მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა სახელმწიფო. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ ამხანაგობის წევრებზე სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონება (მიწის ნაკვეთი) ჩაითვალა მისი წევრების მიერ ამხანაგობაში განხორციე-

ლებულ შენატანად. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 8 სექტემბრის №582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული «თბილისში, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ» დებულების მე-20 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობის წევრები, რომლებიც არ შეიტანდნენ დადგენილ ფულად შენატანებს, კარგავდნენ ამხანაგობის წევრობის უფლებას. ამდენად, აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ იქნა შენატანის განხორციელება ფულადი სახით. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» 2003 წლის 20 ნოემბრის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით არ დგინდებოდა მხარეთა შეთანხმება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შენატანად ჩათვლის შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმებით ამხანაგობაში განხორციელებულ შენატანს და შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება არ წარმოადგენდა ასაშენებელ ბინაში საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88-ის» 2003 წლის 20 ნოემბრის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ამხანაგობის გამგეობა ვალდებულია განახორციელოს მშენებარე საცხოვრებელი სახლის განაწილება ამხანაგობისათვის ამხანაგობაში შეტანილი ქონების ან მათ მიერ ამხანაგობისათვის გაწეული საქმიანობის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ ნ. ლ-ამ 1990-91 წლებში განახორციელა ფულადი შენატანი 90 000 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, დგინდებოდა, რომ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობამ 1994 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება №3.20.55 მშენებლობის თანხის შეუტანლობის გამო ნ. ლ-ას ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის განმარტება ამხანაგობის წინაშე ვალდებულების შესრულების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ მისი ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი მიღებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ნ. ლ-ამ ვერ დაამტკიცა, რომ მის მიერ განხორციელებული შენატანი (90 000 მანეთი) შეესაბამებოდა ხუთოთახიანი ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი საერთო ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ამ (წარმომადგენლები: ა. ლ-ა, კ. ბ-ი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად სხვა საფუძველებთან ერთად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნ. ლ-ამ ვერ დაადასტურა მის მიერ განხორციელებული შენატანის (90 000 მანეთი) შესაბამისობა ხუთოთახიანი ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან. ამასთან, სასამართლომ არასაკმარისად ჩათვალა მხარის არგუმენტაცია ამხანაგობაში პაის სახით მიწის ნაკვეთის შეტანის შესახებ და აღნიშნული ქმედება არ მიიჩნია ასაშენებელ ბინაში საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველად. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა ნ. ლ-ას ამხანაგობიდან გარიცხვის ფაქტობრივი საფუძველების შესახებ, კერძოდ, აპელირება გააკეთა თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის №3.20.55 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც კასატორის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის და გამგეობის გადაწყვეტილების მიღების საფუძველად დასახელებულია ამხანაგობა «... 88-ს» 22.01.1994წ. №25 კრების ოქმი, როგორც ამხანაგობის კოლექტიური ხელშეკრულების მონაწილეთა გადაწყვეტილება, რომელიც ბუნებაში არ არსებობს.

კასატორის მტკიცებით, 1990-1991 წლებში მან ამხანაგობის სიტყვიერი მოთხოვნის შესაბამისად განახორციელა საპაიო შენატანები 90 000 მანეთის ოდენობით მისაღები ბინის ღირებულების პროპორციულად. აღნიშნული დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, გადახდის ქვითრებით და აღიარებულია მოპასუხის მიერ. დასახელებული თანხა იყო იმ ღირებულების პროპორციული, რაც მოსარჩელეს უნდა მიეღო. მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი წარმოადგენს მის წილს საერთო საკუთრებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ნ. ლ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქ-



ტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობებს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ა გაწვერიანდა თ-ის ქუჩაზე ასაშენებელ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში 5-ოთახიანი ბინის მიღების უფლებით;

ნ. ლ-ამ 1990-1991 წლებში ამხანაგობაში შეიტანა 90000 მანეთი;

ამხანაგობა «... 88»-ის 1994 წლის 22 იანვრის საერთო კრების №25 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობამ 1994 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება №3.20.55 ნ. ლ-ას ამხანაგობიდან გამოყვანის შესახებ;

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით შექმნილი ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88»-ის უფლებამონაცვლეა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 88.»

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. ლ-ას სასარჩელო მოთხოვნა ამხანაგობა «... 88»-ის საერთო ქონებიდან მისი კუთვნილი წილის გამოყოფა, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით კი, იგი გაყვანილია ამხანაგობიდან. საქმეში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ლ-ას სარჩელი გამგეობის ზემომითითებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ამდენად, არსებული მდგომარეობით, ნ. ლ-ა «... 88»-ის წევრი აღარ არის, შესაბამისად, შეუძლებელია ამხანაგობის საერთო ქონებაში წილი გააჩნდეს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი სასარჩელო მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

კასატორი ასევე სადავოდ ხდის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მარტის საოქმო განჩინებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე ნ. ლ-ამ 2008 წლის 20 მაისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დართვის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ნ. ლ-ა კი, თავის შუამდგომლობაში ამგვარ გარემოებებზე არ მიუთითებდა, შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა განუხილველად მართებულად დატოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერი და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ნ. ლ-ას შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედო თბილისში, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში, ბლოკი II, IV სართულზე მდებარე №45 ბინას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით კანონიერ ძალაში შედის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება ნ. ლ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ზემომითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 199-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ლ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინება;

3. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადაღა მოეხსნას თბილისში, ... ქ. №7, 9, 11, 11ა, 16, 18, 19-ში, ბლოკი II, IV სართულზე მდებარე №45 ბინას; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

№ას-174-164-2011

9 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

განმცხადებლის მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბ. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ნ-ის მიმართ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, კერძოდ, მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე მის მიერ ნაყიდი საცხოვრებელი ბინის 7/16 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა მოპასუხისათვის სადავო ბინის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის საწინააღმდეგოდ, ან მოპასუხემ გადაუხადოს საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულების 90%. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 7/16 ნაწილის ჯ. ნ-ის მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ და სადავო ბინის მესაკუთრედ მოსარჩელის აღრიცხვა საჯარო რეესტრში.

მოპასუხე ჯ. ნ-მა სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული ბინა არასდროს გაუყიდა და რაიმე ხელშეკრულება, როგორც მხარესთან, არასდროს გაუფორმებია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ჯ. ნ-ს დაეკისრა ბ. დ-ისათვის ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 7/16 ნაწილის საბაზრო ღირებულების – 19680 ლარის 90%-ის (17 712 ლარის) გადახდა, მითითებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბ. დ-ს დაეკისრა ჯ. ნ-ისათვის ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 7/16 ნაწილის საბაზრო ღირებულების – 19680 ლარის 10%-ის (1968 ლარის) გადახდა, რის შემდეგაც გაუქმდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში ჩანაწერი ჯ. ნ-ის ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 7/16 ნაწილის მესაკუთრედ აღრიცხვის შესახებ და აღნიშნული ბინის მესაკუთრედ აღრიცხოს ბ. დ-ი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ნ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბ. დ-ის მიერ ჯ. ნ-ისათვის ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 7/16 ნაწილის ღირებულების – 19 680 ლარის 10%-ის 1968 ლარის გადახდის საწინააღმდეგოდ, ქ. ქუთაისში, ... ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 7/16 ნაწილი აღირიცხა ბ. დ-ის სახელზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ნ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორმა განმარტა, რომ სასამართლომ სრულყოფილად და ყოველმხრივ არ გამოიკვლია და არ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ შეუსაბამა იგი გამოყენებულ კანონს, რის გამოც მიიღო არასწორი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, კერძოდ, სასამართლომ არამართებულად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა წარმოიშვა 1992 წლიდან, ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ჯ. ნ-ის კუთვნილება სადავო უძრავ ქონებაზე დასტურდება 1996 წლიდან, საიდანაც დგინდება, რომ ჯ. ნ-ის ყველა გარიგება ბინის გაყიდვის თაობაზე არაკანონიერია და მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა;

კასატორის აზრით, საქმეზე ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზა არასრული იყო, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ ხელწერილზე ხელმოწერა შესრულებულია ჯ. ნ-ის მიერ, თუმცა არაფ-

რი აღნიშნულა იმის შესახებ, რომ ხელწერილის შედგენის თარიღი არ შეუსრულებია ჯ. ნ-ს, მიუხედავად იმისა, რომ მას საქართველოს სსკ-ის 168.4-ე მუხლით ევალებოდა აღნიშნულის თაობაზე მიეთითებინა დასკვნაში, რაც სასამართლოს სხდომის მსჯელობის საგანი გახდებოდა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ 1992 წელს მხარეთა შორის დაიდო შინაურული ნასყიდობის ხელწერილი სადავო ბინაზე და ბ. დ-მა მას გადაუხადა ბინის საფასური, ვინაიდან, გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, საქმეში არ მოიპოვება 1992 წელს შედგენილი შინაურული ხელწერილი და არც რაიმე მტკიცებულება, რაც სარჩელს დაასაბუთებდა;

კასატორის აზრით, არასწორი იყო ასევე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ 1995 წლის დეკემბერში ჯ. ნ-ი ცხოვრობდა სადავო ბინაში, რომელიც 1996 წლის აპრილიდან გადავიდა აღნიშნული ბინიდან და აქედან მოყოლებული იქ ცხოვრობდა ბ. დ-ი ოჯახით და ამასთან, 1995 წლამდე აღნიშნულ ბინაში, აპელანტის თანხმობით, ცხოვრობდა მოსარჩელე, მამინ, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის საუბარი იმაზე, რომ ბ. დ-ი 2010 წელს ადმინისტრაციული წესით გამოსახლებულ იქნა სადავო ბინიდან;

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ბ. დ-ი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, არასწორად მიიჩნია სადავო ბინის მოსარგებლე პირად, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან რაიმე მტკიცებულება, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარის მოსარგებლეობა დადასტურდებოდა, საქმეში არ მოიპოვება;

სასამართლო არ დაინტერესდა და არ გამოიკვლია 1996 წლის შემდეგ, როდესაც სადავო ბინა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, ბ. დ-მა რატომ არ გაიფორმა შესყიდული ბინა თავის სახელზე და, თუ არსებობდა ხელისშემშლელი გარემოებები, რატომ არ მიმართა უფლების დასაცავად შესაბამის ორგანოებს;

კასატორის განმარტებით, სასამართლომ მას წაართვა მესაკუთრის უფლება და ისე გაუუარესა მდგომარეობა, რომ რაიმე საფუძველი ან სამართლებრივი ნორმა არ მიუთითებია, მით უმეტეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თავდაპირველ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფორმალურად უცვლელ გარიგებას, რაც მხარეებს შეეძლოთ აღერიცხათ იმ დროს მოქმედი წესების დაცვით, მაგრამ არ აღრიცხეს, რაც არ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ ობიექტურ შეზღუდვებთან.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებზე იმის შესახებ, რომ 1995 წლის 22 დეკემბრის ხელწერილით, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1992 წელს სადავო ბინა ჯ. ნ-მა მიჰყიდა ბ. დ-ს, მიღებული აქვს იმ დროისათვის 3-ოთახიანი ბინის ღირებულების შესაბამისი თანხა, მაგრამ ვერ გადაუფორმა პრივატიზაციის უქონლობის გამო; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ურთიერთობა არ წესრიგდებოდა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონით და მიიჩნია, რომ აღნიშნული ურთიერთობა უნდა შეფასებულიყო 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ამ კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტებით, რაც წარმოადგენდა ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ საფუძველს. 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად კი, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამავე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, ბათილია გარიგების თითოეული მხარე მოვალეა, დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიიღო, ხოლო, როცა მიღებულის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულით, თუ კანონში არ არის გათვალისწინებული გარიგების ბათილობის სხვა შედეგები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე და იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარებოდა.

2011 წლის 2 დეკემბერს ჯ. ნ-ის წარმომადგენელმა ა. ბ-ემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ჯ. ნ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონების 7/16 ნაწილზე (მდებარე, ქ. ქუთაისში, ... ქ.№8/27-ში)) დადებული ყადაღის გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ნ-ის წარმომადგენელ ა. ბ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ყადაღა დაედო ჯ. ნ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონების 7/16 ნაწილს (მდებარე, ქ. ქუთაისში, ... ქ.№8/27-ში).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ბ. დ-ის სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არ დაკმაყოფილდა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ჯ. ნ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონების 7/16 ნაწილის (მდებარე, ქ. ქუთაისში, ... ქ.№8/27-ში) დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 199<sup>1</sup> მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. ნ-ის წარმომადგენელ ა. ბ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ჯ. ნ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული უძრავი ქონების 7/16 ნაწილს (მდებარე, ქ. ქუთაისში, ... ქ.№8/27-ში).

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოსარჩელის გამოუცხადებლობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-1299-1144-10

17 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. და ს. ხ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. ე-იანის მიმართ რ.მ-იანის მემკვიდრედ და ქ.თბილისში, ... მე-4 კვარტალში, პირველ კორპუსში მდებარე №75 ბინის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო ამავე კოლეგიის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 აპრილის განჩინებით ა. და ს. ხ-ძეების სააპელაციო საჩივარი ს. ხ-ძის მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ა. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე გაუქმდა და საქმე ა. ხ-ძის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ შპს «სამედიცინო ცენტრის ...» მიერ (ექიმი ნ. ც-ძე) გაცემულ ცნობაზე, რომლის თანახმად, ა. ხ-ძის წარმომადგენელი 2009 წლის 1 დეკემბერს იმყოფებოდა ზემოხსენებულ სამედიცინო დაწესებულებაში ამულატორიულ მიღებაზე და დაესვა დიაგნოზი ალგოდისმენორეა. აღნიშნული დიაგნოზი წარმომადგენს რა მტკივნეულ მენტრუაციებს, შეიძლება ხასიათდებოდეს ისეთი სიმპტომებით, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პირს როგორც პროცესზე გამოცხადებაზე, ასევე ზოგადად გავლენა იქონიოს მის შრომისუნარიანობაზე.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2009 წლის 1 დეკემბერს ა. ხ-ძის გამოუცხადებლობა სასამართლოს სხდომაზე გამოწვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული სხვა საპატიო მიზეზით – მისი წარმომადგენლის ავადმყოფობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ე-იანის წარმომადგენელმა დ. ა-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ა. ხ-ძისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ლ. ა-ძის ავადმყოფობა არასწორად ჩათვალა. შპს «სამედიცინო ცენტრის ...» ცნობა, რომელსაც ხსენებული მოსაზრება ეფუძნება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილს არ შეესაბამება, რადგან მითითებულ დოკუმენტში პირდაპირ არ არის მითითებული მხარის საქმის განხილვაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ და მას ხელს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი არ აწერს.

სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ მხარემ თავისი გამოუცხადებლობის შესახებ მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონით აცნობა, რადგან ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ მიიღებოდა.

სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი, რომლითაც დასაშვებია, მხარემ საქმის განხილვაში თავისი მონაწილეობა უზრუნველყოს წარმომადგენლის მეშვეობით, თუმცა წარმომადგენლობის გაფორმებისას თავად მხარეს არ ეკრძალება სასამართლოზე გამოცხადება. მოცემულ შემთხვევაში ა. ხ-ძეს არ მიუთითებია, რის გამო ვერ გამოცხადდა სასამართლოში და ვერ აცნობა აღნიშნულის შესახებ საქმის განმხილველ კოლეგიას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ე-იანის წარმომადგენელ დ. ა-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა, რომელსაც სასამართლო უწყება საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე კანონის დაცვით ჩაბარდა, თუმცა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა. ასეთ შემთხვევაში მხარის გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მოსარჩელის მიერ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის დაკარგვას ან სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომის თაობაზე მოსარჩელე ა. და ს. ხ-ძეებსა და მათ წარმომადგენელ ლ. ა-ძეს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობათ. აღნიშნულის მიუხედავად, ისინი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობეს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმეში ა. ხ-ძის წარმომადგენელ ლ. ა-ძის მიერ წარმოდგენილი შპს «სამედიცინო ცენტრის ...» ცნობა, როდესაც იგი მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩათვალა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეემაღლათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამება, ვინაიდან მას სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ხელს არ აწერს და მითითებული დოკუმენტით არ დასტურდება 2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო სხდომის დღეს ლ. ა-მის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რამაც სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა.

დასაბუთებულია კასატორის არგუმენტი იმის შესახებაც, რომ სადავო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა და ამის თაობაზე სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე არ მიუთითებია თავად ა.ხ-მეს, რომელიც ვალდებული იყო, უზრუნველყო საქმის განხილვაში მისი მონაწილეობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. მითითებული საპროცესო ვალდებულება მხარეს არ შეუსრულებია და არც აღნიშნულის საპატიო მიზეზი არ დაუსახელებია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ კანონიერია და მათი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით სარწმუნოდ დასაბუთებული არ არის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

მ. ე-იანის წარმომადგენელ ლ. ა-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-308-290-2010

30 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ძირითად სარჩელში), ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 2 აგვისტოს ლ. ს-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ., ლ. და ბ. დ-ების წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან ქ. თბილისში, ... ქუჩის №3-ში მდებარე №25 ბინის გამოთხოვა.

2008 წლის 15 თებერვალს ნ. დ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ლ. ს-ისა და მ. ჭ-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. მოსარჩელემ მოითხოვა ლ. ს-ესა და მ. ჭ-ეს შორის გაფორმებული ზემომითითებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ს-ის სარჩელი ბ. დ-ის მიმართ დაკმაყოფილდა და ბ. დ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... ქუჩის №3-ში მდებარე №25 ბინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. და ლ. დ-ების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... ქუჩის №3-ში მდებარე №25 ბინა, ნ. დ-ის შეგებებული სარჩელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნ. და ლ. დ-ებმა კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრეს. მათი მითითებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიოდ უნდა ჩათვლილიყო, რადგანაც ნ. დ-ი საკვებით მოიწამლა, ხოლო ლ. დ-ი, რომელიც პროფესიით ექიმა, სასწრაფო გადასხმებს უკეთებდა.

2009 წლის 3 მარტს ბ. დ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით ნ. და ლ. დ-ების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 2009 წლის 27 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

აღნიშნული განჩინება ლ. და ნ. დ-ებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ნ., ლ. და ბ. დ-ების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება, დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2009 წლის 23 აპრილის განჩინება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1. ლ. ს-ე თბილისში, ... ქ. №3-ში მდებარე №25 სადავო ბინის მესაკუთრე იყო;

2. მოპასუხე ბ. დ-ი ფაქტობრივად ცხოვრობდა ხსენებულ ფართში;

3. ბ. დ-ს არ წარუდგენია სასამართლოსთვის რაიმე მტკიცებულება დასტურად იმისა, რომ მას ამ ბინის ფლობის უფლება გააჩნდა;

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ ნ. და ლ. დ-ები, რომელთაგან ერთ-ერთი – ნ. დ-ი, თავის მხრივ, ლ. ს-ისა და მ. ჭ-ის მიმართ აღძრული შეგებებული სარჩელის მოსარჩელე იყო. მათთვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის დღის შესახებ კანონით დადგენილი წესით, თუმცა არ გამოცხადებულან სხდომაზე და არც მათი გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებით სასამართლოსთვის. სასამართლო სხდომაზე ბ. დ-მა ზეპირსიტყვიერად განაცხადა, რომ გამოუცხადებელი პირები იყვნენ ავად, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო, ვინაიდან არ იყო მითითებული თუ რაში გამოიხატებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა. მისი მოთხოვნა არ იყო დამყარებული კონკრეტულ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებზე და გამაგრებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის მტკიცების ტვირთი აწევს გამოუცხადებელ მხარეს. ლ. და ნ. დ-ებს ამგვარი გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ არც პროცესის დაწყებამდე, არც მის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ნ., ლ. და ბ. დ-ებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორების მითითებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო, რადგანაც მოპასუხეებს არ გაგზავნიათ ლ. ს-ის დაზუსტებული სარჩელი და მათთვის უცნობი იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გარდა ამისა, 2009 წლის 20 თებერვლის სასამართლო სხდომას მხოლოდ ნ. და ბ. დ-ები ესწრებოდნენ, ლ. დ-ს კი სასამართლო უწყება არ გაგზავნია. პროცესზე დადგენილი წესით არც ნ. და ბ. დ-ები ყოფილან მიწვეულები, რადგანაც მათ მხოლოდ ხელწერილზე მოაწერეს ხელი, საპროცესო კანონმდებლობით კი, მხარეთა ინფორმირების ერთადერთი ფორმა უწყებაა, ასევე, თავად ხელწერილიც ხარვეზიანია, რადგანაც მასზე არ არის აღნიშნული საქმის ნომერი, სხდომათა დარბაზი და სხვა სავალდებულო რეკვიზიტები. სასამართლო სხდომის ოქმში არაა დაფიქსირებული, რომ მხარეები გაფრთხილებული არიან სასამართლო პროცესის შესახებ, ასევე ოქმში არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, არ არის განმარტებული მხარეთა უფლება-მოვალეობანი, რაც ნიშნავს, რომ სხდომის ოქმი საქმეში არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის განხილვის პერიოდში გარდაიცვალა კასატორი ლ. დ-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინებით სამოქალაქო საქმის წარმოება შეჩერდა ლ. დ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ ნ. და ბ. დ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა უპირველეს ყოვლის აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 27 თებერვლს მოპასუხე ბ. დ-ის მიმართ არსებითი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო ნ. და ლ. დ-ების მიმართ – დაუსრულებელი გადაწყვეტილება. მოპასუხეებმა ბ. დ-ის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება და საქალაქო სასამართლოს განჩინება დაუსრულებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და 2009 წლის 23 აპრილის განჩინება დაუსრულებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. კასატორები სააპელაციო სასამართლოს მითითებულ განჩინებას სრულად ასაჩივრებენ, მაგრამ საკასაციო საჩივრის მთელი დასაბუთება ეთმობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსრულებელი გადაწყვეტილების უკანონობას, რაც შეეხება ბ. დ-ის მიმართ მიღებული არსებითი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული მისი გაუქმების რაიმე საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს მხოლოდ ის შესაძლო სამართლებრივი უსწორობები, რომელსაც კასატორი მიუთითებს. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან განჩინების გაუქმების ამა თუ იმ საფუძველის არსებობაზე. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში კასატორები არ დასაბუთებენ ბ. დ-ის მიმართ მიღებული 1-ელი ინსტანციის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების უკანონობას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინებას დასაბუთებულობა, საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა და, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება ნ. დ-ის მიმართ გამოტანილი დაუსრულებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იმავე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

როგორც საქმიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ შეგებებული სარჩელის ავტორი ნ. დ-ი და მოპასუხე ლ. დ-ი. სასამართლომ გამოუცხადებელი პირების მიმართ დაუსრულებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, შესაბამისი შედეგებით.

კასატორების მითითებით, მოცემულ საქმეზე არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები, რაზეც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, კერძოდ, მათი მტკიცებით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაუსრულებელი გადაწყვეტილება გამოეტანა, რადგანაც ლ. დ-ს სასამართლო უწყება არ გაგზავნიდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუნდაც მოპასუხე ლ. დ-ი არ ყოფილიყო მიწვეული სასამართლო სხდომაზე სათანადო წესით, აღნიშნული გარემოება მხოლოდ მის მიმართ დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობაზე მიუთითებს და ნ. დ-ის გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს. ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ლ. ს-ის სარჩელზე ლ. დ-ის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, საკასაციო პალატა მხოლოდ ნ. დ-ის მიმართ მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების კანონიერებაზე მსჯელობს.

კასატორები ასევე მიუთითებენ, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაუსრულებელი გადაწყვეტილება მიეღო, რადგანაც პროცესის შესახებ არც ნ. და ბ. დ-ები იყვნენ სათანადო წესით ინფორმირებულნი. მართალია, მათ ხელი მოაწერეს ხელწერილს სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, მაგრამ უწყების ჩაბარება მაინც სავალდებულო იყო.



საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის სასამართლო სხდომას ნ. და ბ. დ-ები ესწრებოდნენ. მოცემულ სხდომაზე ნ. და ბ. დ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმის განხილვა გადაიდო 2009 წლის 27 თებერვალს 15:30 საათზე. საქმეში წარმოდგენილია სასამართლო უწყება (ხელწერილი), რომლითაც დასტურდება, რომ მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ განსახილველი საქმის, მომდევნო სასამართლო სხდომის ჩატარების დროის (27 თებერვალი 15:30 საათი), აგრეთვე სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე. ხელწერილი ხელმოწერილია ორივე კასატორის მიერ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად ირკვევა, რომ სხდომის გადადების შემთხვევაში სასამართლოს უწყების გაგზავნა მხოლოდ სხდომაზე გამოუცხადებელი ან საქმის განხილვაში ახლადჩაბმული პირებისთვის ევალება. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც საქმის განხილვას ესწრებიან, მათთვის იმავე სხდომაზე საქმის განხილვის ახალი თარიღის და დროის შეტყობინება საკმარისია, დამატებით უწყების გაგზავნას კი, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

კასატორების მტკიცებით, საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის სხდომის ოქმი ხარვეზიანია, კერძოდ, მასში არ არის მითითებული მხარეთა უფლება-მოვალეობანი, რაც სხდომის ოქმის არარსებობას უთანაბრდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების აღნიშნული მტკიცება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც სასამართლო პრაქტიკა სასამართლო სხდომის ოქმის გაუმართაობას მის არარსებობას არ უთანაბრებს. თუ სხდომის ოქმი არარსულია ან არასწორ მონაცემებს შეიცავს, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მასზე შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. რაც შეეხება სხდომის ოქმის არარსებობას, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იმ მიზეზითაა, რომ ირკვევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის იმპერატიული დანაწესი თითოეულ საპროცესო მოქმედებაზე ოქმის შედგენის სავალდებულობის შესახებ, გარდა ამისა, სხდომის ოქმის გაცნობის გარეშე შეუძლებელია ქვემოთ ნახსენებების სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცულობის შემოწმება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2009 წლის 20 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმში თუნდაც არ იყოს ასახული მხარის ამა თუ იმ უფლების შესახებ სასამართლოს განმარტება, აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდებოდა. პალატა ასევე აღნიშნავს, რომ გაუგებარია, კასატორი რომელი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას მიიჩნევს გამოტოვებულად, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 20 თებერვლის სხდომის ოქმში ასახულია სასამართლოს გაფრთხილება წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მხარის მიერ სხდომის თვითნებურად მიტოვების შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ გაფრთხილება, მოსამართლისა და სხდომის მდივნის აცილების უფლების შესახებ მოსამართლის განმარტება, საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მიხედვით განცხადების ან შუამდგომლობის დაყენების უფლება და ა.შ.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ნ. და ლ. დ-ებმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის წარდგენისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით მოითხოვეს, რომ მათი გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო განპირობებული. მათ სიტყვიერად აღნიშნეს, რომ სხდომის დღეს ნ. დ-ი საკვებით მოიწამლა, ხოლო პროფესიით ექიმმა ლ. დ-მა გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინა. იმავე გარემოებებზე საუბარი სააპელაციო საჩივარშიც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა მხარეთა აღნიშნული მტკიცება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მართებულად არ მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

იმავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებმა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა ვერ დაადასტურეს, რაც სწორად შეფასდა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. და ბ. დ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა**

**განჩინება**

№ას-1282-1302-2011

14 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სარჩელი მოპასუხეების – ა. ბ-ის, თ. ნ-ისა და შპს «ბ-ის» მიმართ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით რ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ა. ბ-ისა და თ. ნ-ის წარმომადგენელმა ა. ჩ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით ა. ბ-ისა და თ. ნ-ის წარმომადგენელ ა. ჩ-ის საჩივარი ამავე სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ის წარმომადგენელმა ა. ჩ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

კასატორის მტკიცებით, სასამართლო დადგინდად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება და რ. დ-ის სააპელაციო საჩივარი ჩაჰბარდა აპელანტების წარმომადგენლის, ა. ჩ-ის ოჯახის სრულწლოვან წევრს, კერძოდ დედას – ბ. ტ-ეს. მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად სასამართლომ არ გაიზიარა, რომ ა. ჩ-ის დედა არის მ. ჩ-ე და არა ბ. ტ-ე. სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს, რითაც დაირღვა კანონის მოთხოვნა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განხილვის, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავ კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაკმატო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი. მითითებული მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აღნიშნული ნორმით დადგენილი «ყველა სხვა შემთხვევა» კი გულისხმობს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც, ასევე მოიცავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის შემთხვევებსაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტების თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ან გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება და საჩივრის ასლი გაუგზავნა უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარეებს, ასევე მათ წარმომადგენელს ა. ჩ-ეს, სასამართლოსათვის ცნობილ ორივე მისამართზე. საქმეში არსებულ შეტყობინების ბარათზე აღნიშნულია, რომ გზავნილი 2010 წლის 25 ნოემბერს ჩაიბარა ა. ჩ-ის დედას – ბ. ტ-ემ. იმავე ტომში წარმოდგენილი მეორე შეტყობინების ბარათზე მითითებულია, რომ იმავე მისამართზე – ხაშური, ...ის ქ. №22 გაგზავნილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაიბარა ისევ ა. ჩ-ის დედას – მ. ჩ-ემ. აღსანიშნავია, რომ არც ერთ შეტყობინების ბარათზე უწყების მიმღების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (პირადი ნომერი) აღნიშნული არ არის. ამასთან, საქმეში ასევე წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლითაც ირკვევა, რომ იმავე მისამართზე განთავსებულია საწყობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. იმავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩაბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გაგზავნილი გზავნილი ერთსა და იმავე მისამართზე ორმა სხვადასხვა პირმა ჩაიბარა. ორივე მათგანი ა. ჩ-ის დედადაა დაფიქსირებული. ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა, მხარის წარმომადგენელს ორი სხვადასხვა სახელის და გვარის მქონე დედა ჰყავდეს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს გზავნილი მხარისათვის ჩაბარებულად არ უნდა მიეჩნია. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ა. ჩ-ის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დაბადების მოწმობის მიხედვით, მისი დედაა მერი ჩ-ე, შესაბამისად, გაუგებარია, ვინ ჩაიბარა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება და საჩივრის ასლი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალში არ უნდა დაეტოვებინა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინება, ასევე 2011 წლის 30 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

### განჩინება

ას-1620-1612-2011

1 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** სასამართლო შეტყობინება და დაბარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 მარტს ა. და ტ. ჭ-ებმა ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს «ფ-ის პ-ის» წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს აღნიშნული საზოგადოების 2010 წლის 20 სექტემბრის პარტნიორთა საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ა. და ტ. ჭ-ები სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

იმავე სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტების გამოუცხადებლობის გამო, ტ. და ა. ჭ-ების სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტები კანონის მოთხოვნათა დაცვით იყვნენ დაბარებულები სასამართლო სხდომაზე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება ტ. და ა. ჭ-ებმა კერძო საჩივრით გაასაჩივრეს. მათი მითითებით, სასამართლო უწყება არ გაგზავნილა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე და ჩაიბარა ა. ჭ-ის დამ, რომელსაც უწყება მისთვის არ გადაუცია. ტ. ჭ-ეს კი უწყება საერთოდ არ ჩაბარებია.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. და ტ. ჭ-ების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

იმავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მართალია, მოცემული მუხლი ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, მაგრამ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობით, საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული მუხლით უნდა იხელმძღვანელოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად კი, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეები 2011 წლის 27 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე უწყებით დაიბარა. საქმეში წარმოდგენილია ორი შეტყობინების ბარათი გზავნილების ჩაბარების შესახებ (ს.ფ. 207-208). მათი მეშვეობით ირკვევა, რომ შპს «ფ-ის პ-ს» გაეგზავნა უწყება და შესაგებლის ასლი, ხოლო ა. ჭ-ის – მხოლოდ შესაგებლის ასლი, გარდა ამისა, ბარათზე აღნიშნული გზავნილის გაგზავნის თარიღი არ ემთხვევა საქმეში არსებულ უწყების მეორე ეგზემპლარზე მითითებულ თარიღს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გაურკვეველია, რა დოკუმენტი ჩაბარდა ა. ჭ-ის, შესაბამისად, შეუძლებელია ჩაითვალოს, რომ იგი სასამართლო სხდომაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით იყო დაბარებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოებები და გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 241-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. და ტ. ჭ-ეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება და საქმე ა. და ტ. ჭ-ეების სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-956-994-2011

22 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს «ე-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «თ-ის» წინააღმდეგ და მოითხოვა სს «თ-ის» მიერ სს «ე-ზე» ჯარიმის სახით უკანონოდ დარიცხული თანხის 117 022 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელე სს «ე-ს» დაერიცხა მონხარებული აღურიცხავი ელექტროენერჯის საფასური და არა ჯარიმა, როგორც ამას მოსარჩელე მიუთითებს. საფასურის დარიცხვა განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილების შესაბამისად და არ არსებობს დარიცხული თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი, ამდენად, მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «ე-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სს «ე-სა» და სს «თ-ს» შორის არსებობდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

სასამართლომ მიუთითა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე სს «ე-ს» სადავო თანხა, როგორც მის მიერ მონხარებული აღურიცხავი ელექტროენერჯის საფასური დარიცხული ჰქონდა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით, სადავო თანხის ოდენობა მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოსარჩელე სს «ე-ზე» მოპასუხე სს «თ-ის» მიერ 117 022 ლარის უკანონოდ დარიცხვის ფაქტი, მოსარჩელის მოთხოვნა მასზე დარიცხული სადავო თანხის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «ე-მა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის, სს «თ-ი»-ს წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სს «ე-ი»-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება; სს «ე-ი»-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; სს «ე-ი» გათავისუფლდა სს «ე-ზე» უკანონოდ დარიცხული თანხის 117 022 ლარის ოდენობით გადახდისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სს «თ-ი»-ს წარმომადგენლის მიერ საჩივრით და საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინებით სს «თ-ი»-ს საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს «თ-ი»-ს წარმომადგენლის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და საავადმყოფო ფურცელი, რაც პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე, შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმეზე წარმოების განახლების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის განჩინებით სს «ე-ი»-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ სს «თ-ი»-ს მიერ 117 022 ლარის დარიცხვა განხორციელდა:

- პირველ შემთხვევაში - მრ. №116515 (მახათას ქ.ს. ფიდ №22) 20.10.00 (ჩვ.2240.79) - 21.09.01 (ჩვ. 2282.81) პერიოდში ნაცვლად კ =12000 ერიცხებოდა კ =120 კოეფიციენტით, რის გამოც ამ პერიოდში ნაცვლად 504240 კვტ-სა დაერიცხება 5042.4 კვტ.სთ. ანუ დასარიცხი დარჩა 499197,6 კვტ.სთ. თანხით 42 931 ლარი.

- მეორე შემთხვევაში მრ. №844193 (მახათას ქ.ს. ფიდ №5) ბადრო მექანიკურად იყო გაჭედილი და არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელ.ენერგიას. სამაგიეროდ მუშაობდა რეაქტიული ენერგიის აღმრიცხველი მრიცხველი №952590, რომლის საშუალებითაც დადგინდა გაჭედილი აქტიური მრიცხველის მიერ აღურიცხავი ელ.ენერგია და მან დადგმის დღიდან შეადგინა 841 203 კვტ.სთ თანხით 74 091,1 ლარი.

საქმეში წარმოდგენილი ელექტრო დანადგარების დათვალეობების აქტივი პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ ს/გ «ე-ის» მკვებავ მ/გ ფიდერ №22-ზე ქვესადგური «მახათადან» აყენია დენის ტრ-ები 1000/5-ზე. ძაბვის ტრ-ია 6000/100-ზე კოეფიციენტი =1000/5X6000/100=12000. აქტი ხელმოწერილია როგორც «ე-ი-ეს» თ-ის ასევე ს/გ «ე-ის» წარმომადგენლის მიერ.

სააპელაციო პალატამ აპელანტის მოსაზრებასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა შეუსაბამოდ დიდი დავალიანების დაგროვება, იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი მხარის მიერ ყოველთვიურად ხდებოდა მოხმარებული ელ.ენერგიის ანგარიშსწორება, აღნიშნავს, რომ იზიარებდა სს «თ-ი»-ს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ წლებების განმავლობაში №116515 მრიცხველზე იმ პერიოდში როცა ბილინგის სისტემაში შეცდომით იყო დაფიქსირებული ტრანსფორმატორის 120-იანი კოეფიციენტი, მოხმარებული ელ.ენერგიის საფასური იყო დაბალი, ხოლო მას შემდეგ, რაც ტრანსფორმატორის კოეფიციენტი შესწორდა და დაფიქსირდა 12 000, სს «ე-ს» ელექტროენერგიის გადასახადი გაეზარდა თითქმის 100-ჯერ, რაზეც მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორია №116515 მრიცხველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე სადაოდ არ გაუხდიათ ტრანსფორმატორის კოეფიციენტის სისწორე. პირიქით, საქმის მასალებით დადგინებულად მიიჩნია, რომ ტრანსფორმატორის კოეფიციენტის სისწორე დადასტურებული იყო სს «ე-ი»-ს მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე მ.ჭ-ის მიერ.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, პალატის მითითებით, მრ. №4844193-ის ბადრო მექანიკურად იყო გაჭედილი და არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელ. ენერგიას. სამაგიეროდ მუშაობდა რეაქტიული ენერგიის აღმრიცხველი მრიცხველი №952590, რომლის საშუალებითაც დადგინდა გაჭედილი აქტიური მრიცხველის მიერ აღურიცხავი ელ.ენერგია და მან დადგმის დღიდან შეადგინა 841 203 კვ.ტ. სთ თანხით 74 091.1 ლარი. საქმის მასალებით, კერძოდ «ე-ი-ეს» თ-ის ჩრდილო რეგიონის მენეჯერის №1-1337 წერილით დადგინებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული მრიცხველის შემოწმების მცდელობა სს «თ-ი»-ს მხრიდან ადრეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით №5 ფიდერის დატვირთვა იმ მომენტში ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო, რის გამოც მრიცხველის შემოწმება ვერ ხერხდებოდა.

საქმეში წარმოდგენილი დასკვნით პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ რეაქტიული მრიცხველის (№952590) მიერ დადგმის დღიდან-21.07.1999 წლიდან აქტის შედგენის დღემდე- 23.05.02 აღრიცხულია რეაქტიული ელ.ენერგია 737640 კვტ.სთ.

აქტის თანახმად ცოსფ =0,77, ანუ ტგფ=0,83 ამიტომ ამავე პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგია შეადგენს 737640/0.83=888723 კვტ.სთ.

ამავე პერიოდში აქტიურმა მრიცხველმა (№844193) აღიცხა 47 520 კვტ.სთ აღურიცხავი დარჩა 888723 - 47520 = 841203 კვტ.სთ.

841203 : 34,02 = 24726.72 კვტ.სთ თვეში.

21.07.1999 წელი აღურიცხავი იყო 26 230.10 ლარი; 10.09.00 წელი – 30 834,2 ლარი და 15.11.01 წელი – 17 026, 80 ლარი, სულ 74 091.10 ლარი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 23 მაისის შემოწმებას ესწრებოდნენ სს «ე-ის» წარმომადგენლები, მათთვის ცნობილი იყო, რომ ძველი მრიცხველი მექანიკური გაჭედვის მიზეზის გამო მოიხსნა. მართალია მათ აქტზე ხელი არ მოუწერიათ, მაგრამ მათი მხრიდან არ გამოთქმულა მრიცხველის ლაბორატორიულად შემოწმების სურვილი, რითაც სს «ე-ის» ხელმძღვანელობა ფაქტობრივად დაეთანხმა იმ გარემოებას, რომ აქტიური მრიცხველის მიმართ ადგილი ჰქონდა მექანიკური გაჭედვის ფაქტს.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დარღვევების აღმოჩენა მოხდა 2002 წლის აპრილ-მაისის თვეში და, შესაბამისად, თანხების დარიცხვის ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო სწორედ დარღვევის აღმოჩენის დღიდან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დავის სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილების მე-8 მუხლი (კვტ.სთ-ების დარიცხვა აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის დარღვევისას), რომლის პირველი პუნქტის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ აბონენტმა შესაძლებელია ვერ შეამჩნია აღრიცხვიანობის მოშლა, დარიცხვა წარმოებს შემდეგნაირად: პირველ შემთხვევაში – «დენის ტრანსფორმატორის კოეფიციენტის შეუსაბამობა ბილინგში დაფიქსირებულ მონაცემებთან» შემთხვევაში დაკარგული კვტ.სთ-ების დარიცხვა წარმოებს აღრიცხვის ცდომილების გათვალისწინებით – შესწორების კოეფიციენტის გამოყენებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული დადგენილება განეკუთვნებოდა ამ საკითხების მოწესრიგებელ სპეციალურ სამართლებრივ აქტს და არეგულირებდა აღურიცხავი ელექტროენერჯის ანაზღაურების წესს, როგორც ელექტროენერჯის დატაცების, ისე მომხმარებლის მიერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ბრალულობის გარეშე, აღურიცხავი ელექტროენერჯის მოხმარების შემთხვევაში. დადგენილების თანახმად, აღურიცხავი ელექტროენერჯის ღირებულების გადახდა ეკისრება აბონენტს.

მეორე შემთხვევაში – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილების მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, მრიცხველის გაუმართაობის, დენის ტრანსფორმატორების კოეფიციენტის დატვირთვისთან შეუსაბამობის შემთხვევაში მრიცხველის ბრჯენები და კორპუსი არ არის დაზიანებული, ხოლო მრიცხველი მუხრუჭდება შინაგანი ტექნიკური გაუმართაობის ან დენის ტრანსფორმატორებთან შეუსაბამო დაბალი ტვირთის გამო, რაც აბონენტისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ამ შემთხვევაში დაკარგული კვტ.სთ-ების დარიცხვა უნდა მოხდეს დარღვევამდე პერიოდის ან აღიკვების მოწესრიგების შემდგომი პერიოდის მოხმარებით, დასარიცხ მოხმარებას გამოაკლდება მრიცხველის მიერ აღრიცხული ელექტროენერჯის რაოდენობა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა სს «თ-ი»-ს წარმომადგენლის მოსაზრება, რომ ორივე შემთხვევაში თანხის დარიცხვა განხორციელდა სპეციალური ნორმატიული აქტით, რომელიც წარმოადგენდა მეთოდის კვტ.სთ-ების დარიცხვის თაობაზე აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის დარღვევის დროს.

ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილება მიღებულ იქნა 2001 წლის 31 დეკემბერს, თუმცა სს «თ-მა» დარიცხვა განხორციელდა 1999 წლიდან პერიოდზე, რაც თავად ამ ნორმატიული აქტის დანაწესიდან გამომდინარეობს და მოპასუხე აღჭურვა უფლებით, რომ დაკარგული კვტ-სთ-ების დარიცხვა უნდა განხორციელდებინა დარღვევამდე პერიოდის ან აღრიცხვის მოწესრიგების შემდგომი პერიოდის მოხმარებით.

დადგენილების მე-2 მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად, დარღვევის პერიოდს წარმოადგენს დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა იყო დარღვეული, ან ისეთი პერიოდი, რომელიც გამოიყენება აღურიცხავად მოხმარებული ელექტროენერჯის გამოსათვლელად. ამავე პუნქტით რეგლამენტირებულია ექვივალენტურ პერიოდად გამოსაყენებელ პერიოდთა ჩამონათვალი, როცა აღრიცხვიანობის დარღვევის პერიოდი ზუსტად ვერ დგინდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №15 დადგენილებით განისაზღვრა აბონენტისაგან დამოუკიდებლად ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის დარღვევისას კვტ.სთ-ების დარიცხვის მეთოდი, რომლითაც სს «თ-ი»-ს მიერ მართებულად განხორციელდა თანხების დარიცხვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «ე-მა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და შუამდგომლობებები, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, როგორც კასატორის აღნიშნავს, ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში სს «თ-ისგან» ითხოვდნენ დაანგარიშების წარმოდგენას, სადაც დეტალურად და გასაგებად იქნებოდა გაწერილი ე.წ. «დავალიანების» წარმოშობის საფუძველი და მისი სისწორე, რომლის საფუძველზეც სს «თ-მა» უკანონოდ დაარიცხ 117 022 ლარი. აღნიშ-

ნული დაანგარიშება სემეკის 2001 წლის 31 დეკემბრის №15-ე დადგენილების თანახმად, ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს, რომელიც არც თანდართული და არც ცალკე, მიუხედავად მათი არაერთი მოთხოვნისა, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია და მხოლოდ 2009 წელს საქმის განახლების შემდგომ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც სს «თ-ის» მიერ დაანგარიშების საბუთად იქნა დასახელებული, რაც უსაფუძვლოდ იქნა გაზიარებული, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუხედავად მათი შუამგდომლობისა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ნაცვლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა (სემეკის მე-15 დადგენილება), სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 415-ე მუხლი, ვინაიდან ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი. კასატორის აზრით, სასამართლომ საერთოდ უგულვებელყო ყველა მათი წარმოდგენილი არგუმენტი და მტკიცებულება, რითაც შელახა მათი უფლებები.

კასატორის აზრით, საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო მათი პოზიცია სემეკის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომლითაც სს «თ-მა» იხელმძღვანელა დაანგარიშებისას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნორმატიული აქტისათვის უკუმაღლის მინიჭებას, რომელსაც სს «თ-ი» ნორმატიული აქტის მიღებამდე მიღებულ ურთიერთობაზე ავრცელებს, კერძოდ, კასატორის განმარტებით, აღნიშნული დადგენილება მიღებული იყო 2011 წლის 31 დეკემბერს, ხოლო დაანგარიშება სს «თ-მა» მოახდინა 1999-2002 წლებზე, რაც უკანონოა, ვინაიდან «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილი განსაზღვრავს, რომ «ნორმატიულ აქტს უკუმაღლა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირაა დადგენილი ამ ნორმატიული აქტით».

კასატორმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ გააუქმა მის მიერ მიღებული 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც კანონიერად დაკმაყოფილდა მათი სააპელაციო საჩივარი. კასატორის მოსაზრებით, საფუძვლიან ეჭვს იწვევდა ის გარემოება, რომ სს «თ-ის» წარმომადგენელი სასამართლო სხდომამდე ზუსტად ნახევარი საათით ადრე გახდა ავად და ამასთან, მან საჭიროდ არ ჩათვალა გაეფრთხილებინა არც სასამართლო, არც ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ან სხვა იურისტები, რომელთაც შეეძლოთ სასამართლოსათვის სხდომამდე შეეტყობინებინათ მათი წარმომადგენლის ავადმყოფობის თაობაზე ან თავად გამოცხადებულიყვნენ საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, შპს «ჯეოსელიდან» წარდგენილი ამონაწერით არ დადასტურდა ის გარემოება, რომ სს «თ-ის» წარმომადგენელი სს «ე-ის» წარმომადგენელს ურეკავდა გასაფრთხილებლად, როგორც ამას თავად აცხადებდა სასამართლოს შეკითხვაზე. გარდა ამისა, კასატორის აზრით, სს «თ-ის» წარმომადგენლის მიერ წარდგენილი ავადმყოფობის ფურცელი, რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ და საფუძველი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა, ზადებს ეჭვს, რომ არ არის ნამდვილი, ვინაიდან დადასტურებულია ისეთი ბეჭდით, სადაც კლინიკის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის, საიდენტიფიკაციო ნომერი არაა მითითებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს «ე-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

ადრე გამოტანილი განჩინებების ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი საკასაციო საჩივარში სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომელიც წინ უსწრებს სააპელაციო სასამართლოს არსებით გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად გააუქმა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩა-



მოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე-241-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

განსახილველ შემთხვევაში სს «თ-ის» წარმომადგენელი ე. ნ-ე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძვლით ითხოვდა, რომ პროცესის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სახლში გახდა ცუდად და ვერ შეძლო მთავარ სხდომაზე მონაწილეობის მიღება, რის დასადასტურებლადაც სასამართლოს წარუდგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და საავადმყოფო ფურცელი, რაც სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის, შესაბამისად მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმეზე წარმოების განახლების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და საავადმყოფო ფურცელი უსაფუძვლოდ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება, კერძოდ, ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა ობიექტურ გარემოებებს, რომლებსაც შეეძლოთ მხარისათვის ხელი შეეშალათ. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. დასახელებული ნორმით დადგენილია ის სავალდებულო წინაპირობები, როდესაც სასამართლო ვალდებულია, მხარის გამოუცხადებლობა ჩათვალოს საპატიოდ. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა ხსენებული ნორმის დანაწესს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებით არ დასტურდებოდა 2010 წლის 22 სექტემბერს – სასამართლო სხდომის დღეს ე. ნ-ის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რამაც მისი სასამართლოში გამოცხადება ობიექტურად შეუძლებელი გახადა. ამასთან, იგი არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე და მასში ზოგადად იყო მითითებული ქრონიკული ქოლერისტიტის გამწვავების შესახებ, რომელიც ემყარებოდა პაციენტის ახსნა-განმარტებას. ამასთან, მხარეს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე სასამართლო არ გაუფრთხილებია და არც ის საპატიო მიზეზი უცნობებია, თუ რატომ ვერ შეძლო სასამართლოსათვის შეტყობინება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმეში სს «თ-ის» წარმომადგენელ ე. ნ-ის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა და საავადმყოფო ფურცელი, როდესაც იგი მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩათვალა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 აპრილის განჩინება, ასევე 2011 წლის 13 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:**

სს «ე-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა 2011 წლის 14 აპრილის განჩინება და ამავდროულად სასამართლოს 2011 წლის 13 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები**

**განჩინება**

№ას-126-123-2011

14 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** დაუსწრებელი გადაწყვეტილება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ლ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. დ-მის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სესხის – 15000 აშშ დოლარის დაკისრება, სესხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, თანხის უზრუნველსაყოფად, ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-3 შესახვევის №4-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული, დ. დ-მის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის იძულებითი აუქციონის წესით რეალიზება და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 745 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება იმ საფუძველით, რომ 2008 წლის 26 დეკემბერს მას და მოპასუხეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დ. დ-მემ მოსარჩელისაგან ისესხა 15000 აშშ დოლარი, რის უზრუნველსაყოფადაც, იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის უძრავი ქონება. იმის გამო, რომ დ. დ-მეს ა. ლ-მისათვის სესხი 2009 წლის 26 მარტამდე უნდა დაებრუნებინა, რაც მას არ შეუძრულებია, მოსარჩელემ მოითხოვა თავისი სარჩელის დაკმაყოფილება.

დ. დ-მემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ ა. ლ-მეს მისთვის თანხა არ გადაუცია, ხოლო ხელშეკრულებაზე თავისი ხელმოწერა გაყალბებულია. ამდენად, მოპასუხემ შეგებებული სარჩელის აღძვრით მოითხოვა ა. ლ-მესა და დ. დ-მეს შორის 2008 წლის 26 დეკემბერს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ლ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. დ-მეს ა. ლ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 15000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული კურსით, ასევე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 750 ლარისა და საადვოკატო მომსახურების – 200 ლარის გადახდა; სესხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, სესხის თანხის უზრუნველსაყოფად დადგინდა ქ. ქუთაისში, ... ქ. მე-3 შესახვევის №4-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული დ. დ-მის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის იძულებითი აუქციონის წესით რეალიზება; დ. დ-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა დ. დ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ა. ლ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თავისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დ. დ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა სასამართლო სხდომაზე აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები,

რომლებიც კანონით დადგენილი წესით მოწვეულები იყვნენ და გაფრთხილებულები გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ლ-ძის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანი იყო და დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა დ. დ-ძის წარმომადგენელმა ნ. ჩ-ელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოცემული საქმის არსებითად განხილვა იმ საფუძვლით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, 2010 წლის 28 ოქტომბერს, მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, ვინაიდან აღნიშნულ დროს, იგი მონაწილეობდა სხვა საქმის განხილვაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რის გამოც ვერ შესძლებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინებით დ. დ-ძის წარმომადგენელ ნ. ჩ-ელის საჩივარი ამავე სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ნ. ჩ-ელის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგენილი განცხადება სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია სასამართლო სხდომაზე მისი და თავისი მარწმუნებლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, რომელიც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. დ-ძემ, მოითხოვა როგორც დასახელებული განჩინების, ისე ამავე სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოსათვის დროულად იყო ცნობილი იყო 2010 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე, მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. დ-ძის წარმომადგენელ ნ. ჩ-ელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სასამართლოს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაზეც საჩივარი შეიტანა მისმა წარმომადგენელმა ნ. ჩ-ელმა და მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოსათვის დროულად იყო ცნობილი იყო 2010 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე, მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტის წარმომადგენელ ნ. ჩ-ელს ტელეფონით ეცნობა 2010 წლის 28 ოქტომბრის სხდომის შესახებ, მასვე განემარტა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგები, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი. ასეთ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70.3 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო უწყება ნ. ჩ-ელისათვის და, შესაბამისად, მისი მარწმუნებლისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები, აგრეთვე, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაეკრება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამდენად, საქმეზე დადგენილია, რომ ნ. ჩ-ელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მიწვეული იყო სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე. საქმის მასალებით, ასევე დგინდება, რომ თავად აპელანტ დ. დ-ძეს, სასამართლო სხდომის შესახებ უწყება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას – სასამართლო

სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც მითითებული საფუძველით საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვითარება არ არსებობს. მითითებული საპროცესო ნორმის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად, შეუძლებელს გახდიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საქმის მასალების თანახმად, ნ. ჩ-ელის მიერ ფაქტის საშუალებით წარმოდგენილი წერილობითი განცხადება, რომლითაც აპელანტის წარმომადგენელი სხვა სასამართლოში საქმეში მონაწილეობის მოტივით საქმის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობდა, სააპელაციო სასამართლოს წარედგინა 2010 წლის 28 ოქტომბერს, სხდომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. აღნიშნულის დამადასტურებლად, განცხადებაზე თანდართული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის უწყება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ მიიჩნევა იმ გარემოებად, რის გამოც მისი გამოუცხადებლობა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ თავად აპელანტი დ. დ-მე, რომელიც, კანონის თანახმად, გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე და არც რაიმე შუამდგომლობა გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამდენად, თუ მის წარმომადგენელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულიყო, საქმის გაჭინურების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნულის ვალდებულება თავად მხარეს გააჩნდა, ვინაიდან სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამდენად, საჩივარში მითითებული მოტივი სასამართლო პროცესზე დ. დ-მისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ, არ ექვემდებარება გაზიარებას.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით დ. დ-მის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 10 დეკემბერის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, არც თავად დ. დ-მე და არც მისი წარმომადგენელი – ნ. ჩ-ელი არ გამოცხადებულან და არც სხდომაზე გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებიათ, რაც კიდევ ერთხელ განუმტკიცებს სასამართლოს დ. დ-მის მხრიდან საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 387.1 მუხლიდან გამომდინარე, საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ასეთ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის არსებით იურიდიულ მხარეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. დ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება

№ას-278-262-2011

11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** იპოთეკის საგნის რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

კ. კ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ე-შვილისა და ა. გ-მის მიმართ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი იურიდიული კომპანია შპს «.....» 2008 წლის 23 ივნისის №... გადაწყვეტილებით რ. ე-შვილისათვის კ. კ-იას სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ანაზღაურება მოხდა ა. გ-მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ქ. თბილისში, .... დასახლების პირველი მიკრორაიონის მე-.... კორპუსში მდებარე 46.00 კვ.მ ფართის მქონე იპოთეკით დატვირთული №.... ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველზე, რომ კ.კ-იას ვალი აქვს რ.ე-შვილს და არა ა.გ-მეს. ამ უკანასკნელს იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ბინა კი არ შეუძენია, არამედ გადავიდა მის საკუთრებაში, ვინაიდან ვერ გადაიხდა ვალი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით კ. კ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი იურიდიული კომპანია შპს «.....» 2008 წლის 23 ივნისის №... გადაწყვეტილებით კ. კ-იას სასარგებლოდ რ. ე-შვილისათვის დაკისრებული თანხის ანაზღაურება მოხდა ქ.თბილისში, .... დასახლების პირველი მიკრორაიონის მე-.... კორპუსში მდებარე 46.00 კვ.მ ფართის მქონე ა. გ-მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული იპოთეკით დატვირთული №.... ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა.გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 233-ე მუხლით და დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეცნობა აპელანტ ა. გ-მის წარმომადგენელ ნ. ა-მეს, ხოლო თავდაპირველ მოპასუხე რ. ე-შვილს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ აპელანტს უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, ხოლო სხდომაზე გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია, ამასთან, რადგან მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ა.გ-მემ, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლოს აპელანტისათვის არ უცნობებია სხდომის დღე, რის გამოც ვერ მოახერხა სხდომაზე გამოცხადება, სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეზე მორიგების შესაძლებლობა, მოპასუხე რ.ე-შვილი აცხადებდა თანხმობას, თანხა გადაეხდა და სასამართლომ მას არ მისცა თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. რ.ე-შვილმა სასამართლოს აცნობა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ საქმე განიხილა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ა.გ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ამავე პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 387-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და განმარტა, რომ საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობისას, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 23 სექტემბერს სასამართლოს სხდომა გადაიდო 2010 წლის 7 ოქტომბერს, 10:00 საათზე, რის შესახებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, აცნობეს სხდომაზე გამოცხადებულ პირებს – აპელანტის წარმომადგენელ ნ. ა-ძეს და მოწინააღმდეგე მხარეს. აღნიშნულის თაობაზე ჩამოერთვათ ხელწერილი და გაფრთხილდნენ არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაბამისი შედეგების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით და განმარტა, რომ, ვინაიდან 2010 წლის 7 ოქტომბრის სხდომის დღის თაობაზე სათანადო წესით ეცნობა ა. გ-ძის წარმომადგენელს, სასამართლო უწყება უშუალოდ მხარისათვისაც ჩაბარებულად ითვლება. ამრიგად, არ არსებობდა ამავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატკობელი გარემოება. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ მეორე მოპასუხე – რ.ე-შვილმა სასამართლოს აცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, ამასთან იგი მზადყოფნას აცხადებდა დავის მორიგებით დასრულებით, რადგანაც რ.ე-შვილის განცხადებას სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შეტყობინების თაობაზე სასამართლოში წარმოდგენილი არ არის. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ა. გ-ძის გამოუცხადებლობის გამო. პალატის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე, პროცესის მონაწილე ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მითითება პროცესის სხვა მონაწილის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ასეთ გარემოებას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ა.გ-ძემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნები, მხარე სასამართლო სხდომის თაობაზე არ გააფრთხილა დადგენილი წესით, ამასთან სასამართლოს ეცნობა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი და ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, საქმის განხილვა გადაედო სხვა დროისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინებით ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ საკასაციო სასამართლო უარს ეტყვის კასატორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი დასაბუთებიდან არ ირკვევა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. გ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2010 წლის 23 სექტემბერს, 10:30 საათზე, რის თაობაზეც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულ სხდომაზე მონაწილეობას იღებდა აპელანტის წარმომადგენელი ნ. ა-ძე, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრულია საქმეში წარმოდგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულებით. აღნიშნული რწმუნებულების მოქმედების ვადად მითითებულია 2011 წლის 10 აგვისტო.

საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულების თანახმად, მარწმუნებელი ა. გ-ძე ნ. ა-ძეს უფლებას ანიჭებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში განახორციელოს მარწმუნებლის ინტერესების დაცვა და ნ.ა-ძის უფლებამოსილება, ამავე კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად, არ არის შეწყვეტილი მარწმუნებელ ა. გ-ძის მიერ.

სადავოს არ წარმოადგენს არც ის გარემოება, რომ 2010 წლის 23 სექტემბრის სხდომა თავდაპირველი მოპასუხის – რ. ე-შვილის კანონით დადგენილი წესით გაუფრთხილებლობის გამო გადაიდო ამავე წლის 7 ოქტომბერს, 11:00 საათზე, რის თაობაზეც აპელანტის წარმომადგენელს ჩამოერთვა ხელწერილი, ხოლო თავდაპირველ მოპასუხე რ. ე-შვილს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ 2010 წლის 7 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი ა. გ-ძე, მისი წარმომადგენელი ნ. ა-ძე და თავდაპირველი მოპასუხე რ. ე-შვილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო

პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლოს სხდომის 2010 წლის 7 ოქტომბერს გადადების თაობაზე ა. გ-მის რწმუნებულის ინფორმირება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის ანალოგიურად, სწორედ აპელანტის ინფორმირებად მიიჩნევა და არ წარმოადგენს მისთვის სასამართლო შეტყობინების განმეორებით გაგზავნის წინაპირობას. თავის მხრივ, აღნიშნული გამორიცხავს კასატორის პრეტენზიის გაზიარების შესაძლებლობას, რომ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს რომ, სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები ვალდებული არიან, შეჯიბრებითობის ფარგლებში უტყუარად დაადასტურონ მათი მოთხოვნის მართებულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მხარის პოზიციას ვერ გაიზიარებს.

განსახილველ შემთხვევაში ა.გ-მის საკასაციო პრეტენზია შეეხება იმ ფაქტსაც, რომ მან სასამართლოს აცნობა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი და სასამართლოს არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს აღნიშნულ არგუმენტს, რადგანაც იგი საქმის მასალებით არ დასტურდება, კერძოდ, საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც ზემოაღნიშნული ფაქტი დადასტურდებოდა.

რაც შეეხება ა. გ-მის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს, ა. გ-მე დამატებით განმარტავს, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე რ. ე-შვილი აწარმოებდა მოლაპარაკებას კრედიტორთან და აპირებდა დავის მორიგებით დასრულებას, რისი შესაძლებლობაც მას არ მიეცა.

საკასაციო პალატა ვერც ამ არგუმენტს გაითვალისწინებს, რადგანაც რ. ე-შვილი მოპასუხედ დასახელებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში, მას სააპელაციო წესით გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და არც ა. გ-მის სააპელაციო საჩივარში ყოფილა მხარედ მითითებული, რის გამოც სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას მისი მონაწილეობა სავალდებულო არც იყო, მას, როგორც მხარეს, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული არგუმენტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს, ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რ. ე-შვილი მოდავე მხარედ იქნებოდა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვისას, ა. გ-მის მიერ წამოყენებული შედავება რ. ე-შვილის პრეტენზიის საფუძველად შეიძლება მიჩნეულიყო და არა ამჟამინდელი კასატორის.

რაც შეეხება მორიგების უფლებას, პალატა განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა მხარეს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც აძლევს შესაძლებლობას, დავა დაასრულოს მორიგებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით მოხდა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტმა საჩივრის შეტანისას ვერ დადასტურა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობა, რის გამოც სავსებით მართებულად დარჩა ძალაში ამავე სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ ვერ დაადასტურა ვერც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გარემოებების არსებობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი), ასევე სხვა საპატიო მიზეზი რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა შინაგან რწმენას ა. გ-მის გამოუცხადებლობის საპატიოობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 241-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 დეკემბრის განჩინება.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები

### განჩინება

№ას-937-975-2011 20 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ჰ-ის“ მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ჰ-ს», 2006 წლის 4 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა 16 935,88 ლარის, ხოლო 2006 წლის 17 მარტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით – 8625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება სადავო ნივთის – ტრაქტორის სვლის შემანელებლის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სრულად მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «ჰ-ს» საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 2006 წლის 17 მარტის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 118 857.93 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც გაასაჩივრა შპს «ჰ-მა».

ამავე სასამართლოს 2011 წლის 21 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის, 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმის არსებითად განხილვის დღეს არ გამოცხადდა აპელანტის მოწინააღმდეგე



მხარე, რომლისთვისაც სხდომის დღის შესახებ ცნობილი იყო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. შპს «ჰ-ის» წარმომადგენლის მიერ არც მინდობილობა და არც განცხადება სხდომის გადადების თაობაზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შპს «ჰ-ის» წარმომადგენლის მითითებაზე, რომ მისთვის მინდობილობის გაფორმების დროისათვის ცნობილი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის დროის, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროის შესახებ, თუმცა მიუხედავად ამისა, მას თბილისის სააპელაციო სასამართლო კანონით დადგენილი წესით სხდომის საპატიო მიზეზით გადადების თაობაზე არ გაუფრთხილებია, ანუ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ისეთი საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მას სასამართლოსათვის თავის დროზე შეტყობინება არ შეეძლო.

პალატის მითითებით, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება სასამართლოს მიერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გადაიდო 2011 წლის 24 თებერვალს, 11.10 საათზე, თუმცა შპს «ჰ-ის» წარმომადგენელს 2011 წლის 17 თებერვლის სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე განცხადება, შესაბამისი მინდობილობა და სათანადო მტკიცებულება არ წარუდგენია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა ადვოკატი ა. ჩ-ე 2011 წლის 17 თებერვალს, 12.58 საათიდან 13.12 საათამდე. შესაბამისად, სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ა. ჩ-ე თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბარებულ იქნა 2011 წლის 17 თებერვალს, 10.00 საათზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ შპს «ჰ-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ საჩივრის განხილვის დროს არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 241-ე მუხლები.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი იურიდიულად არ ამართლებდა მის მოთხოვნას. წარმოდგენილი საქმე ორჯერ დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს იმის დასადგენად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სადავო ტრაქტორის შესაძენად გადახდილი თანხიდან რა ოდენობას შეადგენს სვლის შემანელებელი. პალატას აღნიშნული საკითხი არ გამოუკვლევია.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მხარე საქმის განხილვაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა. შპს «ჰ-მა» მინდობილობა ა. ჩ-ის სახელზე გასცა 2011 წლის 16 თებერვალს და მისთვის ცნობილი იყო, რომ სასამართლო სხდომა დაინიშნა 2011 წლის 17 თებერვალს, 11.00 საათზე. ამავე დღეს, 12.00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული იყო სისხლის სამართლის საქმე, სადაც ა. ჩ-ე მონაწილეობდა ბრალდებულის ინტერესების დამცველ ადვოკატად. 2011 წლის 17 თებერვალს, 10.00 საათისათვის ა. ჩ-ე გამოიძახეს ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. სასამართლო სხდომის დაწყების მოლოდინში ა. ჩ-ემ ვერ შეძლო საქმის განხილვაზე გამოცხადება და თავისი კოლეგის – ბ. ქ-ის მეშვეობით აცნობა ამის შესახებ სამოქალაქო საქმეზე მოსამართლის თანაშემწეს. მოცემული დავის განხილვაზე გამოცხადდა 20 წუთის დაგვიანებით, თუმცა სასამართლოს არასწორად მიღებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს «ჰ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამო-

უცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამატებითი გამოკვლევის გარეშე, მიიჩნიოს დამტკიცებულად. სასამართლო სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების შემდეგ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, თუ ჩათვლის, რომ აპელანტის მოთხოვნა საჩივარში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს იურიდიულად შეესაბამება.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე – შპს «ჰ-ი» კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფრთხილებული იყო 2011 წლის 17 თებერვლის სასამართლო სხდომის თაობაზე, რასაც თავად მხარეც ადასტურებს. აღნიშნულის მიუხედავად, იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა და ვერც აღნიშნულის საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს «ჰ-ის» წარმომადგენელ ა. ჩ-ის არგუმენტს, რომ იგი სადავო პროცესზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, რადგან 2011 წლის 17 თებერვალს, 12.00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დანიშნული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვა ა. ჩ-ის, როგორც ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით. მოულოდნელად სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი გამოიძახეს ხსენებული დღის 10 საათზე. სხდომის დაწყების მოლოდინში კი მხარეს სამოქალაქო საქმის განხილვაზე 20 წუთით დააგვიანდა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ საქმის განხილველი მოსამართლის თანაშემწეს ტელეფონით აცნობა ა. ჩ-ის კოლეგა ბ. ქ-ემ, ვინაიდან აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულებით დადასტურებული არ არის.

რაც შეეხება 2011 წლის 17 თებერვალს, 11 საათზე ა.ჩ-ის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობას, საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის ცნობის თანახმად, ა. ჩ-ე ბრალდებულ დ. რ-ის მიმართ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანას ესწრებოდა 2011 წლის 17 თებერვალს 12.58 საათიდან 13.12 საათამდე. აღნიშნული გარემოება კი ამავე დღის 11.00 საათზე სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებას ხელს ვერ შეუშლიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სავსებით ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მითითებას, რომ აპელანტს სადავო სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა არ დაუდასტურებია არც 2011 წლის 24 თებერვლის სხდომაზე, როდესაც უნდა გამოცხადებულიყო 2011 წლის 17 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მეტიც, შპს «ჰ-ი» არც აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა იმის მიუხედავად, რომ მის შესახებაც მხარეს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიოდ გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის გამო, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2006 წლის 17 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს «ჰ-ს» შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №370101/49 ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 პუნქტის თანახმად კი «მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მისაწოდებელი საქონელი დაკომპლექტებული იქნება სვლის შემანელებლით».

მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ მიწოდებული ტექნიკა (ტრაქტორები) არ იყო დაკომპლექტებული სვლის შემანელებლის დეტალით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს «ჰ-ის» მიერ 2006 წლის 17 მარტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ იქნა შესრულებული ჯეროვნად, კერძოდ კი, მას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ტრაქტორები ხელშეკრულების პირობების დაცვით არ მიუწოდებია.

მოპასუხე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით სვლის შემანელებლის ერთეულის ფასი შეადგენს 115 აშშ დოლარს. აპელანტი არ დაეთანხმა აღნიშნულს და განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით სვლის შემანელებლის ერთეულის ფასი გაცილებით მეტია და შეადგენს 1687 ლარს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-400, 404-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მის მოთხოვნას, შესაბამისად, შპს «ჰ-ს» საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა, 2006 წლის 17 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 118 857,93 ლარის ოდენობით მატერია-

ლური ზიანის ანაზღაურება (75X1687=126 525) (75X100=7500) (7500+126 525=134025). სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილ ზიანის ანაზღაურების საერთო ოდენობას სწორად გამოაკლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკისრებული სვლის შემანელებლის დირეზობა – 8625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი თბილისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად და სხვაობის – 118 857.93 ლარის ნაწილში აპელანტის მოთხოვნა კანონიერად დაკმაყოფილდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ისევე, როგორც განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი წინაპირობა არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ჰ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მოპასუხის გამოუცხადებლობის შედეგები**

#### **განჩინება**

№ას-199-188-2011

25 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. კ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-იანისა და ლ. ს-შვილის მიმართ მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. კ-იანის სარჩელი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მ. კ-იანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. კ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისში, ... ქუჩა №71-ში მდებარე №33 ბინაზე გ. კ-იანსა და ლ. ს-შვილს შორის დადებული ნასყიდობის 2007 წლის 26 მარტის №1-1568 ხელშეკრულება 1/2 ნაწილში.

ზემოაღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს გ. კ-იანმა და ლ. ს-შვილმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ გ. კ-იანის სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – ავადმყოფობით, ხოლო ლ. ს-შვილი ვერ გამოცხადდა, რადგან მის ახალშობილ შვილიშვილს ესაჭიროებოდა მოვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გ. კ-იანისა და ლ. ს-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 14 იანვარს სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეები – გ. კ-იანი და ლ. ს-შვილი. აპელანტ მ. კ-იანის წარმომადგენელმა თ. ჯ-ქემ

იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარეების გამოუცხადებლობის გამო და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

მოცემულ შემთხვევაში, გ. კ-იანმა აღნიშნა, რომ მის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენდა მისი ავადმყოფობა, რის შესახებაც წინასწარ აცნობა სასამართლოს 2010 წლის 13 იანვარს სხდომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე განცხადებისა და მისი ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის გზით და იშუამდგომლა სხდომის გადადებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-იანის მიერ მითითებული გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული არ არის. არც საქმის მასალებით და არც სასამართლოს კანცელარიის სარეგისტრაციო ჟურნალებით არ დგინდება, რომ გ. კ-იანმა ნამდვილად წარადგინა განცხადება სხდომის გადადების მოთხოვნით, შესაბამისად, არ წარდგენილა არც ცნობა, რომლითაც დადასტურებდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მის მიერ სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა.

სააპელაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად არ ჩათვალა არც ლ. ს-შვილის მიერ დასახელებულ გარემოება, ვინაიდან ლ. ს-შვილს შვილიშვილი შეეძინა 2009 წლის 16 დეკემბერს, ხოლო სხდომა ჩანიშნული იყო 2010 წლის 14 იანვარს, შესაბამისად, მას გააჩნდა შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იშუამდგომლა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე, თუ არსებობდა აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების ობიექტური გარემოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ს-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-3 მუხლი და «სანოტარო მოქმედებათა წესის შესრულების შესახებ» ინსტრუქციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 187-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს ლ. ს-შვილი უნდა ეცნო კეთილსინდისიერ შემძენად და არ უნდა გამოეყენებინა 517-ე მუხლის 1-ელი ნაწილის 3.5 პუნქტი, ისევე, როგორც 518-ე მუხლის 3.6 პუნქტი, ვინაიდან გ. კ-იანის მიერ ბინის გაყიდვის დროს 312-ე მუხლის მოთხოვნა დაცული იყო.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები სიცრუეა და ისინი სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ვერ ამართლებენ.

სააპელაციო პალატამ არასწორად არ მიიღო მხედველობაში სადავო სასამართლო სხდომაზე ლ.ს-შვილის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა. სადავო დღეს კასატორის შვილი იყო მძიმედ ავად და ლ.ს-შვილი იძულებული გახდა, დარჩენილიყო შინ და მოელო ახალშობილი შვილიშვილისათვის, რადგან ბავშვის დამტოვებლად სხვა არავინ ჰყავდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, სამართლებრივად შეაფასოს სარჩელში მითითებული, დადასტურებულად ცნობილი გარემოებები და გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა კანონით ამ ტიპის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს. თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკანონოა, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

ანალოგიური პრინციპით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის

თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას გაზიარებულ იქნას სააპელაციო საჩივარში დასახელებული გარემოებანი, თუ ისინი იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეებს – გ. კ-იანსა და ლ. ს-შვილს საქმის განხილვის შესახებ კანონით დადგენილი წესით ეცნობათ, თუმცა ისინი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდნენ სასამართლოში და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სააპელაციო პალატას არ აცნობეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ ლ. ს-შვილი სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს პროცესზე ვერ გამოცხადდა ქალიშვილის ავადმყოფობისა და ჩვილი შვილიშვილის მოვლის აუცილებლობის გამო, რადგან მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ არ დაუდასტურებია. აღნიშნული ვალდებულება კი, ამავე კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, სწორედ ლ. ს-შვილს ეკისრებოდა.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია დადგენილად მ. კ-იანის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

**2005 წლის 2 დეკემბერს** გ. კ-იანსა და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის უფლებამოსილ პირ დ. თ-იას შორის დაიდო ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად პრივატიზებულ იქნა გამგეობის კომუნალურ ფონდში რიცხული ქ.თბილისში, ... ქ.№71-ში მდებარე №33 ბინა 47.2 კვ.მ საცხოვრებელი ფართით. ქ.თბილისში, ... ქ.№71-ში მდებარე №33 ბინას 1965 წლიდან ფლობს კ-იანების ოჯახი.

**1965 წლის 7 აგვისტოს** გაცემული საცხოვრებელი ბინის ორდერით ბინის ძირითად დამქირავებლად მითითებული იყო გ. კ-იანი, მ. კ-იანისა და გ. კ-იანის მამა. აღნიშნულ ორდერში მითითებული იყო ოჯახის ექვსი წევრი.

საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის დროისთვის ორდერში მოხსენიებული ოჯახის წევრებიდან გ. კ-იანისა და მ. კ-იანის გარდა ყველა იყო გარდაცვლილი. საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის პროცესის თაობაზე გ. კ-იანმა მ. კ-იანს არ შეატყობინა.

**2007 წლის 26 მარტის** უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით (რეესტრში რეგისტრაციის №...) გ. კ-იანმა ლ. ს-შვილს მიჰყიდა ქ.თბილისში, ... ქუჩა №71-ში მდებარე №33 ბინა წილობრივი მონაცემებით 47,2 კვ.მ.

ლ. ს-შვილისთვის ცნობილი იყო, რომ სადავო ბინის მესაკუთრეს გ. კ-იანთან ერთად ასევე წარმოადგენდა მ. კ-იანი, ვინაიდან ის მ. კ-იანის კარის მეზობლის ნათესავი და კ-იანების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ლ. ს-შვილი გ. კ-იანთან ერთად მ. კ-იანის არყოფნის დროს არაერთგზის ყოფილა ბინის დასათვალიერებლად, სადაც დახვედრია მ. კ-იანის ნივთები.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 50-ე, 54-ე და 62-ე მუხლების საფუძველზე სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა მ. კ-იანის სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები და მართებულად ჩათვალა, რომ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ, **2007 წლის 26 მარტის №..** სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის 1/2 ნაწილში, ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას, კერძოდ:

**2007 წლის 26 მარტის №...** ნასყიდობის ხელშეკრულება გ. კ-იანსა და ლ. ს-შვილს შორის დაიდო მ. კ-იანის, როგორც ნასყიდობის საგნის 1/2-ის მესაკუთრის მხრიდან ნების გამოვლენის გარეშე, რაც ლ. ს-შვილისთვის ცნობილი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ქონების 1/2-ის ნაწილში კანონის მოთხოვნათა დაცვის გარეშე დადებულად სავსებით დასაბუთებულად მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამარკოლებელი, მათ შორის, მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოს შეუტყობინებლობის საპატიო გარემოებების არსებობა ლ. ს-შვილმა ვერ დაადასტურა. ასევე სამართლებრივად უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობა არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**

**განჩინება**

№ას-800-854-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. კ-ემ, თ. ს-ემ და მ. მ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს «პ-ის» მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, კერძოდ, ვ. კ-ის სასარგებლოდ – 4290 ლარის, თ. ს-ის სასარგებლოდ – 3150 ლარის, ხოლო მ. მ-ის სასარგებლოდ – 3840 ლარის დაკისრების, ასევე ანგარიშწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელები: ვ. კ-ე, თ. ს-ე, მ. მ-ე მუშაობდნენ სს «პ-ში». მ. მ-ესთან, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, 2002 წლის სექტემბრიდან და 2004 წლის სექტემბერში გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება, თ. ს-ესთან – 2008 წლის აგვისტოდან, ხოლო ვ. კ-ესთან – 2003 წლიდან, მოსარჩელებმა 2009 წლის სექტემბრის ბოლოს, რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანების არსებობის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელები ავანსის სახით ყოველდღიურად იღებდნენ 7 ლარს, რაზეც ხელს აწერდნენ საავანსო უწყისში, ხოლო ხელფასს რეალიზებული პროდუქტის პროცენტული გამოანგარიშებით. სს «პ-ის» სახელფასო დავალიანებამ ვ. კ-ის მიმართ შეადგინა 4290 ლარი, თ. ს-ის მიმართ – 3150 ლარი, მ. მ-ის მიმართ კი – 3840 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოსარჩელები სს «პ-ში» მუშაობის განმავლობაში იღებდნენ ხელფასს, მათ მიღებული აქვთ ყოველთვიური ხელფასი და ბოლო თვეების განმავლობაში – ყოველდღიური ანაზღაურება, ხელფასის სიმცირის გამო, პირადი განცხადების საფუძველზე, ნებაყოფლობით გათავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან. დამქირავე ბელსა და დაქირავებულს შორის იყო ზეპირი ხელშეკრულება, რაც ანაზღაურების სახით ასახულია საბანკო ამონარიდებში და სახელფასო უწყისებში, შესაბამისად, მხარეთა შორის სხვა რაიმე ხელშეკრულება არ ფორმირებულა არც წერილობით და არც ზეპირად.

2009 წლის აპრილიდან შემცირდა სს «პ-ის» მიერ თანამშრომლებისათვის გასაცემი ხელფასის ფონდი და სხვა თანამშრომლების მსგავსად მოსარჩელები გადაყვანილ იქნენ ყოველდღიურ ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის, თ. ს-ისა და მ. მ-ის სარჩელი სახელფასო თანხების ანაზღაურებისა და ყოველი დაყოვნების დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის სხდომაზე, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. კ-ის, თ. ს-ისა და მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. კ-ის, თ. ს-ისა და მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სს «პ-ს» ვ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4 290 ლარის, თ. ს-ის სასარგებლოდ – 3 150 ლარის, ხოლო მ. მ-ის სასარგებლოდ – 3 840 ლარის გადახდა, ამასთან, სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტებმა ვალდებულების შესრულების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადასახდელი თანხის 0.07%-ის დაკისრების მოთხოვნაზე უარი განაცხადეს.

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 230-ე მუხლისა და 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად მიიჩნია, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე – სს «პ-ი» გაფრთხილებული იყო 2011 წლის 10 თებერვალს, 17:30 საათზე დანიშნული სხდომის დროსა და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მის სახელზე გაგზავნილი უწყება ჩაბარდა ორგანიზაციის ბუღალტერ მ. ძ-ს 2011 წლის 18 იანვარს, რაც სს «პ-ისათვის» ჩაბარებად ითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები: ა) მოსარჩელები ვ. კ-ე, თ. ს-ე და მ. მ-ე მუშაობდნენ სს «პ-ში», ბ) მოსარჩელებს არ მიუღიათ 6 თვის ხელფასი, გ) ვ. კ-ის საშუალო ხელფასის გათვალისწინებით ხელფასის სახით მისაღები აქვს 4 290 ლარი, დ) თ. ს-ეს – 3 150 ლარი, ე) მ. მ-ეს – 3 840, ლარი დადგენილად მიიჩნია. სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილით, 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლით და ჩათვალა, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის განჩინებით სს «პ-ის» საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე, 233-ე მუხლებით და განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ისეთი გარემოებების დადასტურება, რომელიც სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის დროულად შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს, ანუ კანონმდებელი მხარეს აკისრებს ვალდებულებას, დროულად აცნობოს სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სათანადო მტკიცებულებით დაადასტუროს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლის გამოც გამოუცხადებლობის მიზეზის სასამართლოსათვის დროულად შეტყობინება შეუძლებელი გახდა. პალატამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მითითებული გარემოებები და მიიჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველებს, ამასთან, აპელანტის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მითითებული გარემოება ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპატიო მიზეზად მიჩნევის საფუძველი არაა. სასამართლომ განმარტებით, პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობასთან ერთად, საჩივრის ავტორს ასევე ეკისრება იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ავადმყოფობის გამო, არ შეეძლო, ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის შესახებ, რაც საჩივარზე დართული ცნობით არ დასტურდებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულების სახით წარდგენილი ცნობის მითითება – პაციენტს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი, მეტყველებს ექიმის მიერ ავადმყოფისათვის სარეკომენდაციო ხასიათის დანიშნულებაზე და არა იმ გარემოებაზე, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მას შესაძლებლობას ართმევდა, განეხორციელებინა სამსახურებრივ მოვალეობებთან დაკავშირებული აუცილებელი მოქმედებები, კერძოდ, შეეტყობინებინა მარწმუნებლისა და სასამართლოსათვის პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. სხდომაზე გამოცხადებასთან დაკავშირებული საპროცესო ვალდებულებებისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება უქმნის სასამართლოს ვარაუდს, თუ რამდენად მნიშვნელოვნად აღიქმება მხარის მიერ სასამართლო განხილვა და შესაბამისი ინტერესი, არ იქნეს დამზვებელი საქმის წარმოების გაუმართლებელი შეფერხება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე – სს «პ-ი» ორგანიზაციაა, რომლის შესაძლებლობა, გამოვიდეს სასამართლო პროცესზე ან წარადგინოს საჭირო შუამდგომლობა თუ განცხადება, არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი წარმომადგენლის მომსახურებით. 2011 წლის 10 თებერვლის სხდომაზე უწყება ჩაბარდა სს «პ-ის» ბუღალტერიას, რაც დასტურდება მიმღების ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით. ამდენად, 2011 წლის 10 თებერვლის სხდომასთან დაკავშირებით ცნობილი არ იყო მხოლოდ ერთი წარმომადგენლის – გ. ი-ისათვის, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, გამოერკვია 2011 წლის 10 თებერვლის განხილვის თაობაზე საკითხი და მიეღო საჭირო ზომები არსებული საპროცესო ვალდებულებების შესაბამისად. სასამართლო, დაუსაბუთებლობის გამო, არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ აპელანტების მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარი შრომის ანაზღაურების მოცულობა განიხილება, როგორც ფაქტობრივი გარემოება. ფაქტობრივი გარემოების დადგენა არ წარმოადგენს ურთიერთობის მოწესრიგებელი სამართლის ნორმების გამოყენების შედეგს, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როცა არსებობს ფაქტობრივი გარემოებების მხოლოდ მითითების საფუძველზე დადგენის საპროცესო წინაპირობა.

სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «პ-მა», მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზს არ წარმოადგენს, არასწორია, რადგანაც ქ.თბილისის №3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის მიერ 2011 წლის 21 თებერვალს გაცემული ცნობის შესაბამისად, პაციენტ გ. ი-ეს დაუდგინდა გრიპის ვირუსი, ტემპერატურა – 39 გრადუსი, რაც შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზს. ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი, რომ, ვინაიდან სს «პ-ი» ორგანიზაციაა, მას შეეძლო სხვა წარმომადგენლის მეშვეობით დაეცვა უფლებები სასამართლოში და ამის საპირისპიროდ მიუთითა შემდეგ გარემოებაზე: სს «პ-ის» წარმომადგენელი იყო გ. ი-ე, მან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ შეძლო სასამართლო პროცესზე გამოცხადება, ის ფაქტი, რომ სასამართლო უწყება ბუღალტერს ჩაბარდა, არ ნიშნავს მის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში, საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გაცემული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი სს «პ-ის» ინტერესების დაცვის უფლების გ.ი-ისათვის მინიჭების თაობაზე და სასამართლოს დასკვნა, რომ საზოგადოების წარმოდგენა შეეძლო სხვა პირსაც, არასწორია. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა სს «პ-ის» საჩივარი, ასევე არ იმსჯელა იმ გარემოებებზე, რაც განმარტლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რადგანაც, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლოს ვარაუდი გამოუცხადებელი მხარის მიერ მისი უფლების დაცვის ინტერესის დაკარგვის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება. კასატორმა სადავოდ მიიჩნია ასევე, მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანხის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების პრინციპით გამოთვლა, რადგანაც შრომის ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ემყარება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებას და არა წინა პერიოდის ხელფასიდან გამოთვლის შესაძლებლობას. ასეთი წესით ხელფასის გადახდაზე შეთანხმება კი მოსარჩელებსა და სს «პ-ს» შორის არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სს «პ-ის» საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებიდან და მისი უცვლელად დატოვების თაობაზე განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «პ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 იანვრის განჩინებით ვ. კ-ის, თ. ს-ისა და მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. ამავე განჩინებით აპელანტთა მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა ვადა სააპელაციო პასუხის წარდგენისათვის და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2011 წლის 10 თებერვალს 17:30 საათზე.

მითითებული განჩინების შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა როგორც ვ.კ-ის, თ.ს-ისა და მ.მ-ის სააპელაციო საჩივარი, ისე უწყება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც კასატორი ხდის სადავოდ, რომ სს «პ-ისათვის» გაგზავნილი უწყება 2011 წლის 18 იანვარს ჩაბარდა სს «პ-ის» ბუღალტერ მ. მ-ს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდნენ აპელანტები, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

დასახელებული ნორმით დადგენილია სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელიც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება, ამასთან, კანონმდებელი განმარტავს, რომ მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში აპელანტის ახსნა-განმარტების მოსმენის საფუძველზე სასამართლო სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს დადასტურებულად ჩათვლის.



საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის სავალდებულო, კერძოდ, დადგენილია, რომ, თუ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მითითებული ნორმების შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სამართალწარმოების როლი განისაზღვრება დადგენილად მიჩნეული გარემოებებისა და მოთხოვნის სამართლებრივი თანაფარდობის გამორკვევით.

მოცემულ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი გარემოებები: ა) მოსარჩელები ვ. კ-ე, თ. ს-ე და მ. მ-ე მუშაობდნენ სს «პ-ში», ბ) მოსარჩელებს არ მიუღიათ 6 თვის ხელფასი, გ) ვ. კ-ის საშუალო ხელფასის გათვალისწინებით ხელფასის სახით მისაღები აქვს 4 290 ლარი, დ) თ. ს-ეს – 3 150 ლარი, ე) მ. მ-ეს – 3 840 ლარი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სამართლებრივად სასარჩელო მოთხოვნის მართებულების თაობაზე, რადგანაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. განსახილველი ნორმით კანონმდებელმა დააწესა სამართლებრივი ურთიერთობის შრომის კოდექსით რეგულირებულ სფეროში მოქცევისათვის სავალდებულო ელემენტები: დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. ამავე კოდექსის 31-ე მუხლით მოწესრიგებულია შრომის ანაზღაურების წესი და დადგენილია შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ანაზღაურების გაცემის წესის უპირატესობა შრომითი ურთიერთობისას, ხოლო ნორმაში გადმოცემული ზოგადი დანაწესი – შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ სამუშაო ადგილზე, გამოიყენება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ანაზღაურების წესზე შესაბამის დათქმას არ აკეთებს. რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებიდან გასვლისას შრომის ანაზღაურების საკითხს, კანონმდებელმა დაადგინა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

დადგენილად მიჩნეული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სავსებით მართებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მსჯელობას სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე, რაც თავისთავად სს «პ-ის» საკასაციო პრეტენზიის უსაფუძვლობაზე მიუთითებს იმ ნაწილში, რომლითაც მხარემ მიიჩნია, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაეკმაყოფილებინა სარჩელი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით – ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის საფუძველზე სააპელაციო პალატას უნდა გაეუქმებინა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად დატოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში.

საკასაციო პალატა მითითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, სადაც რეგლამენტირებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ამკრძალავი წინაპირობები, კერძოდ:

- ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით;
- ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;
- გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;
- დ) არ არსებობს სარჩელის აღმერის წინაპირობები.

საქმეში წარმოდგენილი საჩივრისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლით დასტურდება, რომ სს «პ-ს» აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი დასაშვები პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამასთან, ნორმაში მითითებული გარემოებების არსებობა არც საქმის მასალებით დასტურდება.

საკასაციო პალატა მიუთითებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, როდესაც სასამართლო გააუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ესაა მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა. კანონმდებლობა საპატიო მიზეზად მიიჩნევს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობას, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

დასახელებული ნორმით დადგენილია კუმულატიური პირობა: უნდა არსებობდეს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული საპატიო საფუძველი და მხარეს თავის ბრალის გარეშე არ უნდა შეეძლოს საქმის განხილვის ეტაპზე აცნობოს სასამართლოს ამ საპატიო მიზეზის თაობაზე. მითითებულთაგან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს მოცემული ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.

საქმეში წარმოდგენილი გ. ი-ის ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მართალია, დასტურდება 2011 წლის 10 თებერვალს პაციენტისათვის დიაგნოსტიკური გამოკვლევის ბინაზე ჩატარების ფაქტი, თუმცა აღნიშნული მტკიცებულება არ შეიცავს პირდაპირ მითითებას გ. ი-ის სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობაზე. რაც შეეხება კასატორის განმარტებას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიობის თაობაზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები გ. ი-ის შეფასებაა, ემყარება მის მოსაზრებებს და არ გამომდინარეობს ექიმის ცნობაში გადმოცემული დასკვნიდან, ამ კუთხით, საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა თავისთავად არ გამოიციხავს ამ პირის უფლებების სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაცვის შესაძლებლობას. შესაბამისად, კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტავს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. დასახელებული ნორმით განმტკიცებულია იურიდიული პირის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა და დადგენილია, რომ სასამართლოში მას წარმოადგენენ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ მიიჩნევს რა სს «პ-ის» ინტერესების სხვა წარმომადგენლობის მეშვეობით დაცვის შესაძლებლობას, მას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სათანადო მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია, რომ საზოგადოების ინტერესების სასამართლო წესით დაცვაზე ის ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელია, რაც სწორედ მისი მტკიცების ტვირთი იყო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სს «პ-ის» წარმომადგენელ გ. ი-ის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ ქმნის გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2011 წლის 24 მარტის განჩინების გაუქმების პროცესუალურ საფუძველს, შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს «პ-ის» წარმომადგენელ გ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2011 წლის 24 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა**

#### **განჩინება**

№ას-1113-1140-2011

15 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ოზრუგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-ას სარჩელი ნ. გ-ას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოაპსუხე ნ. გ-ას, ა. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 6967 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში ა. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მასვე, მოსარ-

ჩელის სასარგებოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – **204,97** ლარისა და აუდიტორული მომსახურების ხარჯის – **60** ლარის ანაზღაურება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

**2000** წლის **31** ივლისს, ნ. გ-ასა და მისი მშობლების – კ. და ც. გ-ებისაგან ა. მ-ამ **200** აშშ დოლარად შეიძინა კურორტ ბ-ში, ... ქ. №12-ში მდებარე **36** კვ.მ საცხოვრებელი სახლი, რომელიც ირიცხებოდა აწ გარდაცვლილი კ. გ-ას სახელზე. აღნიშნული გარიგება კანონით დადგენილი წესით არ გაფორმებულა და, შესაბამისად, უძრავი ქონება არ აღრიცხულა საჯარო რეესტრში ა. მ-ას სახელზე. აღნიშნული სახლი, რომელიც საცხოვრებლად უვარგისი იყო, ა. მ-ამ **2006** წლის ივნის-ივლისში ადადგინა, გაწეულმა ხარჯმა კი, შეადგინა **6575** ლარი.

საქმეში არსებული **2009** წლის **28** დეკემბერს ნ. გ-ას მიერ შედგენილი ხელწერილით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ა. მ-ამ აღნიშნულ ბინაზე ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, ნ. გ-ამ გადაიფიქრა მისი გაყიდვა იმ მოტივით, რომ არ ჯდებოდა მისი და მისი დის ინტერესებში. ამავე ხელწერილით, ნ. გ-ამ აიღო ვალდებულება, რომ ა. მ-ას მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების შემდეგ, შესაძლებლობების ფარგლებში გადაიხდიდა თანხას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, იგი მოსარჩელეს გადაუხდიდა **200** აშშ დოლარსა და მის მიერ გამოყენებულ საამშენებლო მასალას.

ზემოაღნიშნული დადგენილი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის **58-ე, 59-ე, 61-ე, 183-ე, 341-ე, 976-ე, 979-ე, 980-ე, 981-ე** და **987-ე** მუხლებზე მითითებით მიიჩნია, რომ ა. მ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ა. მ-ამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, ნ. გ-ასათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით **2010** წლის **31** ივლისამდე პერიოდისათვის **3198,52** ლარის, ხოლო **2010** წლის პირველი აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველწლიურად **647,93** ლარის დაკისრება.

ნ. გ-ამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას ა. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა **6967** ლარისა და საპროცესო ხარჯების გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **8** აპრილის სასამართლო სხდომაზე ნ. გ-ას გამოუცხადებლობის გამო, ა. მ-ას წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით ნ. გ-ას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ა. მ-ას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილება; მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ასა და ა. მ-ას სააპელაციო საჩივრები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-ას წარმომადგენელმა მ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა ნ. გ-ას სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და მოცემული საქმის არსებითად განხილვა იმ საფუძველით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, **2011** წლის **8** აპრილს, მისი მარწმუნებლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, ნ. გ-ას დედასა და თავად ნ. გ-ას ავადმყოფობით, რომელიც ცხოვრობს მაღალმთიან სოფელში და ვერ შეძლო გამოუცხადებლობის თაობაზე ეცნობებია სასამართლოსათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **10** მაისის განჩინებით ნ. გ-ას წარმომადგენელ მ. გ-ის საჩივარი ამავე სასამართლოს **2011** წლის **8** აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე მტკიცებულება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **215.3-ე** მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ავადმყოფობის ცნობა, რითაც დადასტურდებოდა **2011** წლის **8** აპრილს, ნ. გ-ას სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, ამასთან არ არსებობდა სსსკ-ის **233-ე** მუხლით გათვალისწინებული სხვა გარემოებები, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენლის საჩივარი უსაფუძველობის გამო, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2011** წლის **10** მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ამ, მოითხოვა როგორც დასახელებული განჩინების, ისე ამავე სასამართლოს **2011** წლის **8** აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო დედამისის მძიმე ავადმყოფობის თაობაზე, ხოლო **8** აპრილისათვის თავადაც ავად გახდა, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე დროის სიმცირისა და მაღალმთიან სოფელში ცხოვრების გამო ვერ შეძლო ეცნობებინა სასამართლოსათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაი-

სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება და ასევე ამავე სასამართლოს 2011 წლის 8 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლო-ში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 387.1 მუხლიდან გამომდინარე, საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ასეთ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული, იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის არსებით იურიდიულ მხარეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთით, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ მოტივით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლოს მთავარ სხდომაზე – 2011 წლის 8 აპრილს მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, დედისა და თავად მისი ავადმყოფობით, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე დროის სიმცირისა და მაღალმთიან სოფელში ცხოვრების გამო ვერ შეძლო ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება ვერ მიიჩნევა სასამართლო სხდომაზე აპელანტ ნ. გ-ას გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად და ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან საკასაციო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ავადმყოფობის ცნობა, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს დაადასტურებდა. მითითებული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შეამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შეამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. საგულისხმოა, რომ ხსენებული ნორმით კანონმდებელი ავადმყოფობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, თუკი იგი დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ასეთი მტკიცებულება კასატორს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლებიდან გამომდინარე, მის მოვალეობას შეადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2011 წლის 8 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

### განჩინება

№ას-1273-1293-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის გადახდის სანაცვლოდ მესაკუთრედ ცნობა, საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 17 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ე. ო-მა მოპასუხეების – ს. და ა. ბ-ების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, ... ქ. №20-ში მდებარე, მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, მითითებული ქონების მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ო-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე. ო-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება 78.4 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და აპელანტის მოთხოვნა დასახელებულ ნაწილში დაკმაყოფილდა: ე. ო-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ფ-ას ქ. №20-ში პირველ სართულზე მდებარე 78.4 კვ.მ ფართის მესაკუთრედ, მის მიერ მოპასუხეებისათვის 9800 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დანიშნული იყო 2011 წლის 12 აპრილს 13<sup>00</sup> საათზე, არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე – ა. და ს. ბ-ები, რომლებსაც სასამართლო უწყება ჩაბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. კერძოდ, უწყება ჩაბარდა მათ წარმომადგენელს ლ. დ-ს 2011 წლის 10 მარტს;

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოწინააღმდეგე მხარეების გამოუცხადებლობის გამო და ე. ო-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 230-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, დამტკიცებულად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. აპელანტი ე. ო-ი სადავო ფართში ჩაწერილი იყო 1996 წლამდე (1946 წელს); ბ. მას გააჩნდა 1998 წლის 25 ივნისამდე და შემდეგაც გადახდილი კომუნალური გადასახადის ქვითრები.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე იმ ნაწილში რომელიც შეეხებოდა მესაკუთრედ ცნობას ქ.თბილისში, ... ქ.№20-ში პირველ სართულზე მდებარე 78.4მ<sup>2</sup>-ის ფართზე, რომლის ღირებულებაც ექსპერტიზის დასკვნით შეადგენდა 39200 აშშ დოლარს, ხოლო მისი 25%-ი კი – 9800 აშშ დოლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ქ.თბილისში, ... ქ.№20-ში პირველ სართულზე მდებარე 78.4მ<sup>2</sup> ფართზე მესაკუთრედ ცნობას, არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმა, ა. და ს. ბ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საჩივრის ავტორებმა მიუთითეს შემდეგ არგუმენტებზე:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხეთა გამოუცხადებლობის მიზეზი იყო არასაპატიო. მოპასუხეებმა სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლეს იმის გამო, რომ მოპასუხე ს. ბ-ი 2011 წლის 10 აპრილს გაფრინდა საქართველოდან ისრაელში, ხოლო მეორე მოპასუხე – ა. ბ-ი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებული გახდა გაფრენილიყო ისრაელში რამდენიმე დღის შემდეგ. ამ გარემოების გათვალისწინებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს და გაუმართლებელ ზიანს აყენებდა მოპასუხეებს. მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიზანი, რომელსაც წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი მხარის წინააღმდეგ სანქციის გამოყენება მიღწეული ვერ იქნებოდა, რადგან ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც მოპასუხე არ ცდილობდა საქმის გაჭიანურებას. ამას მოწმობდა ის ფაქტიც, რომ მოპასუხეებმა შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში, ისინი თავადაც იყვნენ დაინტერესებულნი საქმის დროული განხილვით. ამდენად, საჩივრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არამართლზომიერად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული დისკრეცია და მიიღო უსამართლო და ზიანის მომტანი გადაწყვეტილება;

საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ე. ო-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას მესაკუთრედ ცნობის შესახებ. კერძოდ, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, გაურკვეველი იყო, თუ რის საფუძველზე მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ აპელანტი შესაძლებელია ცნობილი ყოფილიყო რაიმე ფართის მესაკუთრედ. არსად, კანონის მეორე მუხლის არც მესამე და არც მეოთხე პუნქტებში მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არაფერი იყო ნათქვამი. საჩივრის ავტორის განმარტებით, მესაკუთრედ ცნობა შესაძლებელია მოითხოვოს მოსარგებლემ. კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოსარჩელის მოსარგებლის სტატუსი დადგენილი არ ყოფილა, უფრო მეტიც აღნიშნული იყო სადავო. ამასთან, საჩივრის ავტორების განმარტებით «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხოლოდ ე. ო-ის მოსარგებლის სტატუსი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში აღნიშნული მუხლი არ იძლეოდა მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის საფუძველს. აღნიშნული ასევე დასტურდებოდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის დანაწესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, მესაკუთრე უარს იტყვის მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდაზე, მოსარგებელს აქვს უფლება მოსთხოვოს მესაკუთრეს საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა. კანონის მიზანია დაიცვას მესაკუთრის უპირატესი უფლება, სწორედ ამიტომ, კანონმდებელი არჩევანის საშუალებას აძლევს მესაკუთრეს. მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრის უარი საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდაზე არასად არ ყოფილა მითითებული. კანონის თანახმად კი, მხოლოდ ამგვარი ფაქტობრივი გარემოების არსებობისას შეიძლებოდა მინიჭებოდა მოსარგებლეს საკუთრების უფლება;

საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, მოსარჩელეს არ დაუდასტურებია საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რაც აუცილებელია «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინებით ა. ბ-ისა და ს. ბ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია თუ: ა. გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ. სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ. გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივ გარემოებები; დ. არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა კანონის ზემოთ დასახელებული ნორმით განსაზღვრული არცერთი პირობა. ის გარემოება, რომ ს. და ა. ბ-ებს მოუხდათ ისრაელში გამგზავრება, თავისთავად არ ადასტურებდა რაიმე ისეთი მოვლენის არსებობას, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. მართალია, საჩივარს თან ახლდა ს. ბ-ის თვითმფრინავის ბილეთი გამგზავრების რიცხვით 2011 წლის 10 აპრილი, ხოლო დაბრუნების რიცხვით 2011 წლის 15 მაისი, მაგრამ რამდენადაც სასამართლოს სხდომა დანიშნული იყო 12 აპრილს, ს. ბ-ს შეეძლო, გამგზავრებამდე წერილობით ეცნობებინა სასამართლოსათვის მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ანალოგიური ბილეთი ა. ბ-ზე არ ყოფილა წარმოდგენილი. ამასთან, ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი ა. ბ-ის ავადმყოფობის ცნობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ა. ბ-ის გამგზავრება ისრაელში შეიძლებოდა დადასტურებულიყო ბილეთით, ხოლო მისი ავადმყოფობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად გაცემული ცნობით. ეს მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო სხვა მტკიცებულებებით კი მათი დადასტურება შეუძლებელი იყო. აქვე, სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორები საქმეში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან დავის საგანი შეეხებოდა მათ საერთო უფლებას – საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე და ერთ-ერთი მათგანის გამოცხადების შემთხვევაშიც კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იმის გამო, რომ სასამართლომ სამართლებრივ ნორმებად მიუთითა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, ნაცვლად ამავე მუხლის მე-6 პუნქტისა. სააპელაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვითაც, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ამ საპროცესო ნორმის გამოყენებისას აუცილებელია, რომ აპელანტის მოთხოვნას კანონი უკავშირებდეს იმ შედეგს, რომლის დადგომაც სურს აპელანტს, ხოლო ნორმების მითითება ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ იმსჯელა ამ მოთხოვნის შესაბამისობაზე კანონით განსაზღვრულ შედეგთან. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების დროს მოთხოვნის გამართლებაზე მსჯელობისას განმსაზღვრელი ის კი არაა, რომ შესაბამისი კანონის შესაბამისი მუხლის შესაბამისი პუნქტები იყოს მითითებული, არამედ ის, რომ ეს კანონი ზოგადად იძლეოდეს შესაძლებლობას დაკმაყოფილდეს აპელანტის მიერ მოთხოვნილი შედეგი. ამის შესაძლებლობას კი კანონი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» იძლეოდა მის მე-2 მუხლში. ხოლო მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის ნაცვლად იგივე მუხლის მე-3 და მე-4 მუხლების აღნიშვნა არ წარმოადგენდა საფუძველს მსჯელობისათვის, რომ დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის განჩინება ა. და ს. ბ-ებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორები მოითხოვენ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და მათი საჩივრის დაკმაყოფილებას, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვას, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ ა. და ს. ბ-ები საქმეში წარმოადგენდნენ თანამომავალს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან დავის საგანი შეეხებოდა მათ საერთო უფლებას – საკუთრების უფლებას უძრავ ნივთზე და ერთ-ერთი მათგანის გამოცხადების შემთხვევაშიც კი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნებოდა. კასატორთა მოსაზრებით, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის თავის მსჯელობასთან, რამდენადაც აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე მარტივად შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი ს. ბ-ის სხდომაზე გამოუცხადებლობა იყო საპატიო, მაშინ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. უდავოდ დადგენილი ფაქტია, რომ ს. ბ-ი არ იმყოფებოდა საქართველოში 2011 წლის 10 აპრილიდან 2011 წლის 15 მაისამდე. იმის გამო, რომ გამგზავრების საკითხი მოულოდნელად გადაწყდა, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მანამდე მოეხდინა სასამართლოს ინფორმირება პროცესის დღეს საქართველოში არყოფნის შესახებ. შესაბამისად, კასატორების აზრით, რადგან ს. ბ-ის პროცესზე გამოუცხა-

დებლობა მოხდა საპატიო მიზეზით – საქართველოში მისი არყოფნის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რამდენადაც დავის საგანი შეეხებოდა საერთო უფლებას.

კასატორები აღნიშნავენ იმასაც, რომ ასევე საპატიო გარემოებით იყო გამოწვეული ა. ბ-ის სხდომაზე გამოუცხადებლობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გამგზავრებულიყო ისრაელში. ამდენად, ა. ბ-ს არ შეეძლო გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობა მას ამის საშუალებას არ აძლევდა.

კასატორთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: დაუსწრებელი გადაწყვეტილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს. ისეთ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს არ წარუდგენია კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები 1996 წლამდე, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გამოეტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. და ს. ბ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხეები) – ა. და ს. ბ-ები კანონით დადგენილი წესით მიწვეულნი იყვნენ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში. კასატორები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოში მათი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ისინი იძულებულნი გახდნენ გამგზავრებულიყვნენ ისრაელში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის სხდომაზე მათი გამოუცხადებლობის საპატიოობას. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ს. ბ-ს ისრაელში გამგზავრებამდე შეეძლო წერილობით ეცნობებინა სასამართლოსათვის მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მართებულად არ გაიზიარა ს. ბ-ის განმარტება იმის შესახებ, რომ მისი ისრაელში გამგზავრება მოულოდნელად გადაწყდა, რაც გამოიწვავდა მის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ხსენებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები ს. ბ-ს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად.

დაუსაბუთებელია ასევე ა. ბ-ის პრეტენზია სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის არასაპატიოდ მიჩნევის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მართალია ავადმყოფობა წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, მაგრამ ასეთი გარემოების არსებობა უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ა. ბ-მა ვერ შეძლო დაედასტურებინა მის მიერ მითითებული გარემოებები სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ საქმის მასალების თანახმად, ა. და ს. ბ-ები სასამართლოში დავას აწარმოებდნენ წარმომადგენლის, ლ. დ-ის მეშვეობით. დასახელებული პირის სახელზე მათ მიერ გაცემული მინდობილობა დღემდე ძალაშია. საგულისხმოა, რომ ე. ო-ის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი მოპასუხეების სახელით სწორედ მათმა წარმომადგენელმა, ლ. დ-მა წარადგინა. საკასაციო საჩივარში (ისევე როგორც დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარში) საუბარია სასამართლო სხდომაზე უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხეების) და არა მათი წარმომადგენლის გამოცხადების შეუძლებლობაზე, რაც თავისთავად არ ასაბუთებს პროცესზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობას. ამდენად, თუნდაც გაზიარებულ იქნეს კასატორთა მოსაზრება სასამართლო სხდომაზე მათი



გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ გამორიცხავდა კასატორთა მხრიდან თავიანთ წარმომადგენელთან დაკავშირების შესაძლებლობას, რათა მათ მიეღოთ ზომები სასამართლო პროცესზე წარმომადგენლის გამოცხადებისათვის და თავიდან აეცილებინათ მათთვის არასასურველი პროცესუალური შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

კასატორთა მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, ვინაიდან მოსარჩელეს არ წარუდგენია მის მიერ მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი ე. ო-ი, რომლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასაც წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, მიუთითებდა, რომ იგი ჩაწერილი იყო სადავო ფართში 1996 წლამდე (1946 წელს) და მას გააჩნდა 1998 წლის 25 ივნისამდე და შემდგომ პერიოდშიც კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები. ყოველივე აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევის და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრების წარუდგენლობა, გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას და განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ე. ო-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლებოდა და ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომოხილვილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორების მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. და ს. ბ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

### განჩინება

№ას-1734-1715-2011

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ფ-ამ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ნ. ფ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული ქონების გამოთხოვა შემდეგი დასაბუთებით: ქ.ბათუმში, ... №9-ში, ბინა №47-ში მარტო ცხოვრობს, რომელიც საკუთრების უფლებით მასზე ირიცხებოდა. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, 2010 წელს ბინაზე ჩუქების ხელშეკრულება გაუფორმა თავისი მეორე ცოლის შვილს, ნ. ფ-ას, რომელიც ჩუქების სანაცვლოდ ჰპირდებოდა მოვლა-პატრონობას. ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოპასუხემ დაარღვია პირობა, აყენებდა შეურაცხყოფას, ავიწროებდა, სისტემატურად ეჩხუბობოდა, უარი თქვა ყოველგვარ დახმარებაზე. მოსარჩელის კუთვნილი პენსია და სახელმწიფოს მიერ მისთვის დაწესებული დახმარებაც კი მიითვისა. მოსარჩელე ულუკმაპუროდ არის დარჩენილი და უმწეოთა სასაბჭოში იკვებება, მეზობლები აწვდიან საჭმელსა და წამლებს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. იძულებული გახდა, საავადმყოფოდან დროებით საცხოვრებლად წასულიყო თავის შვილიშვილთან, მერაბ ლოლობერიძესთან, რომელიც მას დღემდე უვლის და პატრონობს. ნ. ფ-ას მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და უმადურობის გამოჩენის ფაქტებს ადასტურებენ მისი მეზობლები, რომლებიც მრავალჯერ შესწრებიან ასეთ ფაქტებს. მოპასუხის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის გამო მან განცხადებით მიმართა საქართველოს შსს ბათუმის საქალაქო სასამართლოს პოლიციის მე-5 განყოფილებას, სადაც, როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელის მეზობლებს ჩამოართვეს სათანადო ახსნა-განმარტებები. მოპასუხემ სცადა აღნიშნული ბინის გაყიდვა, მას სხვა საცხოვრებელი არ აქვს და ბინის გასხვისების შემთხვევაში დარჩება ღია ცის ქვეშ.

მოპასუხე ნ. ფ-ამ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: გაჩუქებულ ბინაზე მის მამას, ზ. ფ-ას, საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობის უფლება გააჩნდა მის აწ გარდაცვლილ დედას ლ. ფ-ას. ზ. ფ-ამ 2010 წლის 18 იანვარს აღნიშნულ ბინაზე ჩუქების ხელშეკრულება გაუფორმა მას, რაც დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით და ბინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის სახელზე. არც აღნიშნული ხელშეკრულების დადებად და არც მას შემდეგ მას შეურაცხყოფა არ მიუყენებია მოსარჩელისთვის და შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ცდილობდა, მოეწყო მისთვის.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ფ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ფ-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა ზ. ფ-ამ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2011 წლის 6 ივლისს სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ზ. ფ-ას წარმომადგენელ ჯუმბერ დიდმანიძეს, გზავნილით განემარტა მოწინააღმდეგე მხარეს, რომ ხუთი დღის ვადაში უნდა წარმოედგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარუდგინა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2011 წლის 2 აგვისტოს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-, 2321-ე და 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, პალატამ განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. ფ-ამ გამოიჩინა დიდი უმადურობა ზ. ფ-ას მიმართ ან მიაყენა შეურაცხყოფა, ასევე მჩუქებელი ზ. ფ-ა საცხოვრებელი ბინის გაჩუქებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, არ დგინდება. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული ჩუქების გაუქმების გარემოებების არარსებობა-იურიდიულად

ამართლებდა მოთხოვნას. პალატის მოსაზრებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ორივე პირობა არსებობდა პირველი – მოპასუხე მხარემ მიერ სარჩელოზე – პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში წარმოდგენილობა და მეორე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321-ე მუხლის თანახმად, სარჩელოში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ფ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად არ გაიზიარა საქმეში არსებული მთელი რიგი მტკიცებულებები და გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ და მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტორებზე გარემოებებს, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი იყო აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის წარუდგენლობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მისთვის, როგორც მოწინააღმდეგე მხარისთვის, არ გაუგზავნია, არც მის წარმომადგენელ ჯ. დიდმანიძეს კანონით დადგენილი წესით ჩაჰპარებია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ფ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადავო სააპელაციო სასამართლო მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების მართლობიერება. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე არ ადგენს საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით კანონმდებელი ადგენს დანაწესს, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულობას ადგენს და მისი შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელოში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი; ბ. იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით; გ. სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას; დ. არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მისთვის, როგორც მოწინააღმდეგე მხარისთვის არ გაუგზავნია და არც მის წარმომადგენელ ჯ. დიდმანიძეს კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე რომ მას სააპელაციო საჩივარი არ ჩაჰბარებია, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დადგენილია და სადავო არაა, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაჰბარდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ზ. ფ-ას წარმომადგენელ ჯ. დ-მეს, რაც თავად ადრესატისათვის (ზ. ფ-ასათვის) ჩაბარებად ითვლება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათვის უწყების ჩაბარება ითვლება ადრესატისათვის უწყების ჩაბარებად, მიუხედავად იმისა, უწყების მიმღები გადასცემს თუ არა მას ადრესატს. შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრის ასლი არ ჩაჰბარებია, დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, არ გამოუკვლევია სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოთ მითითებული მოსაზრება არ გამომდინარეობს კანონის განმარტებიდან, კერძოდ, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, ისევე, როგორც სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და თუ ისინი ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ნ. ფ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა ზ. ფ-ას სარჩელში მითითებული და საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქ-

ტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ნ. ფ-ამ გამოიჩინა დიდი უმადურობა ზ. ფ-ას მიმართ და მჩუქებელი ზ. ფ-ა საცხოვრებელი ბინის გაჩუქებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, აპელანტმა აღნიშნული გარემოება უარყო. სააპელაციო საჩივარში მითითებული ამ გარემოების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხე ზ. ფ-ას, მაგრამ, ვინაიდან მან სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებელი არ წარადგინა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ ნ.ფ-ას ზ. ფ-ას მიმართ არ გამოუჩენია უმადურობა და იგი ბინის გაჩუქებით არ ჩავარდნილა მძიმე მდგომარეობაში. დასახელებული გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში მოსარჩელის (ზ. ფ-ას) მოთხოვნის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი აღარ არსებობს, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა სწორედ იმ გარემოებას, რომ მოპასუხე მას აყენებდა შეურაცხყოფას და ბინის გაჩუქებით ჩავარდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა წინაპირობა, გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო. შესაბამისად, ზ. ფ-ას საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ფ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

##### **განჩინება**

№ას-1236-1256-2011

3 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ო. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. ძ-ისა და კ. ხ-ის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის – 7478 ლარისა და პროცენტის – 2073,54 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2008 წლის მაისიდან მოსარჩელე აწვდიდა მოპასუხეებს ვენახის შხამქიმიკატებს, რისი ღირებულებაც მათ მოგვიანებით უნდა გადაეხადათ. მოპასუხეებმა ვალდებულება არ შეასრულეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თელავის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კ. ხ-ის მიმართ სარჩელს უარი ეთქვა, ო. ძ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7478 ლარისა და 2073,54 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც ო. ძ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ო. ძ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოსაგან განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენილობის გამო. ამავე პალა-

ტის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით კი, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ო. ბ-ის მიერ შეტანილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ო. ბ-ის სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა ო. ბ-ის მეუღლე ც. ბ-ს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ხსენებული დოკუმენტის თავად მხარისათვის ჩაბარებად ჩათვალა.

პალატის მოსაზრებით, საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობა ვერ დაადასტურა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად ვერ მიიჩნევა ო. ბ-ის მითითება, რომ 2011 წლის 13-14 მარტს იგი იმყოფებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, იქიდან დაბრუნებული პარტნიორთან ერთად ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით იყო ქ.თბილისში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მხოლოდ 24 მარტს დაბრუნდა შინ.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა ვერ დაასაბუთა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ო. ბ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი, როდესაც სასამართლო გზავნილის ც. ბ-ისათვის ჩაბარება თავად ო. ბ-ისათვის მის ჩაბარებად ჩათვალა, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ მეუღლემ სადავო გზავნილი მხარეს დროულად ვერ გადასცა.

საქმეში წარმოდგენილი ო. ბ-ის პასპორტის ქსეროასლითა და მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მხარე 2011 წლის 13-14 მარტს იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ხოლო 14 მარტიდან – ქ.თბილისში საქმეზე. შესაბამისად, მისთვის გზავნილის არსებობა ცნობილი არ იყო.

ამდენად, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზის დადასტურება ვერ შესძლო და არასწორად არ გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო პალატა საქმის განხილვისას სარგებლობს კანონით პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის განკუთვნილი ნორმებით გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება სპეციალური, უშუალოდ ამ ინსტანციისათვის დადგენილი ნორმების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქმის განხილვაზე აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

ამდენად, კანონის ზემოხსენებული დანაწესის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით სააპელაციო საჩივარზე შესაგებელს არ წარადგენს. აღნიშნული განპირობებულია, ერთი მხრივ, სასამართლოს ვარაუდით, რომ მხარემ საქმის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგა, მეორე მხრივ კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელმაც სასამართლოს დავალება უგულვებელყო და მის მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედება არასაპატიო მიზეზით არ შეასრულა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 2 მარტის განჩინებით ო. ბ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დადგინდა, სააპელაციო საჩივრის ასლი გაგზავნოდა მოწინააღმდეგე მხარე ო. ბ-ს, რომელსაც დაევალა 10 დღის ვადაში შესაგებლის შეტანა. განჩინებით მხარეს განემარტა შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი 2011 წლის 13 მარტს ჩაბარდა ო. ბ-ის მე-უღლე ც. ბ-ს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამაცხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ხსენებული ნორმის მიხედვით, სასამართლო გზავნილის ო. ბ-ის მეუღლისათვის ჩაბარება თავად ადრესატისათვის მისი ჩაბარების ტოლფასია.

ამდენად, ო. ბ-ს ო. მ-ის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი უნდა შეეტანა 2011 წლის 14 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით, თუმცა საქმის მასალების თანახმად, მხარემ შესაგებელი ფოსტას ჩააბარა 2011 წლის 24 მარტს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სავსებით სწორად დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას, რომ ო. ბ-მა შესაგებლის შეტანის ვადის დარღვევის საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი სათანადოდ ვერ დაადასტურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წინამძღვრებს და ასეთად თვლის ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

განსახილველ შემთხვევაში მხარე უთითებს, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი ო. ბ-ის მეუღლემ ქმარს იმავე დღეს ვერ გადასცა, რადგან მხარე 2011 წლის 13-14 მარტს იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ხოლო 14 მარტიდან – ქ.თბილისში საქმეზე, შესაბამისად, მისთვის გზავნილის არსებობა ცნობილი არ იყო და შესაგებლის ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა. აღნიშნულ გარემოებას მხარე ამყარებს ო. ბ-ის პასპორტის ქსეროასლსა და მოწმეთა განმარტებებზე.

საკასაციო სასამართლო კასატორის ზემოხსენებულ არგუმენტს ვერ გაიზიარებს უპირველესად იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარის ოჯახის სრულწლოვანი წევრისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება თავად მხარისათვის მის ჩაბარებას უთანაბრდება. ც. ბ-მა მიიღო რა მეუღლის სახელზე გაგზავნილი მასალები, აღნიშნულით საკუთარ თავზე აიღო გზავნილის ადრესატისათვის დროულად გადაცემის ვალდებულება და პასუხისმგებლობა. ამასთან, შპს «...-ს» შეტყობინების ბარათით ან საქმის სხვა მასალებით არ დასტურდება ც. ბ-ის მიერ მეუღლისათვის სასამართლო გზავნილის დროულად ჩაბარების შეუძლებლობაზე მითითება.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ო. ბ-ი აზერბაიჯანში გაემგზავრა მხოლოდ 2 დღით, დანარჩენი 8 დღის განმავლობაში კი იგი საქართველოში იმყოფებოდა და სასამართლოს სარწმუნოდ არ მიაჩნია მოწმეთა განმარტება, რომ მხარე ამ ხნის მანძილზე ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობას მოკლებული იყო.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ო. ბ-ი საქმეს აწარმოებდა წარმომადგენლის დახმარებით, შესაბამისად, მისი არყოფნის შემთხვევაში სადავო საპროცესო მოქმედება უნდა შეესრულებინა მის წარმომადგენელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ო. ბ-ის საკასაციო საჩივრის ფარგლებში განიხილა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების კანონიერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილი) და მიაჩნია, რომ მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლის არსებობა კასატორმა ვერ დაასაბუთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

### განჩინება

№ას-78-68-2011

23 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ხ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «გ-ის» დირექტორ ა. ჩ-ისა და მესამე პირის – შპს «ჯ. ფ-ს» მიმართ და მოითხოვა მოპასუხე შპს «გ-ისათვის» მოსარჩელის მიერ შპს «ჯ. ფ-ს» სასარგებლოდ მოპასუხის ნაცვლად გადახდილი 4914,02 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო: 2008 წლის 28 ნოემბრამდე მოსარჩელე იყო შპს «გ-ის» ერთ-ერთი პარტნიორი 49%-იანი წილით. აღნიშნული წილი მხარეს გამოეყო ნა-ტურით. შპს «გ-ის» ეკისრებოდა მესამე პირის მიმართ წყლის დავალიანება 4914,02 ლარის ოდენობით, რაც მოსარჩელეს არასწორად დაეკისრა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «გ-ის» ჯ. ხ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 4914,02 ლარის გადახდა.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს «გ-ის» საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით შპს «გ-ის» ჯ. ხ-მის სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა 10 დღე. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, გზავნილზე დართული მიმართებით, გაფრთხილებულ იქნა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

შპს «გ-ის» სააპელაციო პასუხის წარმოდგენის 10-დღიანი ვადა ამოეწურა 2010 წლის 27 აგვისტოს და მას სააპელაციო პასუხი სასამართლოში საერთოდ არ წარმოუდგენია.

სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო, პალატამ დადგენილად მიიჩნია აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები, რომ მოსარჩელეს არ უკისრია შპს «ჯ. ფ-ს» მიმართ შპს «გ-ის» დავალიანების ნაწილის გასტუმრება და ამის თაობაზე არც შპს «გ-ის» შეთანხმებია. ჯ. ხ-მემ იმიტომ გადაიხადა შპს «გ-ის» დავალიანების ნაწილი, რომ არ მიეწოდებოდა წყალი გამოყოფილ ფართში, რითაც ეზღუდებოდა საკუთარი საქმიანობა. ჯ. ხ-მემ შპს «ჯ. ფ-ს» მიმართ დაფარა დავალიანება, რომელიც ეკუთვნოდა შპს «გ-ის».

ასეთ პირობებში პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 986-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები ჯ. ხ-მის სააპელაციო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორი თავის მოთხოვნას აფუძნებს იმაზე, რომ მის მარწმუნებელს შპს «გ-ის» დირექტორს სააპელაციო საჩივართან ერთად ჩაბარდა უწყება 2010 წლის 3 ნოემბერს დაწერილ სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შესახებ, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, 2010 წლის 29 ოქტომბერს გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, საჩივრის ავტორმა დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომის თაობაზე უწყების ჩაბარება მხარეს არ ათავისუფლებს იმ საპროცესო მოქმედების (სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენის) შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიც მას სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილით განესაზღვრა და, ამასთან, წინასწარ განემარტა ამ მოქმედების შესრულების შესაძლო უარყოფითი შედეგებიც.

პალატამ მიიჩნია, რომ საჩივართან ერთად საქმის განხილვის დროის შესახებ უწყების ჩაბარება სრულად შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლს.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ შპს «გ-ის» წარმომადგენელმა შ. ი-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მათი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:



კასატორმა სააპელაციო სასამართლოდან ნამდვილად მიიღო სააპელაციო საჩივარი და პალატის მიერ დადგენილ ვადაში მას შესაგებელი არ წარუდგენია, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში შპს «გ-ი» მოხსენიებული არა როგორც მოპასუხე, არამედ როგორც მოწინააღმდეგე მხარე, რაც არღვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის დანაწესს. ამასთან, სააპელაციო საჩივართან ერთად მხარემ მიიღო სასამართლო უწყება საქმის განხილვაზე დაბარების თაობაზე, თუმცა მასში მითითებული არ იყო დათქმულ დროს გაიმართებოდა მოსამზადებელი, თუ მთავარი სხდომა.

შპს «გ-ის» დირექტორმა ა. ჩ-მა ვერ შესძლო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის შეტანა, რადგან დაავადებულია გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით, ჰიპერტენზიით, მწვავე ბრონქოპნევმონიით და ხშირად ემატება არტერიული წნევა. სადავო პერიოდში იყო ზაფხული და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ა. ჩ-ი იყო ცუდად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი მხოლოდ იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებელი არ წარუდგენია, რაც კანონის დარღვევაა. რეალურად სასამართლოსათვის ცნობილი იყო შპს «გ-ის» პოზიცია საქმის მასალებიდან.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ჯ. ხ-მემ სადავო წყლის დავალიანება დაფარა იმის გამო, რომ მის ობიექტს არ მიეწოდებოდა წყალი და ხელი ეშლებოდა საქმიანობაში. რეალურად მხარეთა შორის დაიდო ხელწერილი, რომლითაც ჯ. ხ-მემ ვალდებულება იკისრა, დაეფარა შპს «გ-ის» სახელზე რიცხული დავალიანების ნაწილი, რაც პროპორციულად შეესაბამებოდა მისთვის გამოყოფილი ქონების წილს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «გ-ის» წარმომადგენელ შ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ აღნიშნული ნორმით მოწესრიგებულია სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, კერძოდ, 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი, სასამართლო განჩინებით მიეცა ვადა შესაგებლის წარმოსადგენად, მაგრამ ხსენებულ ვადაში მას შესაგებელი არასაპატიო მიზეზით არ შეუტანია. ასეთ დროს სასამართლო გამოიკვლევს, აღნიშნული გარემოებანი იურიდიულად ამართლებს თუ არა აპელანტის მოთხოვნას და დადებით შემთხვევაში დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და კასატორიც ადასტურებს, რომ შპს «გ-ის» ჯ. ხ-მის სააპელაციო საჩივარზე სასამართლო განჩინებით დადგენილ ვადაში შესაგებელი არ შეუტანია, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერია.

ამდენად, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ ჯ. ხ-მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი სასამართლომ შპს «გ-ის» მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დადგენილად არასწორად ჩათვალა, ვინაიდან აღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება კანონის ზემოხსენებულ დანაწესს. მხარის საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის – სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობისათვის გარკვეულ სანქციას წარმოადგენს სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების გამოუკვლევლად გაზიარება. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო პალატა მხოლოდ სამართლებრივად აფასებს აღნიშნულ ფაქტებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს «გ-ის» წარმომადგენლის არგუმენტს, რომ ჯ. ხ-მის სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, კერძოდ:

სასამართლომ ჯ. ხ-მის სააპელაციო საჩივრის შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს შპს «ჯ. ფ-ს» მიმართ შპს «გ-ის» დავალიანების ნაწილის გასტუმრება არ უკისრია და აღნიშნულის თაობაზე არც შპს «გ-ის» არ შეთანხმებია. ჯ. ხ-მემ შპს «გ-ის» დავალიანების ნაწილი იმიტომ გადაიხადა, რომ გამოყოფილ ფართში წყალი არ მიეწოდებოდა, რითაც ხელი ეშლებოდა საქმიანობაში. შესაბამისად, ჯ. ხ-მემ შპს «ჯ. ფ-ს» მიმართ დაფარა შპს «გ-ის» დავალიანება.

ამდენად, სავსებით საფუძვლიანია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ჯ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისათვის სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 986-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ შპს «გ-ის» დირექტორმა ა. ჩ-მა სადავო შესაგებელი ვერ წარადგინა ავადმყოფობის გამო, ვინაიდან მხარეს მოცემულ დავაში წარმოდგენს არა ფიზიკური პირი ა. ჩ-ი, არამედ იურიდიული პირი შპს «გ-ი». ამდენად, საზოგადოება ვალდებული იყო, უზრუნველყო სასამართლო განჩინებით დაკისრებული საპროცესო მოვალეობების შესრულება სხვა წარმომადგენლის მეშვეობით, როგორც აღნიშნული განახორციელა განსახილველი საკასაციო საჩივრის შ. ი-შვილის მეშვეობით შეტანის გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შპს «გ-ის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «გ-ის» წარმომადგენელ შ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

#### **განჩინება**

№ას-62-53-2011

28 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 1 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ე. ა-ძემ მოპასუხეების: დ., ლ., ი., პ-ვია და დ. ბ-შების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სასაზღვრო ზოლის (მთელ სიგრძეზე და 50-60 სმ-ის სიგანეზე) გათავისუფლება არსებული ნაგვისა და მიწაყრილისაგან.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ცხოვრობდა თბილისში, ... ქ.№16-ში მდებარე სახლში, რომელიც წარმოდგენდა მის საკუთრებას. მეზობლად, ... ქ.№33-ში, ცხოვრობდა ბ-შების ოჯახი. მათ შორის გამყოფი მიჯნის სიმაღლე დაახლოებით 10 მეტრს შეადგენდა, რის ზემოთაც გაბმული იყო რკინის მავთულბადე. წლების განმავლობაში ბ-შების ოჯახი გამყოფ მიჯნას აყრიდა ნაგავს და მიწის სხვადასხვა ნარჩენებს, რომლებიც მაღლიდან ვარდებოდა ბელტების სახით. ამით საშიშროება ექმნებოდა ე. ა-ძეს და მისი ოჯახის წევრებს თავიანთ ეზოში მოძრაობისას. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეები ზემოაღნიშნულ ფართს არ ათავისუფლებდნენ და არ ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ მოსალოდნელი საფრთხე. ამდენად, მოსარჩელე ვერ იყენებდა საკუთარი შეხედულებისამებრ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ფართს ეზოს სახით.

სარჩელში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, 174-ე, 177-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენელ დ. კ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემული საქმის წარმოება შეწყდა ე. ა-ძის სარჩელზე ლ. ბ-შის, ი. ბ-შის, დ. ბ-შის და პ-ვია ბ-შის მიმართ მოთხოვნის ნაწილში. სასამართლოს ამავე სხდომაზე დაზუსტდა სარჩელის მოთხოვნა, მოსარჩელემ მოითხოვა: უკანონო ხელშეშლის აღკვეთის უზრუნველსაყოფად მოპასუხე დ. ბ-შს დავალებოდა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე თბილისში, ... ქუჩა №31-33) მოსარჩელის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (მდებარე თბილისში, ... ქუჩა №16) გასწვრივ არსებული

გამყოფი კედლის მთელ სიგრძეზე 60სმ სიგანით, აგრეთვე, ამ კედლის ზედაპირიდან 10სმ-ის სიღრმეზე მიწის ამოღება (მოჭრა, დადაბლება).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ენგული ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: დ. ბ-შს დაევალა ე. ა-ძისათვის მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაში უკანონო ხელშეშლის აღკვეთა; აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დ. ბ-შს დაევალა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე თბილისში, ... ქუჩა №31-33) მოსარჩელის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (მდებარე თბილისში, ... ქუჩა №16) გაწვივ არსებული გამყოფი კედლის მთელ სიგრძეზე 60სმ-ის სიგანით და აღნიშნული კედლის ზედაპირიდან 10სმ-ის სიღრმეზე მიწის ამოღება (მოჭრა, დადაბლება); მოპასუხეს განემარტა, რომ გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში ე. ა-ძე უფლებამოსილი იყო ეს მოქმედება განეხორციელებინა მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ე. ა-ძე წარმოადგენს თბილისში, ... ქ.№16-ში მდებარე 356კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) მესაკუთრეს, ხოლო მოპასუხე დ. ბ-შის საკუთრებაშია თბილისში, ... ქ.№31-33-ში მდებარე უძრავი ნივთის ... «ბ»-დან 2/8 ნაწილი;

მხარეთა შორის დავას არ იწვევდა და საქმეზე წარდგენილი ფოტოებიდან დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ე. ა-ძისა და დ. ბ-შის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები განლაგებულია ერთმანეთის მომიჯნავედ, ე. ა-ძის მიწის ნაკვეთი დ. ბ-შის მალლობზე მდებარე მიწის ნაკვეთისაგან გამიჯნულია 10 მეტრის სიმაღლის მქონე ბეტონის კედლით;

წვიმის დროს დ. ბ-შის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ე. ა-ძის მიწის ნაკვეთში (ეზოში) ცვივა ქვიშა და მიწა.

საქალაქო სასამართლომ, რამდენადაც საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსარჩელისათვის მისი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში უკანონო ხელშეშლას, სარჩელი დააკმაყოფილა.

სასამართლოს განმარტებით, როგორც მოსარჩელის უფლება – თავისუფლად სარგებლობდეს საკუთარი ნივთით, ასევე მოპასუხის ვალდებულება – ისე ისარგებლოს ნივთით, რომ სხვას არ მიადგეს ზიანი, გამომდინარეობენ სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის დანაწესიდან. ამასთან, მესაკუთრის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ხელმყოფელი მხარის იძულების მექანიზმს თავისი ქმედებები მოაქციოს კანონის ფარგლებში.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დ. ბ-შის მიწის ნაკვეთიდან ქვიშისა და მიწის ცვენა განხილული უნდა ყოფილიყო მოსარჩელისადმი განხორციელებულ უკანონო ხელშეშლად, დ. ბ-შს გააჩნდა ვალდებულება უზრუნველყოფა მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ხელშეშლელი გარემოებების აღმოფხვრა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძვლები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-შმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მისი მიწის ნაკვეთიდან ე. ა-ძის მიწის ნაკვეთში იყრება ქვიშა და მიწა. აპელანტის განმარტებით, ასეთ ფაქტს ადგილი არა აქვს, მის მიწის ნაკვეთში საერთოდ არ ყრია ქვიშა და, ბუნებრივია, ვერც მოსარჩელის ნაკვეთში ჩაცვივდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ბ-შის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საქმეთა განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო ინსტანციით წარმოებისათვის დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ წესს, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესაგებლის წარდგენის ვალდებულების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე კანონმდებელი აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავისი პოზიციის გამოხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შესრულებისათვის) აწესებს მის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ,

ზეპირი მოწმენის გარეშე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამავე მუხლის შესაბამისად, ასეთ დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავში მოცემული წესებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსიდან გამომდინარე, სააპელაციო პასუხის შეუტანლობა გათანაბრებულ უნდა იქნეს პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობასთან.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201.7 და 232<sup>1</sup> მუხლებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი საფუძვლები: ა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი, იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულების ვადასა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით; ბ. აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ე. ა-ძე გზავნილზე თანდართული მიმართებით გაფრთხილებულ იქნა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ე. ა-ძეს დ. ბ-შის სააპელაციო საჩივარი ჩაჰბარდა 2010 წლის 10 აგვისტოს, გზავნილის ჩაბარება დასტურდებოდა მისი მეუღლის ი. ა-ძის ხელმოწერით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ე. ა-ძეს სააპელაციო პასუხის წარდგენის 10-დღიანი ვადა ამოწურა 2010 წლის 20 აგვისტოს. მას სააპელაციო პასუხი სასამართლოში საერთოდ არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არც მოწინააღმდეგე მხარეს და არც მის წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ მიუმართავთ სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის გაგრძელების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პასუხის წარდგენის ვადის ამოწურვით დგება ამ ვადაში შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე მსჯელობის წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო დადგენილად უნდა მიჩნეულიყო აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთში მისი ნაკვეთიდან არ იყრებოდა ქვიშა და მიწა, ანუ ადგილი არ ჰქონდა უკანონო ხელშეშლას. ასეთ პირობებში, არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 170-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობები დ. ბ-შის სააპელაციო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ზემოთ დასახელებული ნორმები და მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტ დ. ბ-შის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 232<sup>1</sup> მუხლებიდან გამომდინარე, უნდა გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სააპელაციო საჩივარი სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო, გაუქმებულიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილებულიყო.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა ე. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა და აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით ე. ა-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2010 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორი თავის მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ მის მარწმუნებელს სასამართლო გზავნილი არ ჩაჰბარებია. სასამართლომ დასახელებული არგუმენტი არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ე. ა-ძეს ჩაჰბარდა დ. ბ-შის სააპელაციო საჩივარი 2010 წლის 10 აგვისტოს, გზავნილის ჩაბარება დასტურდებოდა მისი მეუღლის ი. ა-ძის ხელმოწერით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, გზავნილი ე. ა-ძის მიერ ჩაბარებულად ჩათვალა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელს მეუღლემ არ გადასცა გზავნილი, რადგან მასზე განაწყენებული იყო, ვერ ჩაითვლებოდა კანონით განსაზღვრულ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ ვერ დაამტკიცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული იმ გარემოებების არსებობა, რაც შეიძლოდა საფუძველად დაედებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განხილვის განახლებას. ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ეკისრებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საჩივარი უსაფუძველობის გამო არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. ა-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორი მოითხოვს 2010 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინების გაუქმებას.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ე. ა-მეს არ ჩაჰბარებია, იგი ჩაჰბარდა მის მეუღლეს. ამ უკანასკნელმა სასამართლოს გზავნილი აპელანტს არ გადასცა, რადგან მასზე განაწყენებული იყო. აქედან გამომდინარე, ე. ა-მის მიერ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით და იგი სასამართლოს უნდა ჩათვალოს საპატიოდ.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას არ შეამოწმა, იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები აპელანტის მოთხოვნას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ა-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადავოა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების მართლზომიერება. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ ადგენს საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების წესებში არ არსებობს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დამდგარ სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით კანონმდებელი ადგენს დანაწესს, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა ეს სხვა ურთიერთობაა და ამ ნორმას ვერ გავავრცელებთ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობისას ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულობას ადგენს და მისი შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი. ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული უნდა ჰქონდეს სააპელაციო საჩივრის ასლი; ბ. იგი გაფრთხილებული უნდა იყოს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით; გ. სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას; დ. არ უნდა არსებობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას სააპელაციო საჩივარი არ ჩაბარებია, იგი ჩაბარდა მის მეუღლეს, რომელმაც გზავნილი მას არ გადასცა, ვინაიდან მასზე განაწყენებული იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ მას სააპელაციო საჩივარი არ ჩაბარებია, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დადგენილია და სადავო არაა, რომ სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის – ე. ა-მის მეუღლეს ი. ა-მეს, რაც თავად ადრესატისათვის (ე. ა-მისათვის) ჩაბარებად ითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად. აღნიშნული ნორმა ადგენს, რომ, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათვის უწყების ჩაბარება ითვლება ადრესატისათვის უწყების ჩაბარებად, მიუხედავად იმისა, უწყების მიმღები გადასცემს თუ არა მას ადრესატს. შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრის ასლი არ ჩაბარებია, დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, არ გამოუკვლევია სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სააპელაციო მოთხოვნას, მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე თავის შესაგებელში აღიარებდა სარჩელში მითითებულ ფაქტებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის ზემოთ მითითებული მოსაზრება არ გამომდინარეობს კანონის განმარტებიდან. კერძოდ, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, ისევე როგორც სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 230-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმფციასაც ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გაამართლებენ მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და თუ ისინი ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო.

განსახილველ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, დ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა ე. ა-მის სარჩელში მითითებული და საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ აპელანტის მიწის ნაკვეთიდან მოსარჩელის მიწის ნაკვეთში ცვივა ქვიშა და მიწა, აპელანტმა აღნიშნული გარემოება უარყო. სააპელაციო საჩივარში მითითებული ამ გარემოების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხე ე. ა-მეს, მაგრამ, ვინაიდან მან სა-

სამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო შესაგებელი არ წარადგინა, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმფცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთში მოპასუხის ნაკვეთიდან არ იყრება ქვიშა და მიწა. დასახელებული გარემოების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში მოსარჩელის (ე. ა-ძის) მოთხოვნის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი აღარ არსებობს, ვინაიდან ხელშემშლის აღკვეთის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა სწორედ იმ გარემოებას, რომ მის ნაკვეთში მოპასუხის ნაკვეთიდან ცვიოდა ქვიშა და მიწა, რითაც მას ხელი ეშლებოდა კუთვნილი ნაკვეთით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ყველა წინაპირობა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო. შესაბამისად, ე. ა-ძის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

### **განჩინება**

№ას-1128-1155-2011

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეძე,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. ი-ის სარჩელი ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ი. ი-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის არა საპატიო მიზეზით წარმოდგენლობის გამო ი. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სს «დ-ისათვის» 50000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მირებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ი. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და სს «დ-ს» ი. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 50000 ლარის გადახდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა სს «დ-ის» წარმომადგენელმა ზ. ვ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინებით სს «დ-ის» წარმომადგენელ ზ. ვ-ის საჩივარი ამავე სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მტკიცება, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი მხარეს 2011 წლის 21 თებერვალს ჩაბარდა, შესაბამისად, შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი ვადა 4 მარტს ამოიწურა. სს «დ-ს» კი, შესაგებელი ამ ვადაში არ შეუტანია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს «დ-ის» წარმომადგენელმა ზ. ვ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მტკიცებით, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლომ კი, არ დაასაბუთა რატომ არ იზიარებდა აღნიშნულ პოზიციას. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ ი. ი-მა იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა ან 500 ტონა პომიდორი რეალურად მოიყვანა, სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნული არ გაუთვალისწინებია, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს გზავნილი ან უწყება არ გაუგზავნია თავად სს «დ-ის» მისამართზე. საქმეში წარმოდგენილია სს «დ-ის» შესაგებელი, რომელიც სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, გარდა ამისა, გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორადაა მითითებული სასამართლოსათვის მისი ჩაბარების თარიღი, კერძოდ კი, 2011 წლის 14 მარტის ნაცვლად მითითებულია 15 მარტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «დ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის მიხედვით მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ სააპელაციო ინსტანციაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი. მითითებული მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აღნიშნული ნორმით დადგენილი «ყველა სხვა შემთხვევა» კი გულისხმობს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასაც.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით ი. ი-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა განჩინება, სააპელაციო საჩივრის ასლი და მიეცა ჩაბარებიდან 10 დღის ვადა შესაგებლის წარმოსადგენად. განჩინებაში განმარტებულია დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლო შედეგები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება, სააპელაციო საჩივარი და უწყება გაეგზავნა სს «დ-ის» დირექტორს ა. პ-ეს. უწყება ასევე გაეგზავნა თავად სს «დ-ს» მხარის მიერ მითითებულ მისამართზე – მცხეთის რაიონი, სოფ. ნ-ი. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, აღნიშნული უწყება მხარეს ვერ ჩაბარდა, რადგანაც მითითებულ მისამართზე მხოლოდ მიტოვებული შენობა მდებარეობს. რაც შეეხება ა. პ-ის გზავნილს, საქმის მასალებით ირკვევა, რომ იგი 2011 წლის 21 თებერვალს ა. პ-ის დედამ, ყ. პ-ემ ჩაიბარა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განჩინება და სააპელაციო საჩივარი მხოლოდ სს «დ-ის» დირექტორისათვის გაეგზავნა.

იმავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო უწყების ჩაბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.



აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განჩინება და სააპელაციო საჩივარი მხარეს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩაბარდა, რაც სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საქმეში არსებობს სს «დ-ის» შესაგებელი, რომელიც წარდგენილ იქნა 2011 წლის 14 და არა 15 მარტს, სასამართლომ კი აღნიშნული არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი სს «დ-ისათვის» ჩაბარებულად 2011 21 თებერვლიდან ითვლება, შესაბამისად სასამართლოს მიერ დადგენილი 10-დღიანი ვადა 2011 წლის 4 მარტს ამოიწურა, ამდენად, სს «დ-ის» შესაგებელი ფოსტისათვის თუნდაც 14 მარტს ყოფილიყო ჩაბარებული, ვადაში შეტანილად მაინც ვერ ჩაითვლებოდა, თუმცა საქმეში არსებული კონკრეტული ნათლად ადასტურებს, რომ აღნიშნული შესაგებელი ფოსტას 15 და არა 14 მარტს ჩაბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას ვადის დარღვევით შეტანილ შესაგებელს ვერ გაითვალისწინებდა.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, შესაგებლის შესატანად დანიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. იმავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად კი, შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ ხდება, თუ აღნიშნული საპატიო მიზეზითაა გამოწვეული. განსახილველ შემთხვევაში სს «დ-ს» ამგვარი მიზეზები არც შესაგებელში და არც შემდგომში აღძრულ საჩივარში არ მიუთითებია.

რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს რადგანაც საქმეში არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებები გამოკვლევა-შეფასება არ ხორციელდება, არამედ სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები უპირობოდ ითვლება დამტკიცებულად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დასაბუთებული, კანონიერია, შესაბამისად, მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს «დ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინება და 2011 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები**

#### **განჩინება**

№ას-1289-1309-2011

14 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თავდაპირველ სარჩელში – მსხვილფეხა პირუტყვის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა ან მისი ღირებულების ანაზღაურება, შეგებულ სარჩელში – გარიგების გაუქმება, ნივთის ღირებულების ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის მიმართ 11 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბრუნების ან მისი საბაზრო ღირებულების – 8 000 ლარის გადახდის მოთხოვნით.

შპს «ი. ჭ-მა» და გ. თ-ემ სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მოითხოვეს თ. ს-სა და ვ. დ-ს შორის 9 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თაობაზე გარიგების გაუქმება, პირუტყვის მესაკუთრისთვის დაბრუნება ან მისი ღირებულების – 5400 ლარის გ. თ-ისათვის გადახდა.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ვ. დ-სა და თ. ს-ს შორის 9 სული მსხვილფეხა პირუტყვის თაობაზე დადებული ნასყიდობის გარიგება და მესაკუთრეს დაუბრუნდა 5400 ლარის ღირებულების 9 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 21 თებერვალს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების: შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა 8 000 ლარის ღირებულების თ. ს-ის კუთვნილი 11 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შპს «ი. ჭ-ის» და გ. თ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს გაეგზავნათ სააპელაციო საჩივრის ასლი და წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღით. შპს «ი. ჭ-ი» და გ. თ-ე გაფრთხილებული იყვნენ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. შპს «ი. ჭ-ს» სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა 2011 წლის 2 თებერვალს, ხოლო გ. თ-ეს – 2011 წლის 3 თებერვალს, შესაბამისად, შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს შესაგებელი უნდა წარმოედგინათ 2011 წლის 14 თებერვლის ჩათვლით, რაც მათ არ განუხორციელებიათ.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 373-ე მუხლებით, 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-7 ნაწილით, 232<sup>1</sup> მუხლით და, მოწინააღმდეგე მხარეების მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნია, ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე, რაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა იყო.

სააპელაციო პალატის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს გ. თ-ემ და შპს «ი. ჭ-მა», მოითხოვეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

გ. თ-ის განმარტებით, მისთვის უცნობი იყო საგარეჯოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ, მას არ ჩაბარებია სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მისთვის უცნობი იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მოკლებული იყო შესაძლებლობას, წარედგინა შესაგებელი. 2011 წლის 31 იანვრის გზავნილის მიღებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ს. ი-ი, თარიღი – 2011 წლის 3 თებერვალი, ხოლო სტატუსად – მეუღლე. საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილსა და 74-ე მუხლზე და განმარტა, რომ ქ.თბილისში, მ-ის ქ№43-ში ცხოვრობს მეუღლე მ. ბ-თან ერთად, ხოლო უწყების ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი ს. ი-ი გ. თ-ის მეუღლე არაა და არც მისი ოჯახის წევრი. გარდა ამისა, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

შპს «ი. ჭ-მა» საჩივარში ასევე აღნიშნა, რომ მას სააპელაციო საჩივარი 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაბარებია, კერძოდ, 2011 წლის 31 იანვრის გზავნილის მიღებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ვ. ა-ი, თარიღად – 2011 წლის 2 თებერვალი, ხოლო თანამდებობად – მენეჯერი. საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილსა და 74-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვ. ა-მ ვილი არც შპს «ი. ჭ-ის» კანცელარიის თანამშრომელია და არც შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ის საწარმოში მუშაობდა «ეგერის» ანუ საქონლის ყარაულის თანამდებობაზე. გარდა ამისა, გზავნილზე ვ. ა-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ვ. ა-ს. ამასთანავე, საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

თ. ს-მა არ ცნო საჩივარი და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე გ. თ-ეს 2011 წლის 31 იანვრის გზავნილი 2011 წლის 3 თებერვალს ჩაბარდა, კერძოდ, ქ.თბილისში, მ-ის ქ№43-ში სასამართლო შეტყობინების ჩაბარებას ხელი მოაწერა ს. ი-მა, ადრესატის მეუღლემ. შპს «ი. ჭ-ს» თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გზავნილი 2011 წლის 2 თებერვალს ჩაბარდა მისამართზე: საგარეჯოს რაიონი, ყორულის ალკვეთილ ტერიტორიაზე და გზავნილის ჩაბარებაზე ხელისმომწერ პირად მითითებულია ვ. ა-ი – მენეჯერი. მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ შესაგებლის წარმოდგენის 10-დღიანი ვადა და განემარტათ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის სამართლებრივი შედეგები. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოწინააღმდეგე მხარეებს შესაგებელი არ წარუდგენიათ.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 74-ე მუხლით და მიუთითა საჩივრის ავტორ გ. თ-ის მიერ საჩივარზე დართული მტკიცებულებებზე, რომლითაც დასტურდება, რომ მისი მეუღლე მ. ბ-ია. ამასთან, არ იქნა გაზიარებული ის გარემოება, რომ გ. თ-ე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს მხოლოდ მეუღლესთან ერთად და გზავნილის ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი ს. ი-ი მისი ოჯახის წევრი არაა. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: გ. თ-ისათვის განკუთვნილი 2011 წლის 6 აპრილის სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება ჩაბარდა ასევე ს. ი-ს 2011 წლის 18 მარტს და აღნიშნული გადაეცა ადრესატს, ამასთან, საჩივრის მოწინააღმდეგე მხარემ (აპელანტმა) მიუთითა, რომ ს. ი-ი გ. თ-ის შვილის – უმცროსი გ. თ-ის მეუღლეა, გ. თ-ის რძალი, რომელიც ასევე ცხოვრობს ქ.თბილისში, მ-ის ქ№43-ში და საჩივრის ავტორის ოჯახის წევრია. აღნიშნული გარემოების საპირისპირო მტკიცებულება საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია, რაც საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. თ-ის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების ჩაბარების თაობაზე პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნებზე და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ვ. ა-თან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინა, რომ ვ. ა-ი დაქირავებულია «ეგერის» თანამდებობაზე და მისი მოვალეობაა «გაუფრთხილდეს «დამსაქმებლის» ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა», რაც არ ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ იმ გარემოებას, რომ ვ. ა-ი წარმოადგენდა შპს «ი. ჭ-ის» (სამონადირეო მეურნეობა) საქონლის ყარაულს და არ იყო უფლებამოსილი, შპს «ი. ჭ-ის» სახელით კორესპონდენციის ჩაბარებაზე». სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზეც, რომ შპს «ი. ჭ-ის» სახელით სასამართლო უწყებებს იბარებდა ვ. ა-ი, რაც დასტურდება საქმის მასალებით. არ იქნა გაზიარებული შპს «ი. ჭ-ის» მტკიცება, გზავნილის ჩაბარებაზე ვ. ა-ის ხელმოწერის არარსებობის შესახებ, რადგანაც ამ გარემოებების დასადასტურებლად მხარეს მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა საჩივრების არგუმენტი, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ამართლებდა საჩივრის მოთხოვნას, ვინაიდან, საჩივრის ავტორების მიერ აღნიშნული მოსაზრება არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. თ-ემ და შპს «ი. ჭ-მა», მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის დაუსაბუთებელი მოსაზრების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გ. თ-ის საჩივართან მიმართებით არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი, რადგანაც ამ ნორმის სწორი განმარტება და საჩივარზე დართული მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა სასამართლოს მოსაზრების საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. დაუსაბუთებელია განჩინებაში მითითებული გარემოება, სადაც სასამართლო, ერთი მხრივ, დადგინდად მიიჩნევს, რომ ს. ი-ი გ. თ-ის მეუღლეა, ამასთანავე ადასტურებს იმისაც, რომ გ. თ-ის მეუღლე მ. ბ-ია. სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის ზეპირი განმარტება, რომ ს. ი-ი გ. თ-ის უმცროსი შვილის მეუღლეა და კასატორის ოჯახის წევრს წარმოადგენს, რისი საპირისპირო მტკიცებულებაც საჩივრის ავტორს არ წარუდგენია, რადგანაც ზემოაღნიშნული განცხადება მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გააკეთა, რის გამოც შეუძლებელი იყო ამ მოსაზრების საპირისპირო მტკიცებულების წარდგენა, ამასთან, გ. თ-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომელმაც სასამართლოს განუმარტა, რომ მისთვის საჩივრის ავტორის შვილის ოჯახური მდგომარეობა იყო უცნობი. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა თ. ს-ს, ამასთანავე საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ შეტყობინების მიმღები პირი ადრესატის ოჯახის წევრია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ ს. ი-ი გ. თ-ის რძალია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო შეტყობინებაზე ხელის მოწერა შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, სასამართლო შეტყობინების ს. ი-ისათვის ჩაბარება არ გამომდინარეობს კანონის შესაბამისად მხარისათვის ჩაბარებიდან, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

შპს «ი. ჭ-თან» მიმართებით სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა კანონის მოთხოვნები და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რადგანაც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ შეტყობინების მიმღები ვ. ა-ი დაქირავებული იყო «ეგერის» თანამდებობაზე, რაც ნიშნავს სწორედ საქონლის ყარაულს, შესაბამისად, ვ. ა-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სუბიექტს არ წარმოადგენს და სასამართლოს მითითება შრომითი ხელშეკრულების ნორმაზე, რომლის თანახმადაც ვ. ა-ი ვალდებულია, ჯეროვნად დაიცვას დოკუმენტაცია, ნიშნავს ადმინისტრაციის მიერ მისთვის გადაცემული დოკუმენტების დაცვას და არა მესამე პირების, მათ შორის, სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპოდენციის მიღების შესაძლებლობას. არასწორია სასამართლოს მითითება გზავნილზე არსებული ხელმოწერის სისწორესთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ამ ხელმოწერის ვ. ა-ისათვის კუთვნილება, რადგანაც სასამართლოს წარდგინა ვ. ა-ის სანოტარო წესით დადასტურებული ხელმოწერის ნიმუში, რომელიც განსხვავდება საქმეში არსებულისაგან, ამასთანავე, ხელმოწერილი მტკიცებულება სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეს ერთვოდა, რის გამოც მხარე ექსპერტიზის ჩატარებას ვერ უზრუნველყოფდა, ხოლო ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლოს საკუთარი ინიციატივით უნდა დაენიშნა ექსპერტიზა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა საჩივრის მოწინააღმდეგე მხარის განმარტებაზე, რომელმაც დაადასტურა, რომ სადავო ხელმოწერა ვ. ა-ს არ ეკუთვნოდა, არამედ ვ. ა-ის თანხმობით, მას ხელი მოაწერა სხვა პირმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქონლის ყარაულის თანხმობის არსებობის ფაქტიც კი არ ნიშნავს შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებას, ამასთან, სასამართლოს მსჯელობა, რომ სასამართლო შეტყობინებები ბარდებოდა ვ. ა-ს, არ ადატურებს კორესპოდენციის მიღებაზე მის უფლებამოსილებას, რადგანაც შპს «ი. ჭ-ი» ამ საპროცესო დარღვევებზე არ მიუთითებდა იმ საფუძვლით, რომ საქმის წარმოება არ გაჭიანურებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა 10 დღით სააპელაციო პასუხზე წერილობითი შესაგებლის წარმოდგენისათვის და განემარტათ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგის თაობაზე.

საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარეებს: შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს, საქმეში მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი, განჩინება, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ, ასევე სასამართლო უწყება.

სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის ჩაბარების შეტყობინების ბარათებით დადასტურებულია, რომ სასამართლოს კორესპოდენცია საგარეჯოს რაიონში, «ყურულის» ალკვეთის ტერიტორიაზე შპს «ი. ჭ-ს» ჩაბარდა 2011 წლის 2 თებერვალს და სასამართლო შეტყობინების ჩაბარებაზე ხელმოწერა პირად მითითებულია ვ. ა-ი, მენეჯერი, ხოლო ქ.თბილისში, მ-ის ქ№43-ში სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა გ. თ-ეს, შეტყობინების მიღებაზე ხელმოწერა პირად მითითებულია ს. ი-ი, მეუღლე.

საკასაციო სასამართლო მითითებული გარემოებების გათვალისწინებით იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარეებს 2011 წლის 14 თებერვლამდე სააპელაციო პასუხი არ წარუდგენიათ სასამართლოში.

საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. დასახელებული ნორმის 1-ელი ნაწილით განისაზღვრა აპელანტის გამოუცხადებლობის, ხოლო მე-2 ნაწილით – აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შედეგი, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესები სპეციალური ნორმებია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარის გამოუცხადებ-

ლობასთან მიმართებით, ამასთან, კანონმდებელმა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, მათ შორისაა დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლით დადგენილია საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და კანონმდებელმა შეჯიბრებითი სამოქალაქო პროცესის ფარგლებში სავალდებულოდ დააწესა, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მოცემული საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე სადავოდ ხდის მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლები, ისე, რომ მას დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისა და დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების მხარის მოთხოვნასთან მიმართების თაობაზე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარუდგენია, რის გამოც, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს ზემოაღნიშნული, რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების საფუძვლებს, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა შესაგებლის შეუტანლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა ამავე კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით, ხოლო ამ საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (სსსკ 233.3).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებებს, რომ გასაჩივრებული განჩინებით გ. თ-ის მიმართ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლზე, რომლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმით პირდაპირაა გათვალისწინებული სასამართლო უწყების (შეტყობინების) უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის წინაპირობა და დადგენილია, რომ უწყების გადაცემის დროს მხარის არყოფნისას, ის უნდა ჩაბარდეს მისთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს უბრუნდება საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაბარებული უწყების (საფოსტო შეტყობინების) მე-2 ეგზემპლარი სხვა პირის ხელმოწერით, საქმის განმხილველი მოსამართლე, გონივრულობის ფარგლებში, ყოველთვის ვარაუდობს, რომ ხელის მომწერი პირი ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია. აღნიშნულ დასკვნას ასევე განამყარებს ზემოაღნიშნული კოდექსის 71-ე მუხლი, რომელიც მიაჩნებს მხარის ვალდებულებას, სასამართლოს აცნობოს სწორი მისამართი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის რისკი მხარეს ეკისრება.

ის ფაქტი, რომ სასამართლოში დაბრუნებული შეტყობინების ბარათით მხარის მიერ მითითებულ მისამართზე სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა პირს, რომელმაც ამ შეტყობინების ჩაბარებაზე უარი არ განაცხადა, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გონივრულად ივარაუდოს, რომ შეტყობინების მიმღები პირი სათანადო პირია, შესაბამისად, მხარის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი ქორწინების მოწმობის თანახმად, გ. თ-ის მეუღლე ს. ი-ი არაა, ასევე ის, რომ სასამართლომ მთავარ სხდომაზე თ. ს-ის ზეპირი განმარ-

ტების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად, რომ შეტყობინების მიმღები პირი გზავნილის ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია, რაც არასწორია, ვერ იქნება გაზიარებული, რადგანაც დაუსაბუთებელია მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ მას საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას არ ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა მტკიცებულება მითითებული გარემოების საპირისპიროდ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით საჩივრის წარდგენისას მხარის (გ. თ-ის) მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა არა მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურება, რომ შეტყობინების მიმღები ს. ი-ი არ არის მისი მეუღლე, არამედ იმისაც, რომ ს. ი-ი გ. თ-ის ოჯახის ქმედუნარიანი წევრი საერთოდ არაა. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი სხვა პირის მიერ შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობისათვის ადგენს, რომ შეტყობინების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს ადრესატის ოჯახის ნებისმიერი ქმედუნარიანი წევრი და არაა დაკონკრეტებული ადრესატთან ნათესაური ხაზით რა ურთიერთობაში იმყოფება შეტყობინების მიმღები.

შესაბამისად, უსაფუძვლოა მითითება, რომ შეტყობინებაზე ს. ი-ის ხელმოწერა ამ შეტყობინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარების ფაქტს არ ადასტურებს. ამასთან, სასამართლოს მიერ თ. ს-ის მოსაზრების გაზიარება წარმოადგენს არა ფაქტის დადგენას, არამედ წარმოადგენს საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებული გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის ერთ-ერთ არგუმენტს სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისას, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა, ვინაიდან, აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია.

რაც შეეხება შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების ჩაბარების საკითხს, საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნებს და განმარტავს, რომ მხარეს ამ მიმართებით დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომლითაც მოწესრიგებულია ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესი და განსაზღვრულია, რომ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

დასახელებული ნორმის ანალიზით დასტურდება, რომ კანონმდებელი ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს, ნორმის ამ ნაწილით კანონმდებელი შეგნებულად არ აზუსტებს კონკრეტული პირის უფლებამოსილებას შეტყობინების ჩაბარებაზე და ალტერნატიულად ჩამოთვლის იმ პირთა ვინაობის ზოგად დასახელებას, რომელთაც უფლება აქვთ, შეტყობინება ჩააბარონ ორგანიზაციის სახელით. ამ პირთა წრეს განეკუთვნებიან: კანცელარია ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ანდა პირი, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. უფლებამოსილ პირად გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფორმით იმყოფება შრომით ურთიერთობაში ორგანიზაციასთან. თავის მხრივ, შრომითი ურთიერთობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის იმგვარი ურთიერთობაა, რაც დასაქმებული პირის ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად, ავალდებულებს მას კეთილსინდისიერად განახორციელოს ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების ჩაბარება. ნორმის ზემოაღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ განმარტება არ გამომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელსა და მე-3 ნაწილებზე, რომლითაც განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეთა შორის განაწილების საკითხი და დადგენილია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი შპს «ი. ჭ-ის» სახელით ვ. ა-ის მიერ შეტყობინების ჩაბარებას სადავოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ სასამართლომ არასწორად გამოარკვია ვ. ა-ის თანამდებობა, არასწორად ჩათვალა, რომ «ეგერის» თანამდებობა არ იყო საქონლის ყარაულის თანამდებობა, რაც გამორიცხავდა მის უფლებას, საზოგადოების სახელით ჩაებარებინა შეტყობინება. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დანიშნა ხელმოწერის ნამდვილობისათვის ექსპერტიზა და შეფასება არ მისცა მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას ვ. ა-ის ნებართვით უწყების ჩაბარებაზე სხვა პირის მიერ ხელის მოწერის შესახებ.

აღნიშნული მოსაზრებების საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მიუხედავად გზავნილის მიმღები პირის თანამდებობისა, ის ფაქტი, რომ მხარე შრომით ურთიერთობაში იმყოფება შპს «ი. ჭ-თან» (რაც მას სადავოდ არ გაუხდია და დადასტურებულია საქმეში არსებული შრომითი ხელშეკრულებითაც), სწორედ რომ ვ. ა-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობაა და სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე ამ პირის მიერ ხელის მოწერა, სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის

საპროცესო მოქმედება. აღნიშნული ფაქტი თავისთავად გამოიწვევს მხარის მტკიცების საფუძვლიანობას, რომ საქმეში არსებული სხვა სასამართლო შეტყობინებების ვ. ა-ის მიერ ჩაბარება ასევე კანონის დარღვევა იყო, თუმცა ამას სადავოდ შპს «ი. ჭ-ი» არ ხდიდა სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით.

რაც შეეხება მოცემული საკითხის გადაწყვეტისას მტკიცების სტანდარტს, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ ექსპერტიზის დანიშვნა მხარეს შეეძლო საკუთარი ინიციატივით, რადგანაც სასამართლოს საქმეში ჰქონდა მტკიცებულება, რომლის გაქარწყლებაც საჩივრის ავტორს ევალეობდა. ის გარემოება, რომ საქმე სასამართლოს წარმოებაში იყო, არ გამოიწვევს მხარის შესაძლებლობას, ჩაატაროს პირველადი თუ განმეორებითი ექსპერტიზა (ექსპერტიზის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე კვლევის მასალების გადაცემის აკრძალვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს). ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოს არანაირი ვალდებულება ექსპერტიზის ჩატარებისა არ გააჩნდა, რის გამოც მტკიცებულებათა სრულყოფილი ანალიზის შედეგად სასამართლომ შეტყობინების ჩაბარება სწორად მიიჩნია კანონის სრულყოფილი დაცვით ადრესატისათვის ჩაბარებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარემ ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების წინაპირობა გახდებოდა, ამასთანავე, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც გამოიწვევს მოცემული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

#### **განჩინება**

№ას-656-617-2012

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასურის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 6 სექტემბერს შპს „ს. რ-ამ“ შპს „მ. ისტ პ. ფ-ეს“ წინააღმდეგ ფოთის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არძრა, მოპასუხისათვის ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასურის დაკისრების მოთხოვნით.

შპს «ს. რ-ა» 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის ბოლომდე აწარმოებდა აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან სადგურ ფოთში ფირმა «მ. ისტის» კუთვნილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვას. მიუხედავად „ს. რ-ის“ მხრიდან საკუთარი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისა, გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილამდე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დროულ მიღება-დაცლას, რის გამოც ვაგონ-ცისტერნები ყოვნდებოდა სადგურ ფოთში. აღნიშნულის გამო, მოპასუხეს 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის ბოლომდე დაეკისრა ვაგონების გამოყენებისა და სადგურის მომსახურების საფასური 112 873,89 ლარი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით „ს. რ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს «ს. რ-ა» 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით ახორციელებდა მოასუხის კუთვნილი ტვირთების რ-ის ვაგონების საშუალებით გადაზიდვას;

2. შპს «ს. რ-ამ» სარჩელი შპს «მ. ისტ პ. ფ-ეს» მიმართ, 112873.89 ლარის დაკისრების მოთხოვნით, 2011 წლის 6 სექტემბერს აღძრა;

3. მოსარჩელეს ვაგონების დაყოვნებისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2004-2005 წლებიდან;

4. შპს «მ. ისტ პ. ფ-ეს» მოსარჩელის კუთვნილი ვაგონები არ დაუყოვნებია.

სასამართლომ „ს. რ-ის“ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია, გარდა ამისა, განმარტა, რომ მოსარჩელემ ვაგონების მოცდენის ფაქტი ვერ დაამტკიცა.

აღნიშნული გადაწყვეტილება „ს. რ-ამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინებით „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება სს „ს. რ-ამ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. კასატორის განმარტებით, შპს «ს. რ-ა» 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის ბოლომდე აწარმოებდა აზერბაიჯანის სახელწმიფო საზღვრიდან სადგურ ფოთში ფირმა «მ. ისტის» კუთვნილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვას. მიუხედავად „ს. რ-ის“ მხრიდან საკუთარი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისა, გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილამდე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დროულ მიღება-დაცლას, რის გამოც ვაგონ-ცისტერნები ყოვნდებოდა სადგურ ფოთში. აღნიშნულის გამო, მოპასუხეს 2004 წლის იანვრიდან 2005 წლის ბოლომდე დაერიცხა ვაგონების გამოყენებისა და სადგურის მომსახურების საფასური 112 873,89 ლარი. სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 667-ე-708-ე მუხლებით და სარ-ო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად მხარეებს შორის ჩამოყალიბდა ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობები. აღნიშნული მუხლები აწესებენ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის, რ-ის, როგორც გადამზიდველის პასუხიმგებლობას, კანონმდებლობა გარდა გადამზიდველისა ასევე ითვალისწინებს ტვირთმფლობელის მოვალეობას და პასუხიმგებლობის სამართლებრივ საფუძვლებს. ტვირთმფლობელი ვალდებულია ხელშეკრულების შესაბამისად, ისარგებლოს მიწოდებული ვაგონით, უზრუნველყოს ტვირთის დროული მიღება და ვაგონის დაცლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაგონების დაყოვნების გამო, მას დაეკისრება ქონებრივი პასუხიმგებლობა. სარ-ო კოდექსის 22-ე, მე-7-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე 36-ე მუხლები იმპერატიულად ადგენენ დანიშნულების სადგურში გადაზიდული ტვირთის დაგვიანებით მიღებისა და ვაგონის დაყოვნების გამო მოპასუხის, როგორც ტვირთმიმღების ქონებრივ პასუხიმგებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით საქმეში შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ სს „ს. რ-ა“ ჩაება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. 390-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.



თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დაკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საქმეებზე „დევიერი ბელგიის წინააღმდეგ“ და „დელკური ბელგიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა“ ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს ტერმინს „დასაბუთებული“ (Bijen-Fონდე), აღნიშნული კი ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, მართალია, აღნიშნულ საქმეებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი ვრცელდება სამოქალაქო დავების მიმართაც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სააპელაციო საჩივარი სარჩელის იდენტიურადაა ჩამოყალიბებული (რაც განსახილველ შემთხვევასაც შეეხება). ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება, მაგრამ გადაწყვეტილებაში უნდა იყოს შესაბამისი მითითება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნათლად უნდა ირკვეოდეს, სააპელაციო საჩივრის დეტალური შეფასების გარეშე რატომ ხდება პირველი ინსტანციის პოზიციის გაზიარება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლი სააპელაციო საჩივარში ასახული პოზიციის საერთოდ შეუფასებლობის შესაძლებლობას არ იძლევა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მეორე ინსტანციას მართლმსაჯულება არ განუხორციელებია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „1“ ქვეპუნქტის მიხედვით, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინებაში ასახული მსჯელობით და დავა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილებით გადაჭრას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

### განჩინება

№ას-1360-1198-2010

25 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** შენობიდან წყალსაქაჩის გატანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «თ-ს» მიმართ შენობიდან წყალსაქაჩის გატანის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო: ქ.თბილისის პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს მიერ ნასყიდობის აქტის საფუძველზე გაცემული №23/1653 საკუთრების მოწმობის საფუძველზე მოსარჩელეს საკუთრებაშია ქ.თბილისში, ... ქ.№19-ში მდებარე უძრავი ქონება, სადაც მოწყობილია წყალსაქაჩი. აღნიშნული მოსარჩელეს ხელს უშლის, შენობაში მოაწყოს საცხოვრებელი პირობები. მოპასუხემ საკუთარი სახსრებით წყალსაქაჩის გატანაზე უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე გ.კ-მის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა შპს «ო-ი», ხოლო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივნისის განჩინებით სათანადო მოპასუხედ მიჩნეულ იქნა შპს «ფ-ი».

მოპასუხემ წარდგენილი სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობამ უკანონოდ მოახდინა ქ.თბილისში, ... ქ.№19-ში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზაცია. სადავო თბოპუნქტში განთავსებულია ძვირადღირებული წყალსაქაჩი სისტემა, რომლის მეშვეობითაც მარაგდება ... ქუჩის მოსახლეობის დიდი ნაწილი და აღნიშნული წყალსაქაჩი სისტემის დემონტაჟი პრაქტიკულად შეუძლებელია. იგი წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტს. ამასთან, თბოპუნქტის პირველ მესაკუთრესა და მოპასუხეს შორის არსებული შეთანხმების თანახმად, მოპასუხე უპრობლემოდ ისარგებლებდა ქონებით, მხარეთა შორის საუბარი იყო ასევე სადავო ქონების მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემაზე. წყალსაქაჩი სისტემის გადატანის შემთხვევაში ბახტრიონის ქუჩის მოსახლეობის დიდი ნაწილი წყალმომარაგების გარეშე დარჩება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს «ო-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს «ფ-ს» აღევკვითა მოსარჩელის მიმართ ხელშეშლის განხორციელება, მასვე დაეკისრა ქ.თბილისში, ... ქ.№19-ში მდებარე უძრავ ნივთში განთავსებული წყალსაქაჩის გატანა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ფ-მა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს «ფ-ის» სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «ფ-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე ინსტანციაში ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: ქ.თბილისში, ... ქ.№19-ში მდებარე თბოპუნქტის შენობა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობის უკანონო გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა საპრივატიზაციო ნუსხაში და გადაეცა გ. კ-მეს მიღება-ჩაბარების აქტით. აღნიშნული თბოპუნქტის შენობაში განთავსებული იყო წყლის გამაძლიერებელი ტუმბო – წყალსაქაჩი, რომლის მეშვეობითაც ... მოსახლეობას მიეწოდებოდა წყალი. ნივთის გასხვისების დროისათვის მოქმედი «სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის «მ» ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული ობიექტი პრივატიზაციას არ ექვემდებარებოდა, თუმცა ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 31 იანვრის №02.08.50 დადგენილებით ქ.თბილისის რაიონული გამგეობის ბალანსზე რიცხული წყალსაქაჩი სადგურები, მათ შორის, სადავო წყალსაქაჩი, გადაეცა შპს «თ-ს», რის შედეგადაც ობიექტის მესაკუთრესა და მოპასუხეს შორის შესდგა მოლაპარაკება წყალსაქაჩის იმავე ობიექტში დატოვების თაობაზე, რითაც მოპასუხე ისარგებლებდა შეუზღუდავად.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 159-ე მუხლებზე და განმარტა, რომ შპს «ფ-ი» არის ნივთის მართლზომიერი მფლობელი, რადგანაც, ობიექტის თავდაპირველ მესაკუთრესთან შეთანხმების გამო, მოპასუხეს შეეძლო, შეუზღუდავად ესარგებლა თბოპუნქტის შენობით.

მფლობელის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შპს «ფ-მა» შენობას ჩაუტარა სარემონტო სამუშაოები და მასში განთავსდა ძვირადღირებული აპარატურა. იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ფლობის მართლზომიერება სადავო იქნებოდა, მოპასუხე არ გაიღებდა ნივთისა და მასში განთავსებული წყალსაქაჩი სისტემის გაუმჯობესების ხარჯებს.

სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ ნივთის გასხვისებამდე სადავო წყალსაქაჩი უკვე განთავსებული იყო თბოპუნქტის შენობაში, ფუნქციონირებდა და აღნიშნული შენობის პრივატიზაცია, მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, არ დაიშვებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს «ფ-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ზემოხსენებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმდგვარად, რომ სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით არ შეუფასებია. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ფ-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

#### **განჩინება**

№ას-335-319-2011

6 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალაგვიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. კვანტალიანი,**

**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდევინება, ზედმეტად გადახდილი ელექტროენერჯის საფასურის დაბრუნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «ლ-დმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «...» მიმართ და მოითხოვა 2007 წლის ივნისიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით მოსარჩელის კუთვნილი მაღალი ძაბვის 6 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზით, 1 კვტ ელექტროენერჯიაზე 0.0058 ლარიანი ტარიფით, საერთო ჯამში 1 000 000 კვტ ელექტროენერჯის გატარებისათვის დღგ-ს (18%) ჩათვლით 6844 ლარის, 2007 წლის ივნისიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით 220/380 კვ. ხაზებითა და ტრანსფორმატორით 1 კვტ ელექტროენერჯიაზე 0.0132 ლარიანი ტარიფით, საერთო ჯამში 150 596 კვტ ელექტროენერჯის გატარებისათვის დღგ-ს (18%) ჩათვლით 2346 ლარის ანაზღაურება, ასევე 2007 წლის ივნისის თვიდან 2008 წლის აპრილის თვის ჩათვლით მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიწოდებულ ელექტროენერჯიაზე ზედმეტად გადახდევინებული 1 988 ლარის უკან დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის მითითებით, მას, როგორც პირდაპირ მომხმარებელს, ყოველ მიწოდებულ 1 კვტ ელექტროენერჯიაზე უნდა გადაეხადა 9.565 (დღგ-ს ჩათვლით) თეთრი, ნაცვლად ამისა, მოპასუხე მოსარჩელეს ახდევინებდა მიწოდებულ 1 კვტ ელექტროენერჯიაზე 13.804 თეთრს (დღგ-ს ჩათვლით).

მოსარჩელეს «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიასთან» 2003 წლიდან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელის აქტივებით კომპანია აწვდიდა ელექტროენერჯიას მომხმარებელს. 2007 წლის ივნისიდან შპს «ლ-ის» აქტივებს ექსპლოატაციას უწევდა სს «...», რომელიც, მხარის მოთხოვნის მიუხედავად, არაა თანახმა, გააფორმოს შპს «ლ-დთან ხელშეკრულება მოსარჩელის კუთვნილი აქტივებით სარგებლობის თაობაზე, იგი ასევე წინააღმდეგია საბაზრო ფასზე დაბალი ღირებულებით შეიძინოს მოსარჩელის კუთვნილი აქტივები.

სს «...» და «ს-ის» პასუხები შპს «ლ-ის» მიმართვაზე ბუნდოვანია და არ ირკვევა მოპასუხის დავალიანების რაოდენობა, რის გამოც მოსარჩელე იძულებულია, გატარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს ნაწილობრივ დოკუმენტებისა და ნაწილობრივ სარჩელში წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე საშუალო სავარაუდო სიდიდით.

2007 წლის ივნისიდან 2008 წლის აპრილის ჩათვლით სს «...» შპს «ლ-ის» მიწოდებულ ერთ კილოვატ ენერჯიაზე, როგორც პირდაპირ მომხმარებელს, 9.565 თეთრის ნაცვლად ახდევინებდა 13.804 თეთრს. სადავო პერიოდის განმავლობაში მიწოდებულმა ელექტროენერჯიამ შეადგინა 46920 კილოვატი, რისთვისაც მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 4488 ლარი, ხოლო მას გადახდილი აქვს 6476 ლარი, ამდენად, მოსარჩელის განმარტებით, მან ზედმეტად გადაიხადა 1988 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

შპს «ლ-ის» სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი მოსარჩელის მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაუსაბუთებელია 11514 ლარის ანაზღაურების მოთხოვნა, ვინაიდან არ ირკვევა, რის საფუძველზე გამოიანგარიშა მოსარჩელემ აღნიშნული თანხა, მოსარჩელის არგუმენტი, რომ მას 2003 წლის იანვრიდან «საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიასთან» გაფორმებული ჰქონდა №... ხელშეკრულება, რაც წარმოადგენს სს «...» თანხის გადახდის დაკისრების საფუძველს, რადგანაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებამონაცვლეს. სსიპ «ს-ოს» 2007 წლის 10 ოქტომბრის №... ბრძანებით მოხდა საწარმოების: სს «რ-სის», სს «გ-ის», სს «ლ-ის», სს «შ-ის», შპს «ა-ის», სს «ს-ისა» და შპს «ა-ის» შერწყმა და ჩამოყალიბდა სს «... XXI», ამდენად, სს «...» შპს «ლ-ის» მოთხოვნაზე წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხემ მოითხოვა არასათანადო მხარის სათანადო შეცვლა.

სარჩელზე დართული სს «...» და «ს-ის» წერილობითი პასუხები არ წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებას, რითაც სარჩელის საფუძვლიანობა დადასტურდება, მოპასუხეს სარჩელზე დართული წერილით არ უღიარებია მოსარჩელის კუთვნილი აქტივით სარგებლობის ფაქტი, ამასთან თავად წერილობით პასუხებს მოსარჩელე იყენებს სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად და თან უთითებს მათ ორაზროვანობასა და ბუნდოვანებაზე.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება დასაკისრებელი თანხის გამოთვლასთან მიმართებით საქმეში წერილობითი მტკიცებულებების არსებობის გამო, ხოლო წარმოდგენილი ცალხაზოვანი სქემით არ ირკვევა, რომ იგი სწორედ შპს «ლ-ის» კუთვნილი ქსელია, არ დასტურდება მისი შედგენის თარიღი და შემდგენის ვინაობა, რის გამოც ეს მტკიცებულება შეიძლება მხოლოდ მხარის განმარტებად იქნას მიჩნეული, ამასთან არ ირკვევა, რომ სატრანსფორმატორო პუნქტი მოსარჩელის კუთვნილი ქსელის გავლით იკვებება. მოპასუხის მითითებით, შპს «...» განაწილების ლიცენზია ძალაში შევიდა 2007 წლის 30 ივნისიდან, რაც თეორიულადაც გამორიცხავს 2007 წლის ივნისში შპს «ლ-ის» ქსელში მოპასუხის მიერ ელექტროენერჯის გატარების ფაქტის არსებობას.

შპს «ლ-ი» ვალდებულია, მისი მოთხოვნის მართებულობა თავადვე ამტკიცოს სათანადო მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით, მას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, არ დაუდასტურებია მტკიცებულებათა მიუღებლობის საპატიო მიზეზის არსებობა, არ განუმარტავს დავის საგანთან რა კავშირი აქვს ამ ინფორმაციას, რის გამოც შუამდგომლობა მოპასუხისაგან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დაუსაბუთებელია შპს «ლ-ის» მითითება ანაზღაურების ტარიფებთან მიმართებით, რადგანაც იგი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოითხოვს ხან 0.0058, ხან – 0.0132 ტარიფით ანაზღაურებას, სარჩელში ჩამოყალიბებული პოზიცია ეწინააღმდეგება «ს-ის» 2008 წლის 18 სექტემბრის №... დადგენილებით დამტკიცებულ «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების» მე-15 მუხლის 1-ელ, მე-3 და მე-4 პუნქტებს. «ს-ის» 2007 წლის 6 ივლისის №... და შემდგომ 2008 წლის 4 დეკემბრის №... დადგენილების თანახმად, ელექტროენერჯის გატარების ტარიფი 6-10 კილოვატ ძაბვაზე 0.58 თეთრია და აღნიშნული დადგენილია ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტისათვის, მოსარჩელე კი არ არის განაწილების ლიცენზიანტი, რაც ასევე განმარტებულია «ს-ის» წერილობით პასუხში და «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების» მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების» 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთ დროს ანაზღაურების ოდენობა უნდა გამოთვალონ მხარეებმა.

სს «...» აზონენტებთან ანგარიშსწორებას ახდენდა «ს-ის» დადგენილების შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებულ პერიოდში ამოქმედდა «ს-ის» 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა ტარიფები.

სადავო არ არის, რომ შპს «ლ-ის» აღრიცხვის კვანძი მოწყობილი ჰქონდა 220/380 ძაბვის მხარეს, იგი წარმოადგენდა ამ ძაბვის მომხმარებელს და მასთან ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო 11.698 თეთრის ტარიფით. «ს-ის» 2008 წლის 18 სექტემბრის №... დადგენილების 32-ე მუხლით დამტკიცებული წესებით განისაზღვრა დაბალი ძაბვის მხარეს მოწყობილი მრიცხველის საშუალებით აღრიცხვის შემთხვევაში მაღალი

მაზვის ტარიფის გამოყენების წესი, თუმცა ამ დადგენილებას უკუქცევითი ძალა არ აქვს, რაც გამორიცხავს სარჩელში მითითებულ პერიოდზე დადგენილების მოქმედების გავრცელების შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ლ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «...» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა შპს «ლ-ის» კუთვნილი 6-10 კვ ელექტროგადამცემი ხაზით გატარებული ელექტროენერგიაზე დღგ-ს ჩათვლით 2360 ლარის ანაზღაურება, ხოლო 220/230 კვ ხაზებითა და ტრანსფორმატორით გატარებულ ელექტროენერგიაზე – 1172.80 ლარის გადახდდა დღგ-ს ჩათვლით, სულ – 3532.8 ლარის ანაზღაურება, ხოლო ზედმეტად გადახდილი ელექტროენერგიის საფასურის – 1988 ლარის დაბრუნების მოთხოვნაზე შპს «ლ-ის» ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით სს «...» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მიიჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის და არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «...», მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შპს «ლ-ისათვის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, კერძოდ, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

სასამართლომ 220/380 კილოვატ მაზვაზე დაადგინა 0.0066 ლარის ოდენობით ტარიფი, რაც ეწინააღმდეგება ანალოგიურ საქმეზე არსებულ სასამართლო პრაქტიკას, სასამართლომ მიუთითა, რომ ელექტროენერგიის გატარების ტარიფის განსაზღვრისას, სასამართლომ გაითვალისწინა «ს-ის» 2008 წლის 18 სექტემბრის №... დადგენილების მე-15 მუხლის მოთხოვნა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილებით შპს «...-99-ის» საქმეზე დადგენილი პრაქტიკა. «ს-ის» ზემოაღნიშნული დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, განაწილების ლიცენზიანტმა 6-10 კილოვატი მაზვის გატარებაზე სხვისი ქსელის გამოყენებისას უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 0.0058 ლარს გატარებულ კვტ საათზე. შპს «...-99-ის» საქმეზე გატარების ტარიფი დადგენილია 0.002 ლარის ოდენობით, რაც პროპორციის გათვალისწინებით შეადგენს 0.0058 ლარის 34%-ს. ანალოგიური მიდგომის სასამართლომ მიერ გათვალისწინების შემთხვევაში 220/380 ვოლტ მაზვაზე გატარების საფასური 0.0066 ლარის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს 0.0045 ლარით.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, არასწორად განმარტეს ამავე კოდექსის 102-ე მუხლის დებულება, კერძოდ, სასამართლომ მოპასუხეს შესაგებელში მითითებული გარემოებების მტკიცებასთან ერთად დააკისრა სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცების ტვირთიც, ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის განმარტებები.

მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შპს «ლ-ის» კუთვნილი მაღალი მაზვის ხაზით 1000000 კვტ ელექტროენერგიის, ხოლო 220/380 ვოლტი ხაზებით – 150596 კვტ ელექტროენერგიის გატარების ფაქტი. მართალია, სასამართლომ სხდომაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით უთხრა მოსარჩელეს უარი მოპასუხისაგან მტკიცებულებების გამოთხოვაზე, თუმცა გადაწყვეტილებით ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც სს «...» დააკისრა.

სასამართლომ გატარებული ელექტროენერგიის ოდენობის დასადგენად იხელმძღვანელა ქვეაბონენტების ქვითრების მონაცემებით, რასაც ელექტროენერგიის გატარების შესახებ ხელშეკრულებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ხოლო, ამ ქვითრების თანახმად, ქვეაბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა 3942.59 კილოვატია.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება სს «...» მიერ 2007 წლის ივნისის დასაწყისიდან აბონენტისათვის ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე, რადგანაც კასატორმა გამანაწილებელი საქმიანობა დაიწყო ლიცენზიის ძალაში შესვლის შემდეგ 30 ივნისიდან და აღნიშნული არ გაითვალისწინა სასამართლომ. მითითებული გარემოება სადავოსაც არ წარმოდგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სასამართლომ დამოუკიდებლად, მხოლოდ მოსარჩელის პირადი ანგარიშის ამონაწერის საფუძველზე განსაზღვრა მოპასუხის მიერ გამანაწილებელი საქმიანობის თაორიდი, ამასთან პირადი ანგარიშის ამონაწერში მოსარჩელე უთითებს, რომ თანხა ივნისის თვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურია.

საქართველოს მთავრობას, სს «ს-ის», შპს «ა-ასა» და, მეორე მხრივ, სს «ე-სა» და სს «...» შორის 2007 წლის 5 თებერვალს გაფორმებულ «ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპა-

ნიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების» 5.4 მუხლის თანახმად, 29 ივნისის შემდეგ მიღებული ფულადი სახსრები მიეკუთვნა სს «...», ხოლო 2008 წლის 18 ოქტომბრის შეთანხმებით სს «...» იკისრა ვალდებულება, შპს «... XXI-სათვის» სადისტრიბუციო კომპანიისა და აჭარის ენერჯოკომპანიისათვის ზემოაღნიშნულ თარიღამდე დაურიცხავი ელექტროენერჯის საფასურის ამოღებისა და გადაცემის თაობაზე, აღნიშნული ხელშეკრულება საქალაქო სასამართლოს არ გადასცემია, რადგანაც სასამართლოში არც კი გამხდარა სადავო ივნისის თვეში გატარებული ელექტროენერჯის მიმღებად მოპასუხის მიჩნევის ფაქტი.

სასამართლომ 2003 წლის 24 იანვრს ხელშეკრულების საფუძველზე არასწორად დაადგინა, რომ სს «ს-ია», რომელიც წარმოადგენდა გადაცემის ლიცენზიანტს, სს «...» მიერ ასეთი ლიცენზიის მოპოვებამდე აბონენტებს აწვდიდა ელექტროენერჯის შპს «ლ-ის» კუთვნილი ხაზებისა და ტრანსფორმატორის მეშვეობით, ასევე არასწორია სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხე 2007 წლის ივნისიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით აბონენტთათვის ელექტროენერჯის მისაწოდებლად იყენებდა შპს «ლ-ის» კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზებს.

სააპელაციო პალატამ სრულიად დაუსაბუთებლად არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ სს «...» ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტია. საქალაქო სასამართლოში წარდგენილი შესაგებელი, ისე სააპელაციო საჩივარი შეიცავდა მითითებას, რომ მოპასუხე განაწილების ლიცენზიანტია. სასამართლოს დასკვნა ეწინააღმდეგება «ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის დანაწესს, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინებით სს «...» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, დაინიშნა ზეპირი მსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ სს «...» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ზემოხსენებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმდაგვარად, რომ სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით არ შეუფასებია. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს «...» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

### **განჩინება**

№ას-452-427-2011

23 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სასარგებლო მოდელით სარგებლობის აკრძალვა, რეალიზაციის შეწყვეტა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ზ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. რ-იას მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის დ. ზ-ვას მიერ დაპატენტებული სასარგებლო მოდელის გამოყენების აკრძალვა და მისი რეალიზაციის შეწყვეტის დავალდებულება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: მოპასუხე ეწევა ალკოჰოლური სასმელების, კერძოდ, ღვინის რეალიზაციას, რომელიც ჩამოსხმულია პატარა ტიკებში და დაწნულ ბოთლებში. მოპასუხის დიზაინით შექმნილ სამრეწველო ნიმუშზე პატენტი გაიცა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გამოგონების, დიზაინისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ზ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ. რ-იას აკრძალა დ. ზ-ვას სახელზე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტის» მიერ სასარგებლო მოდელზე: საფუთავი ალკოჰოლიანი სასმელების ან სხვა სითხეებისათვის, გაცემული U1168 პატენტის მიხედვით საქონლის გამოყენება და დავალა რეალიზაციის შეწყვეტა.



საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით ვ. რ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. რ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლი და «საქართველოს საპატენტო კანონი», რის შედეგადაც კასატორს წაერთვა პატენტით მინიჭებული მისი კანონიერი უფლების განხორციელების შესაძლებლობა. პალატას არ დაუდგენია, რაში გამოიხატება დ.ზ-ვას სასარგებლო მოდელისა და კასატორის მიერ დაპატენტებული სამრეწველო ნიმუშის იდენტურობა. არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ «საქპატენტი» საქმეში მესამე პირად ჩაბმული არ ყოფილა.

სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია არც იმ გარემოებაზე, რომ ვ.რ-იას სასარგებლოდ გაცემული სამრეწველო ნიმუშის პატენტი გაუქმებული არ არის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ვ. რ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ზემოხსენებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმდაგვარად, რომ სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით არ შეუფასებია. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ვ. რ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

### **განჩინება**

№ას-166-160-2011

6 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის საბანკო ანგარიშზე დაბრუნება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 19 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს «... კომპანიმ» მოპასუხე სს «... ბანკის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 100000 ლარის ოდენობით თანხის შპს «... კომპანის» საბანკო ანგარიშზე დაბრუნების დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 მაისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაება საქართველოს ... სამინისტრო.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «... კომპანის» სარჩელი დაკმაყოფილდა, სს «... ბანკს» დაევალა 100000 ლარის შპს «... კომპანის» საბანკო ანგარიშზე დაბრუნება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საქართველოს ... სამინისტროსა და შპს «... კომპანის» შორის 2006 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა სესხის ხელშეკრულება;

საქართველოს ... სამინისტრომ სს «... ბანკს» გაუგზავნა წერილი, რომელიც ბანკს ჩაბარდა 2010 წლის 3 თებერვალს. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ ბანკმა ჩაიბარა 3 დოკუმენტი (სულ 4 ფურცელი): ... სამინისტროს წერილი, მინდობილობა და საბანკო გარანტია;

2008 წლის 30 დეკემბერს სს «... ბანკსა» და შპს «... კომპანის» შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და ამავე დღეს გაიცა საბანკო გარანტია №3012-07/02, 165000 ლარზე, რომლითაც ბენეფიციარია საქართველოს ... სამინისტრო, ხოლო პრინციპალი – შპს «... კომპანი»;

შპს «... კომპანის» მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება გაიხსნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით. განცხადება შპს «... კომპანის» მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2010 წლის 15 იანვარს;

შპს «... კომპანის» მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გაიხსნის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება გამოქვეყნდა «საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში» 2010 წლის 2 თებერვალს, №10 ნომერში;

შპს «... კომპანის» მეურვემ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ აცნობა წერილობით სს «... ბანკს», რომელსაც აღნიშნული წერილი ჩაბარდა 2010 წლის 4 თებერვალს;

სადავო 100000 ლარის ჩამოჭრა შპს «... კომპანის» ანგარიშიდან მოხდა 2010 წლის 4 თებერვალს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» კანონის 1-ელი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში, მოვალის ფინანსური სიმძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. დასახელებული კანონის მე-3 მუხლით, ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: რ) სამეურვეო ქონება – ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება. ი) კრედიტორი – პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადა მოუსვლელი მოთხოვნა).

სასამართლოს მითითებით, გადახდისუუნარობის საქმეზე დადგენილი იყო კრედიტორთა სია, სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული იყო რეესტრი და კრედიტორთა დაკმაყოფილებაც უნდა მომხდარიყო კანონით დადგენილი წესითა და რიგით, სამეურვეო ქონების რეალიზაციის ხარჯზე, კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვის პრინციპის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის დროისათვის მოვალის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენდა მის საკუთრებას და შესაბამისად ითვლებოდა სამეურვეო ქონებად. ამდენად, სს «... ბანკის» მიერ 2010 წლის 4 თებერვალს მოხდა იმ თანხის ჩამოჭრა საბანკო ანგარიშიდან, რასაც ამ დროისათვის უკვე სამეურვეო ქონების სტატუსი ჰქონდა და მისი განკარგვა ასეთი ფორმით «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» კანონის 1-ელი მუხლის შესაბამისად დაუშვებელი იყო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, გადახდისუუნარობის საქმე გახსნილად ითვლება განცხადების შეტანის დღიდან. კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით: ა. ინიშნება მეურვე; ბ. განისაზღვრება კრედიტორთა კრების დღე (განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა კრების დღემდე შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 30 დღისა). 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან: ა. მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე; ბ. ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით; გ. ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება; დ. იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადო/საბაჟო) დარიცხვა/გადახდა; ე. საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული 21-ე მუხლის მოქმედება იწყება განცხადების შემოტანის დღიდან, თანახმად კანონის მე-19 მუხლისა, ამდენად, ყველანაირი იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა ამოიწურა 2010 წლის 15 იანვრიდან, რადგან ამ დღეს იქნა კრედიტორის მიერ სასამართლოში შემოტანილი განცხადება შპს «... კომპანის» მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» კანონის 25-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და ჟურნალ «საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში». სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განჩინების დამატებით სხვა ბეჭდვით ორგანოში, მათ შორის, საერთო სახელმწიფოებრივ ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება. კანონის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, კრედიტორისათვის ზიანის მომტანად ჩაითვლება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 6 თვის განმავლობაში განხორციელებული შემდეგი ქმედებები: ა. მოვალის ქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას და კონკრეტულ კრედიტორს უპირატესობა მიანიჭა იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით; ბ. მოვალის მიერ გარიგების დადება ან სხვა ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კანონის მე-40 მუხლი ადგენს კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობას, რომელიც მკაცრადაა გაწერილი და იმპერატიულ დებულებებს შეიცავს, სწორედ ამ ნორმის დაცვისა და კანონის ძირითადი მიზნის – კრედიტორთა ინტერესების კანონშესაბამისი და თანაზომიერი დაცვისთვის არის გამიზნული კანონის ყველა ნორმა, რომლის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედება ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ და კრედიტორის მიმართ ზიანის მიმყენებლად.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ სს «... ბანკმა» 2010 წლის 4 თებერვალს მოახდინა შპს «... კომპანის» ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა, მაშინ, როცა 2010 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული იყო სასამართლოს განჩინება კანონით დადგენილი წესით და მეურვის წერილიც ბანკს ჩაჰბარდა 2010 წლის 4 თებერვალს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა თანხის ჩამოჭრისა და მეურვის წერილის ბანკში შესვლის ზუსტი დრო, საათისა და წუთის მითითებით, მოპასუხე აპელირებდა, რომ მათ უკვე ჩამოჭრილი ჰქონდათ თანხა, როცა მეურვის წერილი მიიღეს, თუმცა აღნიშნული არ იკვეთებოდა, მაგრამ რომც დადასტურებულიყო, ეს ვერ შეცვლიდა კანონის დანაწესს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების დღიდან მის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევის შესახებ, სწორედ ესაა გამოქვეყნების მიზანი. ამდენად, 2010 წლის 4 თებერვალს სს «... ბანკის» მიერ განხორციელებული თანხის ჩამოჭრა კანონსაწინააღმდეგოდ იყო და ექვემდებარებოდა შპს «... კომპანის» საბანკო ანგარიშზე დაბრუნებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «... კომპანის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო საჩივრის თანახმად, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მეურვემ დაარღვია დაუყოვნებლივ გამოცხადების ვალდებულება და განჩინება შპს «... კომპანის» მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება გახსნის შესახებ გამოაქვეყნა მთელი ორი კვირის დაგვიანებით. ამასთან, მეურვისათვის ცნობილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სს «... ბანკი» წარმოადგენდა შპს «... კომპანის» კრედიტორს. ამდენად, გამოქვეყნების გარეშე მეურვეს შეეძლო შეეტყობინებინა სს «... ბანკისათვის» გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე. ბენეფიციარმა ... სამინისტრომ «... ბანკს» მიმართა ზემოაღნიშნული განჩინების მიღებიდან გამოქვეყნებამდე პერიოდში. ბანკმა ისე განიხილა გარანტიის პირობების ხელშეკრულებასთან და კანონთან შესაბამისობის საკითხი, რომ მისთვის ცნობილი არ იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ. შესაბამისად, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ შპს «... კომპანის» ქონებაზე გადახდევინების მიქცევა არ შეიძლებოდა.

აპელანტმა განმარტა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების კონკრეტული პირობების სპეციფიკური ბიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება პრინციპალის კუთვნილი თანხებიდან, ბანკის ფუნქცია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის გარანტიის ვადის გასვლამდე კლიენტისავე თანხმობით ბლოკავს მის ანგარიშზე არსებულ თანხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდა კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი თანხებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ ბანკის დროული ინფორმირების შემთხვევაში ბანკი ბენეფიციარს ანუ ... სამინისტროს შეატყობინებდა, რომ პრინციპალის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. ასეთ შემთხვევაში, ბენეფიციარს აღარ ექნებოდა უფლება, მიეთითებინა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზე. ბანკისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ დღეებს, არამედ საათებსაც, თუ როდის განხორციელდებოდა შეტობინება. მეურვის მიერ შეტობინების ვალდებულების დაუყოვნებლივ დარღვევის გამო, ბანკი ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა ბენეფიციარის მოთხოვნა, რამაც გამოიწვია კიდევ მოცემული დავის წარმოშობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სს «... ბანკის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, იგი ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აპელანტის მიერ საქმეზე დასართავად წარდგენილი დამატებითი მტკიცებულებები. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებენ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შპს «... კომპანის» გაკოტრების რეჟიმი დასრულებულია, საზოგადოების ლიკვიდაცია არ განხორციელებულა. გაკოტრების პროცესი დასრულდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვამდე, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;

შპს «... კომპანის», გაკოტრების რეჟიმის დასრულების შემდეგ, არ გააჩნია სამართლებრივი უფლება, სს «... ბანკისაგან» მოითხოვოს ის თანხა, რომელიც ბანკს კვლავ უკან უნდა დაუბრუნოს. მხარეთა შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გარანტი, სს «... ბანკი» იღებდა ვალდებულებას, გაეცა საბანკო გარანტია პრინციპალის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ბენეფიციარს წარმოადგენდა ... სამინისტრო, რომელმაც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ ბანკისაგან სრულად (165000 ლარის ოდენობით) დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნა. შესაბამისად, ბანკს წარმოეშვა უფლება მოსარჩელე შპს «... კომპანისათვის», რომელიც წარმოადგენდა პრინციპალს, მოეთხოვა გადახდილი თანხის ანაზღაურება;

საკასაციო საჩივრის თანახმად, კრედიტორთა სიაში სს «... ბანკი» მითითებულია მე-6 რიგის კრედიტორად 65000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება 100000 ლარს, რომელიც ჩამოჭრილ იქნა ბანკის მიერ შპს «... კომპანის» ანგარიშიდან, ამ ნაწილში ბანკი მითითებულია დებიტორად. აღნიშნული თანხის დაბრუნება გამოიწვევს შპს «... კომპანის» უსაფუძვლო გამდიდრებას;

კასატორის მოსაზრებით, შპს «... კომპანის» მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების კონკრეტული პირობების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება პრინციპალის კუთვნილი თანხებიდან. ბანკის ფუნქცია მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის გარანტიის ვადის გასვლამდე კლიენტისავე თანხმობით ბლოკავს მის ანგარიშზე არსებულ თანხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდა კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი თანხებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ ბანკის დროული ინფორმირების შემთხვევაში ბანკი ბენეფიციარს ანუ ... სამინისტროს შეატყობინებდა, რომ პრინციპალის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. ასეთ შემთხვევაში, ბენეფიციარს აღარ ექნებოდა უფლება, მიეთითებინა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევაზე. ამ შემთხვევაში ბანკი წარმოადგენდა საბანკო ოპერაციის განმახორციელებელ სუბიექტს, შპს «... კომპანის» სარჩელის მოთხოვნა უნდა წაეყენებინა ... სამინისტროსათვის თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, რამდენადაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების განჩინების 21.1 მუხლის შესაბამისად: ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება; ბ. იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოსათვის კანონით მინიჭებული ზემოაღნიშნული შესაძლებლობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სრულად გაზიარების შემთხვევაში მარტოდენ მიუთითოს მათზე და იმავედროულად, არ იმსჯელოს ამ გადაწყვეტილების უსწორობის დასაბუთებლად აპელანტის მიერ საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებ-

ლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

ამდენად, უფლების სასამართლოს წესით დაცვის განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მარტო პირის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აპელანტს იმის უფლებასაც ანიჭებს, რომ სააპელაციო სასამართლოსაგან მის პრეტენზიებზე დასაბუთებული პასუხი მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია წაგებულ მხარეს სრულიად სამართლიანად გაუჩნდეს განცდა იმისა, რომ მიზანი, რომელიც მიმართული იყო უფლების ზემდგომ სასამართლოში დაცვისაკენ, უშედეგო გამოდგა, სასამართლომ უპასუხოდ დატოვა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები, რომლებიც მისი აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას ასაბუთებდა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე საერთოდ არ უმსჯელია, არ შეუფასებია ისინი და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ ეს პრეტენზიები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ ექვემდებარებოდა აპელანტის პრეტენზიები გაზიარებას.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი პრეტენზიების გამაქარწყლებელ არგუმენტებს, დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ განჩინების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» მუხლის თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ასეთ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სვალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აპელანტის პრეტენზიებზე, შეაფასოს ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

### განჩინება

№ას-77-67-2011

11 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ., ჯ და ნ. ჯ-შვილებისა და სპს «ბ-ძე და გ-შვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» მიმართ კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 1932 წლის 15 აგვისტოს მოსარჩელის მამამ ა. ნ-შვილმა და მ. ნ-შვილმა შეიძინეს ქ.თბილისში, ... ქ. №40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც საკუთრების უფლებით აღირიცხა მათ სახელზე. მ. და ა. ნ-შვილების გარდაცვალების შემდეგ სადავო ბინაზე მემკვიდრეობა მიიღეს ა. ნ-შვილის შვილმა – ზ. ნ-შვილმა და მ. ნ-შვილის შვილიშვილებმა: მ., ნ.ა და რ. ნ-შვილებმა. როგორც მოსარჩელისთვის გახდა ცნობილი, 2008 წლის 13 ოქტომბერს სპს «ბ-ძე და გ-შვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებულმა საქართველოს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა» მიიღო გადაწყვეტილება, რითაც დ., ჯ და ნ. ჯ-შვილები ცნობილ იქნენ ქ.თბილისში, ... ქ. №40-ში მდებარე უძრავი ქონების 9/43 წილის მესაკუთრეებად. არასწორია არბიტრაჟის მოსაზრება, რომ, თითქოს მოსარჩელის მამამ, ა. ნ-შვილმა, 1937 წელს ი. ჯ-შვილს მიჰყიდა სადავო ბინის 20 კვ. მ. საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვისას არ იქნა მოწვეული მოსარჩელე, რითაც დაირღვა და შეილახა მისი უფლებები, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ნ-შვილმა ი. ჯ-შვილი სადავო ბინაში მიიყვანა, როგორც ე.წ «ასტუპნიკი», რათა გაეფორმებინა ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოპასუხეებმა დ., ჯ და ნ. ჯ-შვილებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ «საქართველოს კერძო არბიტრაჟის შესახებ» კანონით, კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ 2008 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებისას კანონის მოთხოვნა არ დარღვეულა და საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეებს პრეტენზია არ გააჩნიათ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მხარეებს. მოსარჩელე საარბიტრაჟო განხილვაში მხარედ არ მონაწილეობდა და იგი არც შეიძლება ყოფილიყო მხარე, ვინაიდან არბიტრაჟის დავის საგანს წარმოადგენდა ი. ჯ-შვილის ქონებაზე მემკვიდრეებს შორის წილის განსაზღვრა. მოპასუხეებმა – დ., ჯ და ნ. ჯ-შვილებმა, როგორც ი. ჯ-შვილის მემკვიდრეებმა, კანონის შესაბამისად გამოავლინეს რა თავიანთი ნება, 2008 წლის 22 სექტემბრის საარბიტრაჟო შეთანხმებით, შეთანხმდნენ, მემკვიდრეებს შორის დავა განხილულიყო არბიტრაჟში, რომლის გადაწყვეტილებითაც განისაზღვრა ი. ჯ-შვილის კუთვნილი 19/43 წილიდან მემკვიდრეების ნ., დ. და ჯ ჯ-შვილების წილი. მოპასუხეებმა საარბიტრაჟო სასამართლოში წარადგინეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ი. ჯ-შვილი ქ.თბილისის ტექნიკური ინჟინერიის ბიუროში 1940 წლიდანაა დარეგისტრირებული ქ.თბილისში, ... ქ. №40-ში მდებარე სახლთმფლობელობის მესაკუთრედ და ქონება შევიდა სამკვიდრო მასაში, რაც დღემდე ნ-შვილებს სადავოდ არ გაუხდიათ, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ნ-შვილებმა მემკვიდრეობის მიღების შემდეგ თავდაპირველად თვითონ განსაზღვრეს თავიანთი წილი (24/43). ასევე უსაფუძვლოა სარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ სადავო საცხოვრებელ სახლში ი. ჯ-შვილი ა. ნ-შვილმა მიიყვანა, როგორც «ასტუპნიკი», ვინაიდან ქ.თბილისის ტექნიკური ინჟინერიის ბიუროს ჩანაწერი გამორიცხავს ი. ჯ-შვილის სხვა უფლების არსებობას.

მოპასუხე სპს «ბ-ძე და გ-შვილების საკონსულტაციო ჯგუფთან არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის» წარმომადგენელმა ლ. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, უარი ეთქვას სარჩელს

დაკმაყოფილებზე შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე არ აკონკრეტებს გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივ საფუძველს, სავარაუდოა, რომ მოსარჩელე გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს 43-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნული საფუძველით კი, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მხარეებს. მოცემულ დავაში კი, მოსარჩელე ზ. ნ-შვილი საარბიტრაჟო განხილვაში მხარეს არ წარმოადგენდა. 2008 წლის 22 სექტემბრის საარბიტრაჟო შეთანხმებით, საარბიტრაჟო განხილვაზე შეთანხმება არსებობდა მხოლოდ დ., ჯ და ნ. ჯ-შვილებს შორის, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის – ი. ჯ-შვილის მემკვიდრეები არიან. ი. ჯ-შვილის სახელზე თბილისის ტექნიკურ-ტარიზაციის ბიუროში 1940 წლიდან საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №40-ში მდებარე სახლთმფლობელობა დანარჩენ თანამესაკუთრებთან ერთად, შესაბამისად, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით განისაზღვრა ი. ჯ-შვილის კუთვნილი 19/43 წილიდან მემკვიდრეების წილი. ამდენად, არბიტრაჟის დავა, საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ მემკვიდრეებს შორის უნდა განხილულიყო. ამ დავაში სახლთმფლობელობის დანარჩენ თანამესაკუთრების მონაწილეობას არც «კერძო არბიტრაჟის შესახებ» კანონი და არც მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები არ ითვალისწინებს. მით უმეტეს, რომ ნ-შვილების წილი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უკვე განსაზღვრულია. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოსაზრება მისი საარბიტრაჟო წარმოების მსვლელობისას მოწვევის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ნ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ზ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველით: სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, დადგენილად ცნო, რომ ზ. ნ-შვილის მამის – ა. ნ-შვილისა და მისი ბიძის – მ. ნ-შვილის მიერ 1932 წლის 15 აგვისტოს შალვა თეთრადისაგან შეძენილ იქნა ქ.თბილისში, ... ქ. №40-ში მდებარე შენობის ნაწილი, რომელშიც არ იგულისხმებოდა შენობის სვაჭრო და აღნიშნულების მქონე ფართი. ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1985 წლის 2 დეკემბრის №3/999 გადაწყვეტილების საფუძველზე მიიჩნია, რომ აწ გარდაცვლილი მ. ნ-შვილი საკუთრების უფლებით ფლობდა 23.5 კვ. მ №1 ოთახს, კერძოდ, მთლიანი სახლის 24/43 ნაწილს.

სასამართლო დაეთანხმა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას მოსარჩელის არგუმენტის გაუზიარებლობის თაობაზე, კერძოდ, სადავო გადაწყვეტილებით მოპასუხეებს, დ., ჯ და ნ. ჯ-შვილებს, მიეკუთვნათ ზ.ნ-შვილის საკუთრებაში არსებული სახლის ნაწილი, ასევე მოპასუხეთა შორის განაწილებული სახლის იდეალური ნაწილი, რაც არასოდეს იყო მოპასუხეთა მამკვიდრებელ ი.ჯ-შვილის საკუთრება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლითა და 311-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიუთითა, რომ 2008 წლის 22 ივლისს ანუ სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე, მითითებულ მისამართზე მდებარე 43 კვ. მ საერთო და საცხოვრებელი ფართის მქონე შენობა-ნაგებობის 24/43 ნაწილის მესაკუთრეები არიან მ., ნ.ა, რ. და ზ. ნ-შვილები, შესაბამისად, მოსარჩელე ზ.ნ-შვილი, ამ ჩანაწერის მიხედვით, წარმოადგენს შენობა-ნაგებობების 6/43 ნაწილის მესაკუთრეს, ხოლო სადავო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე კი, 2008 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით მითითებულ მისამართზე მდებარე სახლის თანამესაკუთრეთა შორის წილები გადანაწილებულ იქნა იმდაგვარად, რომ ჯ. და დ. ჯ-შვილები წარმოადგენდნენ 9/43 ნაწილის თანამესაკუთრეები, ნ. ჯ-შვილი – 9/43 ნაწილის მესაკუთრეა, მ. და ნ. ნ-შვილები – 12/43 ნაწილის, ხოლო ზ. და რ. ნ-შვილები კი, მეორე, 12.43 ნაწილის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ, ანუ თითოეული ნ-შვილის წილის ოდენობა განისაზღვრა სახლის 6/43 ნაწილით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო არბიტრაჟის სადავო გადაწყვეტილების მიღებას ზეგავლენა არ მოუხდენია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სახლის ნაწილის ოდენობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, 311-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილი და «კერძო არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ზ. ნ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველით: პალატამ არასწორად განმარტა კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ასევე არ გამოიყენა ამ კანონის 43-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, არ დაადგინა ის გარემოება, რომ სადავო არბიტრაჟის გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო ზ.ნ-შვილის ინტერესებს, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილებით ფაქტობრივად განიკარგა მისი თბილისში, ... ქ. №40-ში მდებარე უძრავი ქონება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მამამ 1937 წელს მიჰყიდა ი. ჯ-შვილს თავისი კუთვნილი ფართის ნაწილი, თუმცა უგულებელყო თბილისის ცენტრალური არქივის ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ სანოტარო კანტორის 1935-1942 წლების დოკუმენტებში აღნიშნული ხელშეკრულება არ მოიპოვება და, შესაბამისად, თუ აღნიშნული გარიგება გაფორმებული იყო სანოტარო წესის გარეშე, მოწინააღმდეგე მხარე ითვლება საცხოვრებელი ბინის მოსარგებლედ და არა მესაკუთრედ.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ ფაქტობრივად და სამართლებრივად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები სრულად არის გამოკვლეული და სამართლებრივად სწორადაა შეფასებული, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით, რომელიც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს. სასამართლო გადაწყვეტილების უპირველესი ფუნქცია მოდავე პირებისათვის უფლებათა და ვალდებულებათა არსებობა-არარსებობის დადგენაა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლწესრიგის დამკვიდრებას და სამართალდარღვევის პროფილაქტიკას.

სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად იგულისხმება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან მიმართებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავედროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქვეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლია გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამონაკლისისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე – გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

#### **განჩინება**

№ას-328-312-2011

30 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. მ-მე-ბ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «....ს» მიმართ შრომის კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე სახელფასო დავალიანების ანაზღაურების – 2001 წლის აპრილიდან 2002 წლის ნოემბრის ჩათვლით 27891 ლარისა და 54 თეთრის, ასევე ყოველ გადაცილებულ დღეზე 1369 დღის განმავლობაში სარჩელის აღძვრამდე ზემოაღნიშნული თანხის 0,07%-ის – 19,52 ლარის, სულ – 26722,88 ლარის და სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 19,52 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

სს ნავთობის ეროვნულ კომპანია «....» და გერმანულ კომპანია შპს «...-ს» შორის 2000 წელს დაიდო ხელშეკრულება ამხანაგობის შექმნის თაობაზე. აღნიშნულმა ამხანაგობამ დააფუძნა საოპერაციო კომპანია «.... სერვისი», რომლის მუშაობასაც კოორდინირებას უწევდა საკოორდინაციო საბჭო. 2000 წლიდან მოსარჩელე გ. მ-მე-ბ-ია მუშაობდა «.... სერვისის» საკოორდინაციო საბჭოს წევრად და მისი ხელფასი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს თვეში.

შპს «...-ის» მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო ნავთობის ეროვნულმა კომპანია «...მა» გადაწყვიტა, 2002 წლის პირველი ივლისიდან შეეჩერებინა, ხოლო 2002 წლის პირველი დეკემბრიდან შეეწყვიტა მოქმედი ხელშეკრულება, რასაც შედეგად მოჰყვა მუშა-მოსამსახურეთა და საკოორდინაციო საბჭოს წევრთა მიმართ დავალიანების წარმოქმნა.

2002 წლის 18 დეკემბერს სს «....ის» სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №66) დამტკიცდა სახელფასო დავალიანების მიზნით შედგენილი გრაფიკი. სახელფასო დავალიანებამ შეადგინა 42130 ლარი, საიდანაც მოსარჩელეს გადაუხადეს 14238,47 ლარი, ხოლო აუნაზღაურებელი დარჩა 27891,54 ლარი, თუმცა, მიუხედავად დაპირებისა, მოსარჩელისათვის აღნიშნული თანხა არ გადაუხდიათ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელე გ.მ-მე-ბ-ია სს ნავთობის ეროვნულ კომპანია «საქგეოსერვისში» დასაქმებული არ ყოფილა. სს «....» და შპს «...-ს» შორის 2000 წლის ოქტომბერში გაფორმდა ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის თაობაზე და მხარეთა შეთანხმებით შეიქმნა ამხანაგობა «.....». ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, ხელშემკვერელ მხარეთა შეთანხმებით შეიქმნა ამხანაგობა «....ის» საკოორდინაციო საბჭო. მოსარჩელის განმარტებით, იგი დაინიშნა საბჭოს წევრად. «.... სერვისი» კი წარმოადგენდა «....ის» ფილიალს, რომელიც ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად შეიქმნა და წარმოადგენდა ამხანაგობა «....ისაგან» დამოუკიდებელ სუბიექტს.

მოპასუხემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად ასევე მიუთითა მის ხანდაზმულობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. მ-ძე-ბ-იას სარჩელი მოპასუხე შპს «.....» მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ.მ-ძე-ბ-იას სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მათი სამართლებრივი შეფასება და განმარტა, რომ აპელანტმა ვერ შეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნების გაბათილება, რის გამოც სააპელაციო საჩივარი, როგორც უსაფუძვლო არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-ძე-ბ-იას წარმომადგენელმა ა. გ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. მ-ძე-ბ-იას სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებას. საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია, გასულია დარღვეული უფლების დაცვისათვის დადგენილი 3-წლიანი ვადა. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, 129- მუხლის მე-2 ნაწილზე, 130-ე, 137-ე, 141-ე მუხლებსა და 144-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და არასწორად განმარტა კანონი. გ. მ-ძე-ბ-იას სახელფასო დავალიანება მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღიარებული დავალიანებაა, რომელიც დღემდე მოპასუხის ბალანსზე ირიცხება, როგორც კრედიტორული დავალიანება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გ. მ-ძე-ბ-იას საკასაციო საჩივარი მიღებულ ცნობილ იქნა დასაშვებად საქმის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, დაინიშნა ზეპირი მსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ გ. მ-ძე-ბ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ზემოხსენებული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმდაგვარად, რომ სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სა-

სამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით არ შეუფასებია. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს, თუ რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მათ სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-მე-ბ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

#### **განჩინება**

№ას-228-213-2011

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ჯ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. გ-ძის, გ. თ-იას, შპს «ა» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: შპს «ა-ს» საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა თბილისში, ... №34-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, 1997 წლის 14 იანვარს საზოგადოების დირექტორმა ვ. ჯ-იამ «... ბანკის» კონსულტანტ გ. თ-იას მისცა მინდობილობა საზოგადოების სახელით ზემოაღნიშნული ფართის გასხვისებაზე. ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, ფართი უნდა გაყიდულიყო საბაზრო ფასად. მინდობილობის გაფორმების დროს ვ.ჯ-ია ცხოვრობდა მოსკოვში, საზოგადოების კუთვნილი ფართის გასხვისების თაობაზე მისთვის არავის უცნობებია და იმის გათვალისწინებით, რომ მინდობილობის მოქმედების ვადა იყო 1997 წლის 1-ლ

მასამდე, დარწმუნებული იყო, რომ ზემოაღნიშნული ფართი საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენდა. 1997 წლის 23 იანვარს გ.თ-იამ თბილისში, ... მდებარე შპს «ა-ის» კუთვნილი 855 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მ. გ-ძეს მიჰყიდა მხოლოდ 10 000 ლარად, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულებაში. ერთი წლის შემდეგ, 1998 წლის 13 ივნისს კი – მ. გ-ძემ შ.პ.ს. «ა-ს» მიჰყიდა უკვე 270 000 აშშ დოლარად. აღნიშნულის შესახებ ვ. ჯ-იამ ცნობილი გახდა 2007 წლის შემოდგომაზე, საჯარო რეესტრში საბუთების მოძიების შემდეგ შეიტყო. 2008 წლის 12 მარტს შპს «ა-ის» დირექტორმა დაუთმო ამ ურთიერთობიდან წარმოქმნილი მოთხოვნის უფლება ა. ჯ-იას, რომელმაც სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული ორივე ხელშეკრულების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი 1997 წლის 23 იანვრის გ. თ-იასა და მ. გ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და 1998 წლის 13 ივნისის მ. გ-ძეს და შპს «ა-ს» შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, თუმცა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული ქონება გასხვისებულია და აღრიცხულია სხვის სახელზე, 2001 წლის იანვარში ცნობილი გახდა შპს «ა-ს» სს «... ბანკი-დან» გამოუტანია 310 798 აშშ დოლარი და 313 864 ლარი, რის გამოც აუქციონის შედეგად კრედიტორს ნატურით გადაეცა საკუთრებაში მათი არასაცხოვრებელი ფართი. აღნიშნულით შპს «ა-ს» მიაღწა ქონებრივი ზიანი, რომლის მოთხოვნის უფლებაც ორგანიზაციამ დაუთმო ა. ჯ-იას.

მოპასუხე გ. თ-იამ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მას და ვ. ჯ-იას შორის ფართის საბაზრო ფასში გაყიდვაზე ან მყიდველისაგან ფულის მიღებაზე ან ამ ფულის მისთვის გადაცემის შესახებ ზეპირი ხელშეკრულება არ დადებულა. მოსარჩელე სარჩელში მალავს არსებით გარემოებას, კერძოდ, ა. ჯ-იას იმ მომენტისათვის ჰქონდა ვალი, რომლის გადახდასაც მევალე ინტენსიურად ითხოვდა ბანკისა და გ. თ-იასაგან, რადგან ა. ჯ-ია 1997 წლის სექტემბრის ბოლოს მევალებთან შეთანხმებით ვალის დაფარვის თანხის საზღვარგარეთ მოძიებისა და გადახდის შეპირებით საქართველოდან წავიდა. სიტყვიერად მევალებთან მის წარმომადგენლად წარდგენილ იქნა გ. თ-ია, რითაც ეს უკანასკნელი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან 1997 წლის ოქტომბრიდან ა. ჯ-იასთან კონტაქტი გართულდა და ვალს არ აბრუნებდა. სწორედ ამის შემდგომ ა. ჯ-ია მეუღლესთან ერთად შეუთანხმდა კრედიტორს და მის წარმომადგენელს, რომ ურთიერთშეთანხმებული ღირებულებით მათზე გაასხვისებდა საკუთარი მეუღლის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებას ვალის დასაფარავად, რაც გახდა საფუძველი სარჩელში მითითებული უძრავი ქონების მევალისათვის მიყიდვისა. ყოველივე ამის შესახებ კი, იმთავითვე ცნობილი იყო ა. ჯ-იასათვის. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი ხანდაზმულია და მხარეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხე შპს «ა-მა» სარჩელი არ ცნო.

მოპასუხე მ. გ-ძეს ა. ჯ-იას სარჩელზე სასამართლოში შესაგებელი არ წარმოუდგენია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ა.ჯ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: შპს «ა-ს» საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე ქ. თბილისში, ... №34-ში. 1997 წლის 14 იანვარს შპს «ა-ს» დირექტორმა ვ. ჯ-იამ მინდობილობა მისცა გ. თ-იას ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე ფართის გასხვისებაზე. 1997 წლის 23 იანვარს, ერთი მხრივ, გ. თ-იას, როგორც ვ. ჯ-იას წარმომადგენელსა და მეორე მხრივ, მ. გ-ძეს შორის დადებულ იქნა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გასხვისდა 855 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, 10000 ლარად, ქ. თბილისში, ... №34-ში. 1998 წლის 13 ივნისს, ერთი მხრივ, მ. გ-ძესა და მეორე მხრივ, შპს «ა-ს» შორის დადებულ იქნა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მ.გ-ძემ ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე 855 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 270 000 აშშ დოლარად გაასხვისა. 2008 წლის 12 მარტს შპს «ა-ს» დირექტორმა ვ. ჯ-იამ, შპს «ა» მფლობელობაში არსებული ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის არასწორ გასხვისებასთან დაკავშირებით, მოთხოვნის ყველა უფლება დაუთმო ა. ჯ-იას. 2008 წლის 13 ივნისს ა. ჯ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: გ. თ-იას, მ. გ-ძისა და შპს «ა-ს» მიმართ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნით. სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ჯ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს «ა-ს» სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ... მდებარე 855 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 2005 წლის 13 ივლისს ორი უშედეგო აუქციონის შემდეგ, კრედიტორის განცხადებით, ნატურით გადაეცა საკუთრებაში სს «... ბანკს» (კრედიტორს). ზემოაღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებულია შპს «... ჯორჯიას» სახელზე. შპს «ა-ს» დირექტორ ვ. ჯ-სათვის ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის გასხვისების თაობაზე ცნობილი იყო გასხვისების პირველ წელსვე.

მოპასუხის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელესათვის ქონების გასხვისების თაობაზე ცნობილი იყო გასხვისების პირველივე წელს, სასამართლომ განმარტა შემდეგი: «ხანდაზმულობა» სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რაიმე ურთიერთობა, მდგომარეობა, მოვლენა იმდენად დიდი ხნის წინ იყო, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობის ვადა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის

ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი, წარმოიშობა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევა, თუ პირმა თავისი დაუდევრობის (გულგრილობის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოების მიხედვით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი უშუალოდ კანონითაა განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. კონკრეტულ შემთხვევაში, შპს «ა-ს» დირექტორმა, ვ. ჯ-იამ, ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის გასხვისების თაობაზე მინდობილობა გ. თ-იას გაუფორმა 1997 წლის 14 იანვარს. მოსარჩელე მხარე თვითონვე უთითებდა სარჩელში, რომ მინდობილობის მოქმედების ვადა იყო 1997 წლის 1-ელი მაისამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე დარწმუნებული იყო ზემოაღნიშნული ფართის საზოგადოებისადმი კუთვნილებაში, სასამართლომ არ გაიზიარა, მით უფრო მაშინ, როდესაც შპს «ა-ს» დირექტორს საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე არსაცხოვრებელი ფართი გასხვისდებოდა სწორედ მინდობილობის მოქმედების ვადაში – 1997 წლის 14 იანვრიდან 1997 წლის 1-ელ მაისამდე. მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ ვ. ჯ-ია დარწმუნებული იყო ამჟამინდელი მდგომარეობითაც ზემოაღნიშნული ფართის საზოგადოებისადმი კუთვნილებაში, ასევე ფართის გასხვისების შესახებ მან მხოლოდ 2007 წლის შემოდგომაზე გაიგო საჯარო რეესტრში საბუთების მოძიების შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები საქმეში არ წარმოუდგენიათ. ვ. ჯ-იასათვის არასაცხოვრებელი ფართის გასხვისების თაობაზე ცნობილი გახდა არა 2007 წლის შემოდგომაზე, არამედ უფრო ადრე – ქონების გასხვისების პირველივე წელს, აღნიშნულს განამტკიცებს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2007 წელს საჯარო რეესტრში საბუთების მოძიების შემდგომ მოსარჩელისათვის ზემოაღნიშნული ფართის გასხვისებასთან ერთად ასევე ცნობილი გახდებოდა ის გარემოება, რომ არასაცხოვრებელი ფართი იმ დროისათვის უკვე აღარ წარმოადგენდა შპს «ა-ს» საკუთრებას და იგი საქართველოს ... სამინისტროს თბილისის ... ბიუროს 2005 წლის 18 ივლისის განკარგულების საფუძველზე ნატურით გადაეცა საკუთრებაში კრედიტორს სს «... ბანკს».

რაც შეეხება მოპასუხე გ. თ-იას მიერ წარდგენილ 1996 წლის 29 დეკემბრის წერილს, ირკვევა, რომ ა. ჯაიამ ქ. თბილისში, ... №34-ში არსებული არასაცხოვრებელი ფართის შესაძლო გასხვისების თაობაზე ჯერ კიდევ 1996 წლის 29 დეკემბერს იცოდა. აღნიშნული მტკიცებულება სადავოდ გახადა მოსარჩელე მხარემ და მიუთითა, რომ იგი წარმოადგენილია ასლის სახით და არ უნდა იქნეს გაზიარებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ წარდგენილი წერილი ფაქტის აპარატის მეშვეობითაა გამოგზავნილი და, შესაბამისად, არ შეიძლება იგი მოპასუხესთან დედნის სახით არსებობდეს. მოსარჩელე მხარის მითითება იმის შესახებ, რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით იმავე მხარეებს შორის უკვე დადგენილია ფაქტები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის საფუძველზე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები მიჩნეული უნდა იქნეს პრეიუდიციად, სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ 2009 წლის 20 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში, კი სასამართლო არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება. სასამართლომ იურიდიულად უნდა შეაფასოს დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტები. კონკრეტულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენდა არა ის გარემოება, 1997 წლის 23 იანვარს გ. თ-იამ მიჰყიდა თუ არა მ. გ-მეს შპს «ა-ს» კუთვნილი არასაცხოვრებელი ფართი და შემდეგ 1998 წლის 13 ივნისს მ. გ-მემ ზემოაღნიშნული არასაცხოვრებელი ფართი გასხვისა თუ არა შპს «ა-ზე», არამედ სადავოა, რომ ფართის გასხვისების თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო გასხვისების პირველ წელსვე და არა 2007 წლის შემოდგომაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 128.1, 129-ე და 130-ე მუხლების თანახმად, მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის ქ. თბილისში, ... №34-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის გასხვისების თაობაზე ცნობილი იყო გასხვისების პირველ წელსვე, კერძოდ კი – 1997 წელს, სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა და ამ პერიოდიდან 6 წლის განმავლობაში ა.ჯ-იას სასამართლოში სარჩელის აღძვრით უნდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. ა. ჯ-იამ სასამართლოს სარჩელით მომართა მხოლოდ 2009 წლის 3 ივლისს. სასამართლო მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და ამავე კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჯ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ა. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ლად. სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად, სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ზემოხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით შემოიფარგლა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ჯ-აიამ და მოითხოვა მისი გაუქმება საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ I ინსტანციის სასამართლოს დასკვნები ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალებიდან; გაუგებარია, პირველი ინსტანციის სასამართლომ რა მიზეზით უარყო არგუმენტები იმის შესახებ, რომ მან შპს «ა-ს» საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შესახებ 2007 წელს შეიტყო. სასამართლომ დაარღვია გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რაც გულისხმობს ფაქტობრივ გარემოებათა გამო, მხარეთა მიერ წარმოდგენილ და საქმეში არსებული მტკიცებულებების ლოგიკურ ანალიზს, ხოლო შემდგომ, მათ სამართლებრივ შეფასებას. ასეთ სიტუაციაში, მით უმეტეს მაშინ, როცა სააპელაციო საჩივარში არგუმენტები დასაბუთებული იყო, სააპელაციო პალატას მართებდა, ემსჯელა სააპელაციო საჩივარში არგუმენტებზე და თავისი შეფასებები დაეფუძნებინა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ საკუთარ დასკვნებზე. სინამდვილეში კი, პალატამ კრიტიკული შეფასების გარეშე დატოვა I ინსტანციის სასამართლოს სრულიად უსაფუძვლო დასკვნები და შეფასებები. ეს სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა. შპს „ა-ს« საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ბათილად აცნობილი გარიგებები, ერთი მხრივ, გ. თ-იასა და მ. გ-ძეს, ხოლო, მეორე მხრივ, მ. გ-ძისა და შპს „ა-ს« შორის, უდავოა, რომ ამ გარიგებათა ბათილობას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, რამდენადაც ბათილად ცნობილი გარიგებების შედეგად ა. ჯ-აიას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, ბათილობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ზიანის ანაზღაურება. ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კი ა. ჯ-აიას წარმოეშვა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ა-ს« საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გასხვისდა მისი გენერალური დირექტორის, ან მიმდომი პირის, ვ. ჯ-აიას ნების საწინააღმდეგოდ და ისიც ბათილი გარიგებების საფუძველზე. აღნიშნულის შესახებ მას არაფერი სცოდნია, ვიდრე სასამართლომ არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, დასახელებულ გარიგებათა ბათილად ცნობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უნდა აეთვალა არა ბათილად ცნობილი გარიგებების დადების, არამედ სასამართლოს მიერ ამ გარიგებათა ბათილად ცნობის მომენტიდან. სადავო საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტა სავსებით პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის მოთხოვნას. საქმეში არსებული მასალები იმაზე მეტყველებენ, რომ შპს „ა-ს« კუთვნილი, თბილისში, ... 34-ში მდებარე უძრავი ქონების მ. გ-ძისათვის მიყიდვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ, იმავე ნივთის შპს „ა-ზე» გასხვისების შესახებ, შეიტყო მხოლოდ 2007 წლის შემოდგომაზე. მინდობილობა უძრავი ნივთის გასხვისების შესახებ, შპს „ა-ს« გენერალურმა დირექტორმა, ვ. ჯ-აიამ გ. თ-იას სახელზე გასცა 1997 წლის 14 იანვარს, სამნახევარი თვის ვადით, იმავე წლის 1 მაისამდე, ამ ორ პირს შორის ურთიერთობა ექცევა დავალების შესახებ, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების რეგულირების სფეროში. მინდობილობაში მითითებული არაა, მაგრამ უდავოა, რომ გ. თ-იას, ამ შემთხვევაში რწმუნებულის, კანონისმიერ მოვალეობას შეადგენდა დავალების შესრულების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებინა ვ. ჯ-იასათვის, თუმცა მან ქონება მიჰყიდა მ. გ-ძეს, რომელსაც ვ. ჯ-იასა და შპს „ა-ს« ვალებთან არაფერი აკავშირებდა. უდავო ფაქტია, რომ ობიექტის ახალი მესაკუთრეების, მ. გ-ძისა და შპს „ა-ს« წინაშე, ვ. ჯ-იას არ აკავშირებდა არანაირი ვალდებულება. უტყუარი ფაქტი კი ჰბადებს უტყუარ დასკვნას იმის შესახებ, რომ ობიექტის რეალიზაციას არაფერი აკავშირებდა მოსარჩელე შპს „ა-ს« ან ა. ჯ-აიას ვალებთან. აქედან გამომდინარე, სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე, შპს „ა-ს« გააჩნდა სრული საფუძველი, სარწმუნოდ მიეჩნია საჯარო რეესტრის სააგენტოდან 2007 წელს მოპოვებული არაერთი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოფიციალურად, შპს „ა«, წარმოდგენდა ამ ობიექტის მესაკუთრესა და მფლობელს. ამის უარსაყოფად, საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, გარდა გ. თ-იას იმ უსაფუძვლო განმარტებებისა, რომ ა. ჯ-აიას, 2007 წლამდე ოფიციალურად ეცნობა მისი კუთვნილი არასაცხოვრებელი ფართის გასხვისების შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჯ-აიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის

შემოწმება შეუძლებელია. გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ ფაქტობრივად და სამართლებრივად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები სრულად არის გამოკვლეული და სამართლებრივად სწორადაა შეფასებული, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

აღნიშნული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმოკრედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით, რომელიც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს. სასამართლო გადაწყვეტილების უპირველესი ფუნქცია მოდავე პირებისათვის უფლებათა და ვალდებულებათა არსებობა-არარსებობის დადგენაა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლწესრიგის დამკვიდრებას და სამართალდარღვევის პროფილაქტიკას.

სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად იგულისხმება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან მიმართებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქვეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლია გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამონაკლისისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე – გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ჯ-აიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.



გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინება განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

### განჩინება

№ას-361-341-11

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ხელშეკრულების მოშლილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-იამ, თ. და ტ. ზ-ლებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს მ. ა-შვილის მიმართ ხელშეკრულების მოშლილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 8 ნოემბერს ნ. ც-იამ და ნ. ზ-ლმა მოპასუხე მ. ა-შვილთან სანოტარო ფორმის დაცვით დადეს უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებაში მყიდველად მოხსენიებულ მ. ა-შვილს, 2007 წლის 15 ნოემბრამდე 70000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში უნდა გადასცემოდა თბილისში, ... ქუჩა №39-ში მდებარე №78 ბინა. მ. ა-შვილს დღემდე სრულად არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება. 2008 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა ნ. ზ-ლი, მისი დანაშთი ქონების მიმართ 2009 წლის 21 მარტს გაიცა სამკვიდრო მოწმობა და ამ მოწმობის საფუძველზე თბილისში, ... ქუჩა №39-ში მდებარე №78 ბინის 1/2 ნაწილის თანამესაკუთრებს წარმოადგენენ ნ. ზ-ლის მემკვიდრეები (შვილები) თ. და ტ. ზ-ლები.

მოპასუხე მ. ა-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან მის (უფრო სწორედ კი თ. თ-ძის) მიერ ხდებოდა აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საქმეში არსებული მასალებით კარგად ჩანს, რომ ის მალე გადაიხდიდა 70 000 აშშ დოლარიდან დარჩენილ თანხას – 27 000 აშშ დოლარს. შესაბამისად, შესრულდებოდა წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. თუკი მოსარჩელე მხარე თვლის, რომ დაირღვა ხელშეკრულების შესრულების ვადა, რის გამოც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მაშინ მოსარჩელე მხარეს უნდა გაეთვალისწინებინა სამოქალაქო კოდექსით კრედიტორისთვის დადგენილი დამატებითი ვადის მიცემის ან გაფრთხილების მოვალეობა ხელშეკრულების მოშლისას. აღნიშნულს კი ვერ ადასტურებს მოსარჩელე თავისი სარჩელით და თანდართული დოკუმენტებით. ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები, არ არსებობს გამომდინარე იქიდან, რომ ნ. ც-იას და ნ. ზ-ლს მიღებული აქვთ გადასახდელი სრული თანხის 70 000 აშშ დოლარის ნაწილი – 43 000 აშშ დოლარი. მათ რომ რაიმე საწინააღმდეგო ჰქონოდათ ამ ხელშეკრულების, მაშინ არც თანხას მიიღებდნენ. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, მოსარჩელე მხარეს არაფერი აქვს ნახსენები სარჩელში მიღებული თანხის უკან დაბრუნებაზე.

მესამე პირმა თ. თ-ძემ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე განმარტა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ც-იას, თ. და ტ. ზ-ლების სარჩელი; მოშლილად იქნა ცნობილი გამყიდველებს – ნ. ც-იას, ნ. ზ-ლსა და მყიდველ მ. ა-შვილს შორის 2007 წლის 8 ნოემბერს სანოტარო ფორმის დაცვით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 8 ნოემბერს ნ. ც-იას, ნ. ზ-ლსა და მ. ა-შვილს შორის სანოტარო ფორმის დაცვით დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. ამ გარიგების თანახმად, ნ. ც-იამ და ნ. ზ-ლმა ნება გამოხატეს მ. ა-შვილისათვის მიეყიდათ თბილისში, ... ქუჩა №39-ში მდებარე №78 ბინა იმ პირობით, თუ მყიდველი – მ. ა-შვილი 2007 წლის 15 ნოემბრამდე გადაიხდიდა 70 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების მხარეებმა ამ პირობის შესრულებას და ვადას დაუკავშირეს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, რომლითაც გამყიდველები (ნ. ც-ია და ნ. ზ-ლი) მყიდველს (მ. ა-შვილს) გადასცემდნენ საკუთრების უფლებას ხელშეკრულების საგანზე. ხელშეკრულებით მხარეებმა გაითვალისწინეს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაც «ბე». ჯერ კიდევ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე მ. ა-შვილმა ნ. ც-იასა და ნ. ზ-ლს «ბე-ს» ანგარიშში გადაუხადა 5 000 აშშ დოლარი. მხარეთა შორის დავას არ იწვევდა და ამასთან, საქმეში მტკიცებულებების სახით წარდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების, მუდმივმოქმედი კერძო

არბიტრაჟის შპს «...ის» მიერ 2006 წლის 8 ნოემბერს მიღებული №01/06-200 საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა და თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2007 წლის 7 მარტს გაცემული №01/33-25 განკარგულების ასლებით დადასტურებული იყო ის გარემოებები, რომ ნ. ჩ-იას, ნ. ზ-ლს და მ. ა-შვილს შორის არსებობდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ურთიერთობები. ამ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების პროცესში კრედიტორებს (ნ. ც-იასა და ნ. ზ-ლს) მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ნატურით გადაეცათ თბილისში, ... ქუჩა №39-ში მდებარე, მ. ა-შვილის კუთვნილი ბინა №78. სამკვიდრო მოწმობის ასლით დადასტურებულია, რომ სადავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, გამყიდველად წოდებული ნ. ზ-ლი გარდაიცვალა 2008 წლის 19 სექტემბერს და მისი დანაშთი სამკვიდრო (აქტივი და პასივი) მიიღეს შვილებმა თ. და ტ. ზ-ლებმა, რაც ადასტურებს მათ უფლებამონაცვლეობას აწ გარდაცვლილი დედის – ნ. ზ-ლის უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურებულია, რომ თბილისში, ... ქუჩა №39-ში მდებარე №78 ბინის 1/2 ნაწილის მესაკუთრე იყო მოსარჩელე ნ. ც-ია, ხოლო 1/2 ნაწილის თანამესაკუთრეები იყვნენ მოსარჩელები თ. და ტ. ზ-ლები. ამასთან, დადასტურებული იყო ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ბინა სადავო ხელშეკრულების საფუძველით დატვირთული იყო მოპასუხე მ. ა-შვილის მომავალი საკუთრების უფლებით. მხარეთა შორის სადავოდ იყო ქცეული ის გარემოება, თუ რა რაოდენობის თანხა ჰქონდა გადახდილი მოპასუხე მ. ა-შვილს 2007 წლის 8 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის ფარგლებში. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ მ. ა-შვილს ხელშეკრულების ვადის დარღვევით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ჰქონდა შესრულებული თავისი ვალდებულება. სასამართლომ მიუთითა, რომ თუ გათვალისწინებული იქნებოდა მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტება, მას მოსარჩელეთათვის გადასახდელი დარჩა 27 000 აშშ დოლარი. დადგენილია, რომ მ. ა-შვილს გადაწყვეტილების გამოტანის დღისათვის სრულად არ შეუსრულებია 2007 წლის 8 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და შეუსრულებული ვალდებულების მოცულობა შეადგენდა მინიმუმ 27 000 აშშ დოლარს.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის (ხელშეკრულების მოშლის) პირობებსა და წესს. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, სადავო ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო კრედიტორთა – ნ. ც-იასა და ნ. ზ-ლის მხრიდან, მ. ა-შვილისათვის ანგარიშის გაწევით, რათა მას მისცემოდა ბინის შენარჩუნების საშუალება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო ხელშეკრულების დადება არ იყო განპირობებული მხოლოდ ამ გარემოებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა კრედიტორთა ინტერესები, კერძოდ, კონკრეტული ვადის დათქმით მათ მიეღოთ თავის დროზე მ. ა-შვილისათვის სესხის სახით გადაცემული და კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით აღიარებული (დადასტურებული) თანხა. აღნიშნულის მიუხედავად, მ. ა-შვილს ჯერ კიდევ 2007 წლის 15 ნოემბრისათვის შესასრულებელი ვალდებულება არ ჰქონდა სრულად შესრულებული. სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო მ. ა-შვილის სამომავლო საკუთრების უფლება, დასტურდებოდა მოცემული აღიარებითი სარჩელის მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის არსებობა და ამას განაპირობებდა მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება მ. ა-შვილმა სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ზემოთხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით შემოიფარგლა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ა-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. ა-შვილმა მოპასუხეთა მიმართ ვალდებულება შესრულებული იყო ნაწილობრივ. სასამართლომ ისე იმსჯელა დამატებითი ვადის განსაზღვრის ან გაფრთხილების ვალდებულებაზე, რომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა, არსებობდა თუ არა ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, ანუ სასამართლოს უნდა შეეფასებინა და ემსჯელა ჯერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ განესაზღვრა, არსებობდა დამატებითი ვადის განსაზღვრისა თუ გაფრთხილების აუცილებლობა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ვინაიდან მხარეთა მიერ დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ა-შვილმა ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება, სასამართლოს უნდა ემსჯელა არსებობდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი გარემოება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელებს, მინიმუმ ის მაინც უნდა დაემტკიცებინათ, რომ ხელშეკრულების ნაწილობრივი დარღვევით მათ ინტერესი აღარ გააჩნიათ მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ. თავის მხრივ, დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების

საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც არსებობს ხელშეკრულების მოშლის წინაპირობა. ამაზე კი, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებს არ უმსჯელიათ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ ფაქტობრივად და სამართლებრივად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები სრულად არის გამოკვლეული და სამართლებრივად სწორადაა შეფასებული, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

აღნიშნული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმოკრედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით, რომელიც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს. სასამართლო გადაწყვეტილების უპირველესი ფუნქცია მოდავე პირებისათვის უფლებათა და ვალდებულებათა არსებობა-არარსებობის დადგენაა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლწესრიგის დამკვიდრებას და სამართალდარღვევის პროფილაქტიკას.

სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი აწესებს მკაცრ მოთხოვნებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესით, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (მე-2 მუხლი), პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად იგულისხმება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს სასამართლოს შემეცნებით მსჯელობას ფაქტებთან მიმართებით (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებით მსჯელობას დადგენილი ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად, გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი. პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლება, მისი სადავოდ ქცეული უფლების სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოიცავს პირის უფლებას, იცოდეს, მის დავასთან დაკავშირებით, რომელ ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება. კანონით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების სისტემა (აპელაცია, კასაცია) და დაინტერესებულ პირს, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით, შეუძლია გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული გამოწვევისა. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. ზემოაღნიშნული უდევს საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებების გაზიარების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე – გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მათ შეფასებაზე მითითებით. კანონის აღნიშნული დათქმა არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრე-

ტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა და მათ იურიდიულ შეფასებათა თაობაზე და გადაწყვიტოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**

#### **განჩინება**

№ას-263-247-2011

6 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**ბ. ალაფიძე**

**დავის საგანი:** სარჩოს სახით მიუღებელი თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 11 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ზ. ა-ძემ მოპასუხე სს «...ს» მიმართ და მოითხოვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუშაკისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 57768 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, ზ. ა-ძე მუშაობდა თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველოში. 1983 წლის 22 აპრილს, მუშაობის დროს ტექნიკური უსაფრთხოების ზომების დაუცველობის გამო, მან მიიღო თვალის დაზიანება, რის გამოც შრომის სამედიცინო კომისიამ განუსაზღვრა შრომის უნარის დაკარგვა 60%-ით უვადოდ. აღნიშნულის შედეგად იგი გახდა მესამე ჯგუფის ინვალიდი. ქ.თბილისის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ა-ძეს დაეინიშნა სარჩო 231 მანეთის ოდენობით, რასაც იგი უწყვეტად იღებდა 1986 წლამდე. ამის შემდეგ მოპასუხემ მას უკანონოდ შეუწყვიტა სარჩოს გადახდა. მოსარჩელის განმარტებით, სარჩოს შეწყვეტის საკითხის მიზეზის გასარკვევად მან მიმართა მოპასუხე ორგანიზაციას მისი ადგილმდებარეობის მიხედვით. მოგვიანებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ყოფილი თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველომ მრავალჯერ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისამართი. ამჟამად, იგი არსებობს სააქციო საზოგადოება «...ს» სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველოს უფლებამონაცვლეს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა 1986 წლიდან სარჩელის შეტანის დრომდე სარჩოს ერთდროული გადასახდელი, რაც შეადგენდა 57768 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ა-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1458 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქ.თბილისის ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ზ. ა-ძემ, მუშაობდა რა თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველოში მუშად, მიიღო საწარმოო ტრავმა, დაკარგა ცალი თვალი, საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტით იგი არის III ჯგუფის ინვალიდი, მისი გადამოწმება უნდა მომხდარიყო 1984 წლის 19 აგვისტოს, ამ პერიოდამდე 1983 წლის 20 დეკემბრიდან მის სასარგებლოდ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას დაეკისრა 1177 მანეთისა და ყო-

ველთვიურად 231 მანეთის ოდენობით სარჩოს გადახდა, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცა სა-  
აღსრულებო ფურცელი და მოხდა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება;

ზ. ა-მე წარმოადგენს მე-3 ჯგუფის ინვალიდს უვადოდ და მას დანიშნული აქვს პენსია 1983 წლის 20 დე-  
კემბრიდან;

უბედური შემთხვევა, რის შემდეგადაც ზ. ა-მემ მიიღო საწარმოო ტრავმა და გახდა მე-3 ჯგუფის ინვალი-  
დი, მოხდა 1983 წლის 22 აპრილს;

თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველოში მოსარჩელე მუშაობდა მუშად;

მოსარჩელეს სარჩო დანიშნული ჰქონდა 231 მანეთი საშუალო ხელფასიდან 1983 წლის 20 დეკემბრიდან  
ჯერ გარკვეული ვადით, შემდეგ კი უვადოდ;

მოსარჩელეს დადგენილი აქვს პროფესიული შრომისუნარის დაკარგვის ხარისხი 60%-ით;

მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა 1987 წელს;

მოპასუხის მიერ წარდგენილი ცნობით და მისი განმარტებით, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს  
1985 წლის 7 მარტის №53 ბრძანებით თბილქალაქმშენის №14 ტრესტის ბაზაზე შეიქმნა სახლმშენებელი  
კომბინატები №4 და №5, ყოფილ №14 ტრესტში შემავალი სამშენებლო სამმართველოებიდან №8, სადაც მუ-  
შაობდა მოსარჩელე, შევიდა სმკ №4-ის შემადგენლობაში, რომელმაც მრავალჯერ შეიცვალა არსებობის სა-  
მართლებრივი ფორმა და რომელიც ამჟამად არსებობს სააქციო საზოგადოება «...ს» სახელწოდებით, რომე-  
ლიც წარმოადგენს თბილქალაქმშენის №14 ტრესტის №8 სამშენებლო სამმართველოს უფლებამონაცვლეს;

სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდან-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ  
გაცემული ცნობით დადგენილია, რომ ზ. ა-მეს, როგორც შ.მ.მ.პ. III ჯგუფის ინვალიდს 1983 წლის 20 დეკემ-  
ბრიდან დაენიშნა პენსია, რისი საფუძველიც იყო ს.ს.ე. აქტის ამონაწერი №044957, გაცემული 1983 წლის 19  
დეკემბერს, 2006 წლიდან ბენეფიციარმა შეიცვალა პენსიის სახე და გადავიდა ასაკით პენსიაზე;

1994 წლის 2 ნოემბერს ისინი რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ გაცემული №22/29  
ცნობით დადგენილია, რომ ზ. ა-მე არის III ჯგუფის ინვალიდი უვადოდ და მითითებულია პენსიის ოდენო-  
ბა, რასაც იგი იღებდა 1993-1994 წლებში;

თვალის სნეულებათა თბილისის საქალაქო სპეციალიზირებული საექიმო – შრომითი საექსპერტო შე-  
მოწმების აქტით №69, რომელიც შედგენილია 1984 წლის 30 აგვისტოს, დადგენილია, რომ წარმოებაში მი-  
ღებული ტრავმის გამო, რომელიც მოხდა 1983 წლის 22 აპრილს დასახიჩრების აქტის მიხედვით, ზ. ა-მე  
ცნობილია III ჯგუფის ინვალიდად მარჯვენა თვალის უქონლობის დიაგნოზით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში წარდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე  
დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მე-3 ჯგუფის ინვალიდს უვადოდ, მისი ინვალიდო-  
ბა უკავშირდებოდა მოპასუხე ორგანიზაციაში 1983 წლის 22 აპრილს მიღებულ საწარმოო ტრავმას, რაც და-  
დასტურდა საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნით, საპენსიო წიგნაკით, უბედური შემთხვევის  
აქტით, სს «...ს» დირექტორ ნ. გ-იას მიერ 2006 წლის 24 ოქტომბერს და 2008 წლის 26 ივნისს გაცემული ცნო-  
ბებით.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ  
წარუდგინა დადგენილი წესით დამადასტურებელი მტკიცებულება, როდემდე იღებდა იგი შესაბამის პენსი-  
ას. მისი განმარტებით, პენსიას იგი იღებდა 1986 წლამდე. მოპასუხეს აღნიშნულის საწინააღმდეგო არ წა-  
რუდგენია, თუმცა როგორც უკვე დადგენილად მიიჩნია სასამართლომ, უდავო იყო, რომ მოსარჩელე პენსიას  
იღებდა 1983 წლის 20 დეკემბრიდან.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მხარეებმა ვერ წარადგინეს იმის დამადასტურებელი მტკიცებუ-  
ლებები, რომ მოპასუხესთან არსებობდა შესაბამისი თანრიგი და პროფესიები. მოპასუხემ განმარტა, რომ ამ-  
ჟამად იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები არ არსებობდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია  
დამადასტურებელი მტკიცებულება ხანდაზმულობის ვადის შეჩერებასთან დაკავშირებით, რასაც სასამარ-  
თლო ჩათვლიდა ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველად, და მასზე სარწმუნოდაც არ  
მიუთითებია. სს «...ს» დირექტორ ნ. გ-იას მიერ 2006 წლის 24 ოქტომბერს და 2008 წლის 26 ივნისს გაცემუ-  
ლი ცნობები პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო იმ დოკუმენ-  
ტად, რომლიდანაც თავიდან უნდა ათვლილიყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რადგან ეს ცნობები წარ-  
მოადგენდა ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტს და არა ვალდებულების აღიარების ხელწერილს.

საქალაქო სასამართლომ სამართლებრივად გადაწყვეტილება შემდეგ არგუმენტებზე დააფუძნა:

შრომის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებ-  
ზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელესთან შრომითი ურთი-  
ერთობა შეწყდა 1987 წელს, შესაბამისად მოცემული დავის გადასაწყვეტად შრომის კოდექსის ნორმების გა-  
მოყენება ვერ მოხდებოდა და უნდა გამოყენებულიყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის შე-  
საბამისად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მუშე-  
ბისა და მოსამსახურებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შეს-  
რულებასთან დაკავშირებით მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა, რომ მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა საწარმოო ტრავმა. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ საწარმოს ბრალი არ მიუძღვოდა მოსარჩელის დასახიჩრებაში, რადგან მოსარჩელეს ისედაც დაზიანებული ჰქონდა თვალი და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა არა სარჩოს დანიშვნას, არამედ ითხოვდა მიუღებელ სარჩოს. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი არ შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში ყოფილიყო საწარმოს ბრალეულობაზე მსჯელობა.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 42-ე მუხლის მიხედვით, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) შემთხვევაში უფლებამონაცვლე ორგანიზაცია ვალდებულია ზიანი ანაზღაუროს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ მას არ შეიძლება დაკისრებოდა შესაბამისი პასუხისმგებლობა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მხარეებს განუმარტა, რომ მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მისი ლიკვიდაციის ან გაკოტრების შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულება.

რამდენადაც მოსარჩელე ითხოვდა არა სარჩოს დანიშვნას, არამედ უკვე დანიშნული, მაგრამ შეწყვეტილი სარჩოს მიღებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელებულიყო პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-3 მუხლი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს საწარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენდა, აღნიშნულზე ვერ გავრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მოთხოვნები. სასამართლოს განმარტებით, საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური პენსიის გადახდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან არის სამი წელი. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩათვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე (2009 წლის დეკემბრამდე) ბოლო სამი წლის სარჩო. მაშასადამე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 1986 წლიდან 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით 57768 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო. კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო 2006 წლის 28 დეკემბრიდან სასამართლოსათვის მიმართვის თარიღამდე – 2009 წლის 28 დეკემბრამდე ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მე-11 მუხლის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან, იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულების 1-ლი მუხლით განსაზღვრულია მინიმალური ხელფასი 20 ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგინდა, რომ მოსარჩელეს შრომის უნარი 60%-ით ჰქონდა დაკარგული. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც მოპასუხესთან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები არ არსებობდა, მოსარჩელისათვის მისაცემი სარჩოს თანხის დაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან სასამართლოში სარჩელის წარდგენის მომენტამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ( $20 \times 3 \times 40.5 \times 60\% = 1458$  ლარი).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით სს «...ს» სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუცნებლობის გამო.

ზ. ა-ძის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას. კერძოდ, საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა სს «...ს» დირექტორ ნ. გ-იას მიერ გაცემული ცნობები ვალის აღიარების თაობაზე. გარდა ამისა, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში სს «...ს» დირექტორის მიერ ვალის არაპირდაპირი აღიარება, რაც დაფიქსირდა სხდომის ოქმში. ამით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემის თაობაზე. საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა აპელანტის მითითება, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მას არ უზღიდნენ კუთვნილ თანხას, სს «...ს» გააჩნდა შემოსავალი.

აპელანტი მიიჩნევდა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ხანდაზმულობის ის ვადა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის არის დადგენილი, ვინაიდან აპელანტსა და მოპასუხე ნ. გ-იას შორის არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა. მუდმივი ინვალიდობის პენსიის გაცემა წარმოადგენდა არა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, არამედ მუდმივად შესასრულებელ ვალდებულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ზ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, იგი ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზია დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. მასა და მოპასუხეს შორის არანაირი ხელშეკრულება არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. მუდმივი ინვალიდობის პენსიის გაცემა არ წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ეს ვალდებულება იარსებებდა მანამ, სანამ თავად მოპასუხე ორგანიზაცია იარსებებდა..

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოსათვის კანონით მინიჭებული ზემოაღნიშნული შესაძლებლობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სრულად გაზიარების შემთხვევაში მარტოდენ მიუთითოს მათზე და იმავედროულად, არ იმსჯელოს ამ გადაწყვეტილების უსწორობის დასაბუთებლად აპელანტის მიერ საჩივარში მოყვანილ არგუმენტებზე. კანონის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებსა და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმე-

ბის ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

ამდენად, უფლების სასამართლოს წესით დაცვის განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მარტო პირის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აპელანტს იმის უფლებასაც ანიჭებს, რომ სააპელაციო სასამართლოსაგან მის პრეტენზიებზე დასაბუთებული პასუხი მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია წაგებულ მხარეს სრულიად სამართლიანად გაუჩნდეს განცდა იმისა, რომ მიზანი, რომელიც მიმართული იყო უფლების ზემდგომ სასამართლოში დაცვისაკენ, უშედეგო გამოდგა, სასამართლომ უპასუხოდ დატოვა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები, რომლებიც მისი აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას ასაბუთებდა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე საერთოდ არ უმსჯელია, ისინი არ შეუფასებია და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ ეს პრეტენზიები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო.

ამდენად, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი პრეტენზიების გამაქარწყლებელ არგუმენტებს, დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ განჩინების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» მუხლის თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ასეთ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აპელანტის პრეტენზიებზე, შეაფასოს ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს დავა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ა-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.